



ოფისი #2 ოფისილი

საპრილი 2015 # 2

OFFSIDE

თორნიკე
განგაძე

კახიკი
ლაშვილი

ტიკი-ტაკი
გიორგი ანდრონიკიანი

გიორგი
ბერიძე



ფასი: 4 ლარი




WPT
 WORLD POKER TOUR
GEORGIA


 europe-bet.com

განთი WPT
ჩემპიონი
 30 მაისი - 7 ივნისი 2015

ფასი: 4 ლარი



GEORGIA



**გახდეთ WPT
ჩემპიონი**
30 მაისი - 7 ივნისი 2015
საპრიზო ფონდი
\$200 000

30 მაისი - 7 ივნისი



ყველაზე პრესტიჟული და სახელოვანი
ტურნირი მსოფლიოში!

WORLD POKER TOUR-ი
უკვე საქართველოშია!

სათლიბები დაიწყო. შეიტანე შენი
სახელი **WORLD POKER TOUR-ის**
ისტორიაში!



რეგისტრაციისა და დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ:
www.europe-bet.com

სარჩი

- 10 **ღარბი:** OLD FIRM DERBY
- 14 ბიო ახვლედიანის ბლოგი
- 16 **ლეგიონერი:** TOKOMOTIVE
- 20 WINGS FOR LIFE
WORLD RUN
- 22 **სკორტის ლეგენდები:**
ბიორნ ბორბი
- 26 ევროპული რაბბი
და საქართველო
- 30 **დრამატული მომენტები:**
უკანასკნელი რაუნდი
- 35 **BIOSINE**



22

- 69 **მსოფლიოს გარემო:**
სხრა თვე აფრის ქვეშ
- 72 **გაითხველის ბლოგი:**
GEORGIA ON MY MIND
- 75 **R.I.P.**
დრაჟენ პეტროვიჩი
- 76 **ჯუნიორი:** კავანი ლომარდი
- 80 **ინტერუქცია:** მიწვრიდან
მოტანილი უბრალო აგზები
- 82 **არენა:** ყატარის ათას ერთი ღამე
- 88 სისხლიანი რბოლა
- 90 დავით ზურაბიშვილის
ბლოგი



76



16

- 38 **HEAD ON:** სისხლი და სიძულვილი
ლას ვეგასში
- 44 დავით კოჭიერიძის ბლოგი
- 46 **მონეპეტილი ვარსკვლავები:**
ელენო და ფრეიტასი
- 52 ქართული პარადოქსი
- 54 **ზამთრის სკორტი:**
სერია, რომელმაც შეამჯავლა
- 58 **სენსაცია:** სასწაული ყინულზე
- 62 ლევან ბერძენიშვილის
ბლოგი



38

- 94 **ტანდემი:**
„ბარბი“ და „ოქროს ბიჭუნა“
- 98 **ერთი ფილმის ისტორია:**
სოფიანი ხარი
- 102 **სკორტული ლიტერატურა:**
იოჰან კრუიფის
„ფეხბურთის ფილოსოფია“

- 105 **სტოკ კადრი**
- 106 **ფოლა:**
მოტივაცია, რომორც სტრატეგია
- 108 ბია ხაღურის ბლოგი
- 110 კრივი ფული და ორი მღვდელი
- 112 **ტოპ 10**



94



პირველი ნომრის გამოსვლიდან აგერ უკვე ორი თვე გავიდა, მეორე ნომერიც მზად არის და მეორე სვეტის დაწერაც მიწვევს. ამ ორ თვეში ბევრი რამ მოხდა, ბევრი რამ შეიცვალა და დიდი გამოცდილებაც დაგროვდა. დროში უფრო მეტად შეზღუდულები ვიყავით, სირთულეებიც მრავლად იყო და სასიამოვნო ამბებიც. არ შემოიძლია არ გამოვყო თვრამეტწლამდე მორაგბეების წარმატება, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალში ითამაშეს, რაც უდავოდ ისტორიული მიღწევაა.

ჩვენი მხრიდან გადავწყვიტეთ ჟურნალის თემატიკა უფრო მრავალფეროვანი გავხადოთ და შეძლებოდა დაგვარად სპორტის მეტი სახეობა მოვიცვათ. ასევე გვინდა ჟურნალი კიდევ უფრო გავაცოცხლოთ და მეტი ხალხის შევძინოთ. ვნახოთ როგორ გამოგვივა. სპორტის სხვადასხვა სახეობების ფედერაციები ფაქტობრივად არ გამოჩენილან და მათგან მეტ აქტიურობას და თანამშრომლობას ველოთ.

სხვა რა გითხრათ, ისტორიები ისტორიებად, მაგრამ ქვეყანაში სპორტული აქტივობა უფრო და უფრო მცირდება. ეს მხოლოდ პროფესიონალურ სპორტს არ ეხება, უბნშიც ფეხბურთს ისე ხშირად აღარ თამაშობენ.

ქალაქში არსებობს რამდენიმე განსაკუთრებული ადგილი, რომელიც დიდ მუხტსა და სულს ატარებს. ასეთი ერთ დროს იყო თბილისის იპოდრომი, სადაც დიდი იმართებოდა და ხალხის მხრიდან დიდი ინტერესიც შეინიშნებოდა. დღეს იქ გაჩეხილი ხეები და ბეტონის ტრასებია. ასეთი იყო „დინამოს კორტები“, სადაც ჩოგბურთს ბევრი ვეტერანი და მოყვარული თამაშობდა. იქ უამრავი მეგობრული და მამაშვილური ურთიერთობა იწყებოდა და ამ კლუბში მართლა თავისებურად თბილი ცხოვრება თუხთუხებდა. დღეს „დინამოს კორტები“ აღარ არის, დაანგრის.

ასევე იყო ვაკეში „ირაოს სტადიონი“, სადაც მე და კიდევ უამრავი ადამიანი კვირაში რამდენჯერმე ფეხბურთს ვთამაშობდით. „ირაო“ უბრალო სტადიონი არასდროს ყოფილა, ის გამორჩეული, ცოტა საკრალური ადგილი იყო, სადაც ლამის ნახევარმა თბილისმა ისწავლა ფეხბურთის თამაში და საიდანაც უამრავი მეგობარი შევიძინე. სად არის დღეს „ირაო“? აღარ არის, დაანგრის, დღეს იქ სავაჭრო ცენტრია.

მეშინია იგივე ბედი არ ეწიოს თბილისის კიდევ ერთ გამორჩეულ ადგილს, „ლაგუნა ვერეს“, სადაც უამრავი მოცურავე და წყალბურთელი გაიზარდა. მათ გარდა, „ლაგუნაზე“ ყოველ დღით დადიოდნენ ასაკოვანი ადამიანები, რომლებიც ერთმანეთში ძალიან მეგობრობდნენ. დილით ადრე ცურვა და საუბარი ამ ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. „ლაგუნა ვერეს“ დანგრევით არა მხოლოდ წყალბურთი და ცურვა დაზარალდება, არამედ ამ ადამიანების გულის ნაწილიც მოკვდება. ქალაქი ცოცხალი ოგანიზმია და ის ასეთი არამატერიალური ფასეულობებით მდიდრდება. თბილისი კი ნელ-ნელა უფრო და უფრო ღარიბდება. თანამედროვე სამყაროში, სადაც ახალგაზრდები ფეხბურთს უფრო მეტად ეზოში კი არა კომპიუტერში თამაშობენ, სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, რომ ყველანაირ სპორტულ აქტივობას შეუწყოს ხელი და ეს პირველ რიგში არა ასეთი კოლორიტული ადგილების დანგრევით, არამედ მათი შენარჩუნებით და გაშენებით უნდა მოხდეს. ისტორიები კი ყოველთვის იქნება, მთავარია, ამ ისტორიების ერთმანეთისთვის გაზიარების ადგილები არ მოგვისპონ. ჩვენი ჟურნალი კი გააგრძელებს თქვენთვის იმ ამბების მოყოლას, რომლებიც ხშირად გულშემოტკივრის ყურადღების მიღმა რჩება, თუმცა დროსთან ერთად მნიშვნელობას არასოდეს კარგავს.



მთავარი რედაქტორი:
გიორგი ზურაბიშვილი

ლიზინი:
ნინო ჭინჭარაული
ნიკოლოზ ბაბრატონი

სტილი:
მარინა ყიფშიძე

ფოტო: AFP

**კოორდინირებული
დირექტორი:**
ნაზი გოშაძე

გაყიდვების სამსახური:
ქეთევან ღუნდუა
თეა ჭელიძე

**ჟურნალის კონსულტანტი
მუშაობდნენ:**
გიორგი ბარათაშვილი
ლევან სალუქვაძე
ლავით კოვჭირიძე

გამომცემელი:





ბეჭდვა: შპს „კონტროლ კე“
ტელ: +995 32 2 38 19 08

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს OFFSIDE-ის საკუთრებას. ჟურნალში წარმოდგენილი ნებისმიერი მასალის გამოყენება რედაქციის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია. გამოცემის სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ჟურნალი OFFSIDE არ იღებს პასუხისმგებლობას სარეკლამო ტექსტების შინაარსზე.

მისამართი:
თბილისი, მცხეთის ქ. №19;
ტელ.: +995 32 2 38 19 08
ელ-ფოსტა: info@ffg.com.ge



წ ა რ მ ო ბ ი დ ბ ე ნ თ

რუბრიკას: "ჯანსაღი 7 ნაში"

მ თ ა ვ ა რ რ ო ლ შ ი

ვითო კოლეგის ვილი

(საქართველოს რაგბის, ეროვნული, ნაკრების წევრი)



სპორტი ჩემთვის: ცხოვრების წესია.


ჯანსაღი ცხოვრების რეკლამას: დავუთმობდი ბევრ დროსა და ამგვარ რუბრიკებს

სლოგანი: უფრო, ჩემი ცხოვრების დევიზი - შრომა, თავდადება, მიზანდასახულობა...

P.S. ან, კარს მიღმა (Outdoor): გაიღიმეთ



MLB-ის ქეთჩერი ჰარი ჩიტი ისტორიაში პირველი მოთამაშე იყო, რომელიც თავის თავში გაცვალეს. იგი „კლივლენდ ინდიანსმა“ „ნიუ იორკ მეტსში“ იმ პირობით გაუშვა, რომ „ნიუ იორკს“ ტრეიდის მეორე მონაწილე რამდენიმე თვეში უნდა დაესახელებინა. მეტსის რიგებში ჩატარებული 15 წარუმატებელი თამაშის შემდეგ, გუნდის მესვეურებმა გადაწყვიტეს, რომ ეს მოთამაშე სწორედ ჰარი ჩიტი უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, პიტჩერი კლივლენდ ინდიანსს დაუბრუნა.



1930-იან წლებში, ცნობილი ამერიკელი სპრინტერი, ჯეის ოუენსი, ფულის გამომუშავების მიზნით, სირბილში ცხენებსა და ძაღლებს ეჯობებოდა.

ოლიმპიური ოქროს მედლები სინამდვილეში მოოქროვილი ვერცხლისგან არის დამზადებული. მხოლოდ ოქროსგან დამზადებული მედლები უკანასკნელად 1912 წლის ოლიმპიადაზე გაიცა.



მსოფლიოში ყველაზე დიდი ბოულინგის ცენტრი იაპონიაში მდებარეობს. დარბაზი „ინაზავა“ 1972 წელს გაიხსნა და მასში 116 კეგლის ხაზია თავმოყრილი.




ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე სწრაფი ჩანოდეზა მაიკლ სანგსტერმა განახორციელა. ეს 1963 წელს მოხდა. ჩანოდეზის სიჩქარემ 248 კილომეტრი საათში შეადგინა.



2000 წელს არგენტინელი მოკრივე აურელ კოუტური გარდაიცვალა, თუმცა მისი რეკორდი ხელუხლებელი რჩება. 1946 წელს, არგენტინელმა თავისი მოწინააღმდეგე, რალფ ვოლტონი, ბრძოლის დაწყებიდან ნოკაუტში 10.5 წამში ჩააგდო. ეს კრივის ისტორიაში ყველაზე სწრაფი ნოკაუტია.

სპორტის სახეობებში ქალები საშუალოდ 10-ჯერ მეტ ტრავმას იღებენ ვიდრე მამაკაცები.




მსოფლიოში ყველაზე მაღალშედეგიანი საფეხბურთო მატჩი 2002 წლის 31 ოქტომბერს გაიმართა. შეხვედრა ანგარიშით 149-0 დასრულდა. მადაგასკარის ერთ-ერთმა გუნდმა, მსაჯის მიერ წინა შეხვედრის დროს მიღებული არასწორი გადაწყვეტილებები გააპროტესტა და საკუთარ კარში 149 გოლი გაიტანა.

ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლი 1998 წელს გავიდა. იგი ურუგვაელმა რიკარდო ოლივერამ 2.8 წამში გაიტანა.



გოლფი სპორტის ერთადერთი სახეობაა, რომელიც მთვარეზე ითამაშეს. ეს 1971 წლის 6 თებერვალს, ამერიკელმა კოსმონავტმა, ალან შეპარდმა გააკეთა. ცნობილია, რომ შეპარდს მთვარეზე ფეხბურთის ბურთის წაღება უნდოდა, თუმცა „ნასას“ წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ ეს არაამერიკული ყესტი იქნებოდა და საბოლოოდ კოსმონავტმა მთვარეზე გოლფის ბურთი წაიღო.





Old Firm Derby

აპო იასალაშვილი

გლაზგოს დერბი არაა სოციალური ფენების თუ ქალაქის სხვადასხვა უბნების ურთიერთობები. ამ ყოველივეს უკან რელიგიური განსხვავებულობა დგას. „რეინჯერსი“ 1872 წელს პრესბიტერიანულმა პროტესტანტებმა დააარსეს, „სელტიკის“ გაჩენას კი წინ ირლანდიის დიდი შიმშილი უსწრებდა. მაშინ უამრავი ირლანდიელი აიყარა და სხვადასხვა მხარეში გადასახლდა, მათ შორის, შოტლანდიაში. აქ მათ, სხვა საქმიანობასთან ერთად, საფეხბურთო კლუბებიც დააფუძნეს, დაეუშვათ, „ჰაიბერნიანსი“ (ირლანდიელი), ორი-ოდე სხვაც, 1887 წლის ნოემბერში კი გლაზგოს კათოლიკურ ეკლესიაში დაარსდა „სელტიკი“, ის ყოველ გაჭირვებულ კათოლიკეს მხარში უნდა დასდგომოდა. ეს იყო ერთგვარი გამაერთიანებელი იმ ირლანდიელებისა, გლაზგოს თავი რომ შეაფარეს. მათი პირველი თამაში რამდენიმე თვეში სწორედაც „რეინჯერსთან“ გაიმართა და 5:2 დასრულდა კელტების გამარჯვებით.

გამორჩევით ამ გუნდებს შორის ურთიერთობა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიძაბა. მაშინ დაიწყო ბრძოლა ირლანდიის თავისუფლებისათვის და 1921 წელს სამხრეთ ირლანდია ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, პროტესტანტული ჩრდილოეთი კი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩა. ამ დროს გუნდების დაპირისპირებაში „რეინჯერსის“ ქომაგად ქცეული „ბრიჯტონ ბილი ბოისიც“ გაერია. ეს ბრიჯტონის უბნის კრიმინალური ბანდა იყო, თავისივე უბნის კათოლიკეთა დაჯგუფება, „ნორმან კონკთან“ გადამტყდრებული. ფეხბურთი კიდეც ერთი საბაბი გახდა ჩხუბისთვის. იმ ბანდის თავი კი იყო ბილი ფულერტონი,

საერთოდაც, „სელტიკმა“ წარმატებას მალევე მიაღწია და 90-იან წლებში ზედიზედ ოთხჯერ მოიპოვა შოტლანდიის ჩემპიონობა. ეს „რეინჯერსისთვის“ ერთგვარი გამოწვევა გახდა, ამ თავზედი ირლანდიელებისთვის ადგილი რომ მიეჩინა. პირველი დიდი შეტაკება „სელტიკისა“ და „რეინჯერსის“ ქომაგებს შორის 1909 წელს შოტლანდიის თასის ფინალში მოხდა. თამაში ფრედ დასრულდა და ზედ მინდორზე დიდი ჩხუბი ატყდა. გადათამაშებაც ფრედ მორჩა და ამასაც დიდი თავპირისლენვა მოჰყვა. დასანიშნი მესამე თამაში გაუქმდა, რაკი ეს ნამდვილ ომს მოასწავებდა. იმ წელს თასი არავის გადასცემია.

გამორჩევით ამ გუნდებს შორის ურთიერთობა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიძაბა. მაშინ დაიწყო ბრძოლა ირლანდიის თავისუფლებისათვის და 1921 წელს სამხრეთ ირლანდია ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, პროტესტანტული ჩრდილოეთი კი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩა. ამ დროს გუნდების დაპირისპირებაში „რეინჯერსის“ ქომაგად ქცეული „ბრიჯტონ ბილი ბოისიც“ გაერია. ეს ბრიჯტონის უბნის კრიმინალური ბანდა იყო, თავისივე უბნის კათოლიკეთა დაჯგუფება, „ნორმან კონკთან“ გადამტყდრებული. ფეხბურთი კიდეც ერთი საბაბი გახდა ჩხუბისთვის. იმ ბანდის თავი კი იყო ბილი ფულერტონი,

ავარა და დანის მოტრიალე, თუმცა სახელი მაინც ვილიამ ორანჟელის გამო დაერქვათ, ჰოლანდიიდან გადმოსვენილი დიდგვაროვანისა, შემდგომ შოტლანდიის, ირლანდიისა და ინგლისის პროტესტანტი მეფისა.

1927 წელს „ბილის ბიჭებსა“ და „სელტიკის“ მომხრეებს შორის დიდი შეტაკება მოხდა, შიგ ორი ათასი ადამიანი მონაწილეობდა, მაშინ ჩაიდინეს პირველი მკვლელობაც – „სელტიკის“ ფანი გულში დარტყმული დანით მოკლეს.

1931 წლის ტრაგიკულმა მოვლენამ კი საბოლოო უფსკრული გააჩინა ამ კლუბებს შორის. „სელტიკისა“ და შოტლანდიის ნაკრების მეკარე ჯონ ტომსონი „რეინჯერსის“ თავდამსხმელ სემ ინგლიშთან შეჯახებისას დაიღუპა. „სელტიკის“ ქომაგებმა მეორე დღეს შურის საძიებლად ჩხუბი ატყეს და „რეინჯერსის“ ერთი მომხრე მოკლეს. შეტაკება მერეც ბევრი იყო, თუმცა მათ შორის „ჰემპდენის არეულობა“ გამოირჩევა, 1981 წლის თასის ფინალისას მინდორზე გაჩაღებული ჩხუბი. ის დღემდე ბრიტანეთში ყველაზე დიდ საფეხბურთო შეხლად ითვლება.

ამავე პერიოდში „ბილის ბიჭები“ „ჩელსის“ „თავებზე მონადირეებს“ დაუდამქაშდნენ და მთელ გაერთიანებულ სამეფოში „სელტიკის“ მომხრეებს ერთად დაერივნენ. „სელტიკი“ კი „ჯიბბერს“ დაუმეგობრდა, და „კოკნი რედს“, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავზეხელაღებულეს. მათ ერთად 2000 წელს თავისსავე უბან ბრიჯტონში მაგრა მიახგრეს „ბილის ბიჭები“. თავყბა ბლომად დაიღენა. ვილას ახსოვდა დე ბურის გოლი, თუ ლენონის ოსტატურად ართმეული ბურთი. საერთოდაც, ნილს ლენონი ამ დაპირისპირების ერთგვარ სიმბოლოდ გამოდგება. ამ ყალბთმიან ჩრდილო-ირლანდიელ კათოლიკეს, ჯერ მოთამაშეს, შემდეგ კი „სელტიკის“ მწვრთნელს, მუქარით თავი ანებებინეს თავისი ქვეყნის ნაკრებში თამაშს, რამდენჯერმე ქუჩაში თავს დაესხნენ, ბომბი მიუგზავნეს პაკეტით. ფეხბურთელისთვის


„სელტიკს“ არ ჰქონია ასეთი მკაცრი მიდგომა, მასში ყოველთვის თამაშობდნენ პროტესტანტები, დაეუშვათ, კენი დალგლიში, ხოლო პროტესტანტი მწვრთნელი სტივინის დამსახურებაა ის ერთადერთი ჩემპიონთა თასი, 1967 წელს რომ მოიგეს. „სელტიკი“ პირველი ბრიტანული კლუბი იყო, ეს თასი რომ დაისაკუთრა. მაშინ საუკეთესო დროება ედგა, ზედიზედ შოტლანდიის ცხრა ჩემპიონობა მოიპოვა და კაი ხანს ამით თავი მოჰქონდა, ვიდრე 90-იან წლებში იმავს „რეინჯერსი“ არ გაიმეორებდა. მთლიანობაში კი „რეინჯერსმა“ 54-ჯერ იზეიმა შოტლანდიის პირველობა, „სელტიკმა“ 45-ჯერ. ურთიერთშეხვედრებშიც „რეინჯერსი“ სჯობის,

ტყვიის გაგზავნა არ იყო იშვიათი რამ, აქ კი – უკვე ბომბი. ლენონის გარდა „სელტიკის“ კიდეც ორ მაღალჩინოსან ქომაგს შეხვდა ასეთივე შეკვრა.

ეს რელიგიური შუღლი ყოველგვარ საზღვრებს სცდებოდა. ასე, როცა „რეინჯერსში“ სერ ალექს ფერგიუსონი თამაშობდა, ის გუნდიდან გააგდეს, რაკი კათოლიკე ითხოვა ცოლად. ხოლო როცა 1989 წელს „რეინჯერსმა“, პირველად ბოლო სამოცდაათი წლის მანძილზე, კათოლიკე ფეხბურთელი მოჯონსტონი იყიდა, თანაც „სელტიკის“ ყოფილი მოთამაშე, ორივე კლუბის ფანებმა დალენეს იქაურობა. შარფებს წვავდნენ და წლიურ აბონემენტებს ხევდნენ სახალხოდ. ჯონსტონს სალმან რუმდისაც ეძახდნენ. ხოლო თამაშში თუ ის ერთადერთ გოლს გაიტანდა, „რეინჯერსის“ ქომაგები თვლიდნენ, რომ შეხვედრა უგოლო ფრედ დასრულდა. ის ბოლომდე არ მიიღეს თავისიანად.

„სელტიკს“ არ ჰქონია ასეთი მკაცრი მიდგომა, მასში ყოველთვის თამაშობდნენ პროტესტანტები, დაეუშვათ, კენი დალგლიში, ხოლო პროტესტანტი მწვრთნელი სტივინის დამსახურებაა ის ერთადერთი ჩემპიონთა თასი, 1967 წელს რომ მოიგეს. „სელტიკი“ პირველი ბრიტანული კლუბი იყო, ეს თასი რომ დაისაკუთრა. მაშინ საუკეთესო დროება ედგა, ზედიზედ შოტლანდიის ცხრა ჩემპიონობა მოიპოვა და კაი ხანს ამით თავი მოჰქონდა, ვიდრე 90-იან წლებში იმავს „რეინჯერსი“ არ გაიმეორებდა. მთლიანობაში კი „რეინჯერსმა“ 54-ჯერ იზეიმა შოტლანდიის პირველობა, „სელტიკმა“ 45-ჯერ. ურთიერთშეხვედრებშიც „რეინჯერსი“ სჯობის,





პოლ გესქოინი

მათ 400 დერბი გამართეს და აქედან 159 პროტესტანტების გამარჯვებით დასრულდა, 145 კელტებმა მოიგეს, 96-ჯერ კი ერთმანეთს ფრედ გაეყარნენ. მაგიერად „სელტიკმა“ უფრო დიდი ანგარიშით – 7:1 დაამარცხა „რეინჯერსი“, ამ უკანასკნელს კი 5:0 აქვს მოგებულობა. ყოველი ასეთი თამაში დამატებითი დაპირისპირების საბაზი ხდებოდა. ცეცხლში ნავთს ფეხბურთელებიც ასხამდნენ, აბა, გესქოინი ამაში როგორ არ გაერეოდა და, ერთხელ ფლეიტაზე დაკვრის გამოზადებით მან სტადიონზე მოკრებილი „სელტიკის“ ქომაგები გააღიზიანა. ეს ცნობილი ფოტოა, მერე კი ამბობდა, არ ვიცოდით, მაგრამ ამით ნარინჯისფერთა ალღუმს გაუსვა ხაზი, ედინბურგში ყოველ წელს რომ იმართება და შიგ ვილიამ ორანჟელის მიერ კათოლიკეთა დამარცხება და დიდი ბრიტანეთის ერთგულება იმალემა.

ეს ერთგულება გამოარჩევს „რეინჯერსს“. ეს მათ საქომაგო სიმღერებშიც აირეკლა, მეტად ხისტად: „მუხლებამდე ფენიების სისხლში ვართ, დაგვენებით, თორემ დაგხოცავთ“, – გაისმის ყოველი დერბის დროს. ეს ფენიები მე-

19 საუკუნის ირლანდიელი შეთქმულები იყვნენ, ჯანყის მომხრენი. ეს სიმღერა მათ საგანგებოდ აეკრძალათ, ამის გამო მათი ვიცე-პრეზიდენტი დონალდ ფინლი იძულებული იყო, გადამდგარიყო. თუმცა, ამით რას აუკრძალავ, გინდა ერთ მხარეს, გინდა მეორეს. არც „სელტიკის“ ფანები აკლდებიან ამ გამოწვევას და დასცხებენ თავის მხრივ „აირას“ სიმღერებს, ირლანდიური ტერორისტული საძმოსი. რა გასაკვირია, რომ ქომაგები დღემდე სტადიონზე სხვადასხვა გზებით მიდიან. პოლიცია მაქსიმალურად ცდილობს, მათი ერთად შეყრა არ მოხდეს. ვინც ტრიბუნებზე ვერ ხვდება, თავს პაბებს აფარებს, თუმცა ყველა პაბი როდი გადასცემს გლაზგოურ დერბის, ბევრს ეს არეულობა არ უღირს. ხოლო სადაც აჩვენებენ, იქ მიმტანებს ყოველი ცარიელი კახის მაგიდიდან უმალ გაშორება ევალებათ. სასროლ ნივთთა ოდენობას საგანგებოდ ამცირებენ. ეს არაა რამე გადამეტებული, ამ თამაშებს თან ათასობით ჩხუბი და დაპატიმრება სდევს. ბოლო დროს თავად გუნდები ცდილობენ, ეს დაძაბულობა რაიმეთი განმუხტონ. ასე „სელტიკმა“ „რეინჯერსის“ ყოფილი მთამამის, რიკსენის ანგარიშზე გარკვეული თანხა გადაარიცხა, როცა მას მიძიმე ნევროლოგიური სენულება შეეყარა. ხოლო „რეინჯერსის“ მწვრთნელი უოლტერ სმიტი და მისი ასისტენტი ალი მაკოისტი „სელტიკის“ ლეგენდის, ტომი ბერნის დასაფლავებისას კუბოს ნალებში მიეხმარნენ.

რა ბასაჰვირია, რომ ქომაგები დღემდე სტადიონზე სხვადასხვა გზებით მიდიან.

2012 წელს „რეინჯერსი“ გაკოტრდა და მას თავი სულ ქვედა დივიზიონში უკრეს. დროებით გაქრა ეს დერბიც, ყოველწლიურად 120 მილიონი გირვანქა რომ მოჰქონდა, ჯიგრიანი ფეხბურთი, მთვრალი ჩხუბები. „სელტიკის“ ფანები ხარობდნენ, თუმცა ბევრმა მალევე დაატყო, რომ ჩემპიონატი ერთი ცხენის დოლად იქცა, რომ ქალაქი დაობლდა. წელს სათასო და მე-400 თამაშს მოუთმენლად ელოდნენ. თამაშს აკლდა კლასი, თუმცა ჩხუბი არ დაჰკლებია, 38 კაცი დააპატიმრეს, ბოთლის სროლაც გაიხსენეს. ისევ გაისმა „შენხელა ბიჭი რომ ვიყავი, „აირას“ წევრი გავხდი“. ისევ აფრიალდა ირლანდიისა და დიდი ბრიტანეთის დროშები. არც რომის პაპის გინება გამოჩენიათ. მათ დიდი ხანია ღმერთის აღარ სჯერათ, თუმცა ურთიერთჯიბრს არ ივიწყებენ; ჯიბრს კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის. შესაძლოა, უკვე გაისად „რეინჯერსი“ დაუბრუნდეს უმაღლეს ლიგას და ისევ აღდგება დერბი, რომლის უკანაც მთელი შოტლანდიის ისტორია იმალემა. ==



ნიკო ლონგონი



„ლიდერბეთი“ - ქართული სპორტის მხარდამჭერი

უკვე 6 წელია, რაც კომპანია „ლიდერბეთი“ ქართულ ბაზარზე დამკვიდრდა, როგორც ონლაინ ტოტალიზატორი და კაზინო. „ლიდერბეთი“ დაარსების დღიდან აქტიურად და გულმოდგინედ ცდილობს, ხელი შეუწყოს ქართული სპორტის განვითარებას და, ზოგადად, სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაციას. სიახლეებითა და სიურპრიზებით ყოველთვის გამორჩეულმა კომპანიამ უკვე არაერთი პროექტი განახორციელა. ქართული სპორტის მხარდამჭერი ღონისძიებები მომავალშიც მრავლად იგეგმება.

ქართული სპორტის ლიდერები



პროექტს „ქართული სპორტის ლიდერები“ საფუძველი წლების წინ ჩაეყარა. ამ პროექტის ფარგლებში კომპანია „ლიდერბეთმა“ ბევრი ცნობილი და წარმატებული ქართველი სპორტსმენისადმი მიძღვნილი საღამო მოაწყო: ვიტალი დარასელია, ვახტანგ ქორიძე, მიხეილ ქორქია, ნიკოლოზ დერიუგინი, ნინო სალუქვაძე, ნონა გაფრინდაშვილი, შოთა ხაბარელი, გელა კეტაშვილი, ქეთევან ლოსაბერიძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, ლელა მესხი, ლერი ხაბელოვი, ჯემალ ცერცაძე, ვლადიმერ ისელიძე, „დინამო თბილისი“ და სხვანი.

ქართული სპორტის მომავალი ლიდერები



„ლიდერბეთმა“ 2014 წელს მთელი საქართველოს მასშტაბით ჩაატარა კვლევა სპორტული სკოლებისთვის საჭირო დეფიციტური ინვენტარის გამოსავლენად. კვლევამ აჩვენა, რომ სპორტულ სკოლებს ყველაზე მეტად მაღალი ხარისხის სათამაშო ბურთები სჭირდებოდათ. სწორედ ამიტომ „ლიდერბეთმა“ დაამზადა ფეხბურთისა და რაგბის სათამაშო ბურთები და ისინი საჩუქრად გადასცა საქართველოში არსებულ სპორტულ სკოლებს. სამომავლოდ „ლიდერბეთი“, ბურთების გარდა, გეგმავს სპორტის თითქმის ყველა სახეობისთვის სათამაშო ფორმებისა და სხვა საჭირო ინვენტარის დამზადებას.

„ლიდერბეთი“ - საფეხბურთო კლუბების სკონსორი

„ლიდერბეთი“ ქართული სპორტის წარსულისა და მომავლის გარდა, ამ ეტაპზე აქტიურ სპორტულ კლუბებსაც დიდ ყურადღებას აქცევს და დღესდღეობით იგი ორი წარმატებული საფეხბურთო კლუბის, „გორის დილასა“ და „სახეურის ჩიხურას“ სკონსორია. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ „ლიდერბეთი“ ცდილობს ქართული სპორტის გულშემატკივართა ნახალისებასაც და სწორედ ამიტომ საქართველოში ჩატარებულ თამაშებზე დამსწრე საზოგადოებას სხვადასხვა სახის ფასიანი საჩუქრები, სპორტული ინვენტარი და სუვენირები გადაეცემათ.





ტიკი-ტაკა



ლუის არაგონესი

ტიკი-ტაკა უბრალო და რთული ამბავია. ის შეიძლება რამდენიმე რამეს ეწოდებოდეს დღევანდელ მსოფლიოში, მაგრამ ყველაზე მეტად გავრცელებული მაინც საფეხბურთო სტილია, რომელსაც გამარჯვებული შეიძლება დავარქვათ.

ფეხბურთის მეცნიერების ენაზე რომ ვთქვათ, ტიკი-ტაკა ესპანეთში წარმოიშვა და გამოხატავს გუნდური შეთამაშებულობის მაღალ დონეს, რომელიც ბევრი მოკლე და ზუსტი გადაცემისა და მახვილგონიერი გადაადგილების ხარჯზე მოედნის მთელი სათამაშო სივრცის სრულ დაპყრობასა და გამოყენებას გულისხმობს.

გასაგებად კი, ეს ისაა, რითაც ესპანეთის ნაკრები თამაშობდა ლუის არაგონესის და ვისენტე დელ ბოსკეს ხელში და რითაც მოიპოვა კიდევ მსოფლიო და ევროპული ჯილდოები. უფრო გასაგებად და ყოველდღიურად კი, ის გახლავთ, რითაც „ბარსელონამ“ მთელი მსოფლიო მიანგრ-მოანგრია, განსაკუთრებით კი, ხოსეპ გვარდიოლას მეთაურობით.

ტიკი-ტაკა არის ტაქტიკა, რომლის მეშვეობით დიდხანს ინარჩუნებ ბურთს და ასე ეძებ გოლის გატანის საშუალებას. ტიკი-ტაკასთვის საჭიროა ტექნიკური ფეხბურთელები, ერთმანეთთან უსიტყვოდ შეთამაშებული გუნდი და აზროვნების ისეთი უნარი, რომელიც მოედნის უფრო ფართოდ დანახვას მოითხოვს, ვიდრე სხვამ შეიძლება დაინახოს.

რახან ტიკი-ტაკა გამარჯვებული და გამართლებულია, შეიძლება ითქვას, რომ ესაა ლამის დიდი ტაქტიკა ტოტალური ფეხბურთის შემოსვლის შემდეგ; არა ისეთი ყოვლისმომცველი, როგორც თვით ტოტალური ფეხბურთი იყო, მაგრამ ისეთი კი, საკმაო რამეები რომ შეცვალა.

ტიკი-ტაკამ დიდი წარმატება და წინსვლა მოუტანა ესპანურ გუნდებს.

აღბათ მსოფლიოში ბევრგან ცდილობენ ამ სიტლში თამაშს, თუმცა, სტილი ისეთია, რომ ყველას გაუჭირდება.

ასე რომ, ტიკი-ტაკას სამშობლო ესპანეთია, მისი ფესვები კი ოთხმოციანი წლებისკენ მიდის.

საკუთრივ ეს სიტყვა სახალხოდ პირველად გაისმა 2006 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე, ესპანეთი-ტუნისის მატჩის რეპორტაჟისას, როცა ან განსვენებულმა ნამყვანმა ანდრეს მენდესმა თქვა: „ჩვენ ვთამაშობთ ტიკი-ტაკა, ტიკი-ტაკას“.

ჩვენებურ საფეხბურთო ჟარგონზე რომ ვთქვათ, დაახლოებით ასე მოითარგმნება, ბურთს ვუმალავთო.

თუმცა, როგორც ამბობენ, ტერმინი, როგორც საფეხბურთო რამ, მენდესს არ დაუმკვიდრებია და ესპანურ შიდა საფეხბურთო სამყაროში უკვე მოიხმარებოდა ორი მნიშვნელობით: როგორც უაზრო, მომაბეზრებელი ბურთის გათამაშების და როგორც გრძელი, საზრიანი, საჭირო გათამაშების აღმნიშვნელი.

სწორედ ამ უკანასკნელის გაგებით მოიხმარდა ტერმინს ესპანეთის ნაკრების ოდინდელი მწვრთნელი ხავიერ კლემენტე, რომელსაც თითქოს ასე ეთქვას: კი, ბატონო, ვითამაშოთ ტიკი-ტაკა, ტიკი-ტაკა, ოღონდ აზრიანი და რთულიო.

მოკლედ, ეს ტერმინის ამბავია, სტილის წარმოშობას კი კატალუნიამდე მივყავართ, სადაც 80-იანი წლების მიწურულს „ბარსელონას“ მწვრთნელად დაინიშნა დიდი და მფრინავი ჰოლანდიელი იოჰან კრუფი, თაობის სიმბოლო, ფეხბურთელი-ინტელექტუალი, ადამიანი, რომელიც, იმის მიუხედავად, რომ ბარე ოცი წელიწადია არავინ გაუწვრთნია, დღემდე რჩება ყველაზე გავლენიან საფეხბურთო მოაზროვნედ.

ჰოდა, მაშინ კრუფმა დიდი ამბავი მოახდინა. შეკრიბა უკიდურესად შემოქმედებითი გუნდი და თითქოს სამუდამო გამარჯვების გზაზე დააყენა კლუბი. დღევანდელი „ბარსელონა“ იმ საფუძველზე დგას.

კრუფს მოჰყავდა დიდებული ფეხბურთელები, ვარსკვლავები, მაგრამ მან მოკრიბა სრულიად უცნობი ახალგაზრდებიც, არა მხოლოდ ლა მანგას აკადემიიდან, არამედ სხვა ქვეყნიდანაც. ხშირად ეს ნამეტანი იყო, მაგრამ კრუფმა, ზედ დაყოლებული ინფარქტით, ის მოახერხა, რომ არა მხოლოდ ტიტულები მოიგო და ნააგო, არამედ შექმნა „ბარსელონას“ სტილი.

ეს კრუფის სტილი იყო, რომელსაც „ბარსელონამ“ აღარ გადაუხვია.

ჰოლანდიელის მთავარი საფეხბურთო აფორიზმი ასე ჟღერს: „იმისთვის, რომ გოლი გაიტანო, ბურთს უნდა ფლობდე, იმისთვისაც, რომ თამაში წაიყვანო, ბურთს უნდა ფლობდე“.

ჰოდა, სწორედ მან დანერგა ეს ბურთის მახვილგონიერი, მოკლე პასებით გათამაშება, თავისუფალი ადგილების შექმნა და სივრცეების ბურთით დაპყრობა. ამას შემსრულებელთა სრულიად განსაკუთრებული რაზმი ემატებოდა და „ბარსელონა“ უკვე რაღაც სრულიად გამორჩეული შინაარსის მატარებელი გუნდი ხდებოდა.

მერე კრუფი გადააყენეს, თუმცა „ბარსელონას“ ამ სტილისთვის აღარასდროს უღალატია. მეტიც, მგონი, მას მალე კატალუნიის კულტურულ მონაპოვართა სიაში შეიტანენ. კლუბში ზედიზედ ნიშნავდნენ ჰოლანდიელ მწვრთნელებს, რომლებიც ასეთსავე ტაქტიკას მისდევდნენ. მაშინ, რა თქმა უნდა, ტიკი-ტაკას, როგორც საფეხბურთო ტერმინის, ხსენებაც არსად იყო.

ეს კი უნდა ითქვას, რომ კრუფის ნაშენები ესპანეთს გვარიანად მოედო და მასში ჩაღრმავება ადრიდანვე დაიწყო. მთელმა ამ გადასვლამ, ამ ტაქტიკის აღიარებამ და მისმა განვითარებამ სრულიად განსაკუთრებული ფორმები მიიღო.

კრუფის „ბარსელონადან“ წასვლის ათი წლის თავზე ლუის არაგონესმა ნაკრებს ნაკლებად პოეტური, თავისებური, თუმცა კი უაღრესად გამართული ტიკი-ტაკა ათამაშა და ევროპის ჩემპიონობაც მოაგებინა. იმავე დროს ბარსელონას მწვრთნელად დადგა გვარდიოლა, კრუფის ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელი, რომელმაც არნახული გუნდი შექმნა და ტიკი-ტაკას მანამდე უნახავი იერი მიანიჭა. ხუთ წელიწადს ეს თითქმის წაუგებელი და თითქმის ყველაფრის მომგები თამაში იყო.

თუმცა, თვითონ გვარდიოლას ამ ტერმინის ხსენებაც კი ნერვებს უშლიდა: მძულს ამ სიტყვის გაგონებაც კი, ჩვენ ტიკი-ტაკას არ ვთამაშობთო. ჩვენთან პასი პასისთვის არასდროს კეთდება და დროსაც არ ვწვლავთო.

ის ტიკი-ტაკას იმ გაგებას გულისხმობდა, რომელიც ბურთის თრევის, გორებასა და მოლოდინს უფრო გულისხმობს, ვიდრე იმას, რასაც „ბარსელონა“ აკეთებდა მოედანზე თავისი დიდი შემსრულებლების წყალობით. და ვინ იცის, ეგებ გვარდიოლა ირიბად ესპანეთის ნაკრების სათამაშო სტილსაც გადასწვდა, რომელიც „ბარსელონას“ ვარსკვლავებით კი იყო სავსე, მაგრამ მისი ტიკი-ტაკა ბევრად უფრო ფრთხილად და ერთგვარად მომაბეზრებლადაც კი გამოიყურებოდა ხოლმე, განსაკუთრებით კი, ბოლო წლებში.

ასეა თუ ისე, გამარჯვებულ ტიკი-ტაკას შემკავებლებიც ადრიდანვე გამოუჩნდნენ და მონინალმდეგეებიც ხომ ყველგან ჰყავს. ასე, ჟოზე მალურნიომ გვარდიოლას „ბარსელონა“ „ინტერი“ დაამარცხა, რომელიც ალბათ საეტაპო თამაში იყო იმ წლების ევროპულ საკლუბო ფეხბურთში. მერე გვარდიოლა მიუხედავად წავიდა.

ესპანეთის ნაკრებმა კი, რომელშიც ტიკი-ტაკა იქამდე მივიდა, რომ ხშირად ცრუ თავდამსხმელიც კი არ გამოჰყავდათ მოედანზე, ასევე დაამთავრა თავისი საერთაშორისო ზეობა.

ტიკი-ტაკა და მისი ვარიანტები კი ფეხბურთში ძალიან დიდხანს დარჩება. მით უმეტეს, გვარდიოლა ახლა ცოტა სხვა საფეხბურთო შეხედულებებმაც გაიტაცა. თუმცა, როგორც ყველაფერში, ტიკი-ტაკაშიც ასეა, დღეს ერთი ხარ, მაგრამ თუ საქმე შედეგადაა, ხვალ ასი კაცი ეცდება, შენი ხერხები მოარგოს თავის ფეხბურთელებს.

საერთოდ კი, კრუფმა ერთხელ ასეც თქვა: მე ფეხბურთელების გადაკეთება არასდროს მიცდია, მათი საუკეთესო თვისებების გამოყენება უფრო მომწონდაო. ==

იოჰან კრუფი, ხოსეპ გვარდიოლა





TOKOMOTIVE

ბიორბი ზურაბიშვილი

თორნიკე შენებელია ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ქართველი კალათბურთელია. მან წარმატებას ძალიან ახალგაზრდულ ასაკში მიაღწია. დღეს თოქო 23 წლისაა და იგი ესპანური „კუჩა ლაზორალის“ ლირსებას იხმავს, თუმცა საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს ზურაბს NBA-ში თამაშის გამოცდილება უმაბრავს. თორნიკეს მთავარი მიზანის სწორად „ნაციონალურ საქალათბურთო ასოციაციაში“ დაბრუნება და იქ ადგილის დამკვიდრებაა.

როგორ დაიწყო შენი საკალათბურთო კარიერა?

კალათბურთის თამაში 8 წლის ასაკში დავიწყე. მამაჩემი უნგრეთში თამაშობდა, შესაბამისად, მეც იქ ვცხოვრობდი და პირველად კალათბურთზე სწორედ უნგრეთში ყოფნისას შევედი. თუმცა, ეს პერიოდი ხანმოკლე გამოდგა და ორ თვეში თბილისში დავბრუნდით. მერე იყო მცირეხნიანი პაუზა, რომლის შემდეგაც ვარჯიში უკვე თბილისში, ნიკო ჩერქეზიშვილთან განვაახლე. ჩემი პირველი გუნდი „მართვე“ იყო.

რამდენი წლის იყავი, როდესაც პირველად ბურთის კალათში ჩატენა შეძელი?

პირველად რომ ჩავტენე, 13 წლის ვიყავი. ეს ვარჯიშის დროს მოხდა. ცარიელ ფართან მარტო დავრჩი, ჩატენაზე

საერთოდ არ მიფიქრია, მაგრამ როდესაც ავბტი, ისეთ სიმალლეზე აღმოვჩნდი, რომ მე თვითონვე გამიკვირდა. როდესაც ჩავტენე მთელი გუნდი გაოცებული მიყურებდა, თავადაც გაოცებული ვიყავი.

შენი პირველი უცხოური გუნდი „ვალენსია“ იყო. ესპანეთში როგორ მოხვდი?

„ვალენსიაში“ 3 წელი ვითამაშე. 14 წლის ვიყავი, როდესაც ბათუმში ლევან მიქელაძემ საკალათბურთო კემპი ჩაატარა (დღეს ლევანი ჩემი აგენტია). სამდღიანი კემპი იყო და გამარჯვებულები „ვალენსიაში“ ერთკვირიან შემონმებაზე მიდიოდნენ. ამ კემპზე გავიმარჯვე, საბედნიეროდ, ესპანეთში მწვრთნელებსაც მოვეწონე და კონტრაქტი შემომთავაზ-

ეს. თავიდან უცხოეთში მარტო ცხოვრება ძალიან გამიჭირდა. ლეგიონერები საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდით და კომუნიკაციის პრობლემაც გვექონდა. მე ესპანური არ ვიცოდი, ლეგიონერებიც ინგლისურად ნაკლებად საუბრობდნენ. თუმცა მალე ყველა პრობლემა გადავლახე და თამაშიც რეგულარულად დავიწყე. „ვალენსიიდან“ ბელგიურ „შარლერუაში“ გადავედი, რომელშიც პირველ წელს სათამაშო პრაქტიკის მისაღებად „გამანათხოვრეს“, მეორე სეზონი კი მაღალ დონეზე ჩავატარე. 18-19 წლის ასაკში „ევროლიგაზე“ ვითამაშე, რაც უდიდესი გამოცდილება იყო.

როგორ მოხვდი NBA-ში და როგორი იყო დრაფტის პროცესი?

„შარლერუაში“ წარმატებული სეზონის შემდეგ ტრევიზოს კემპზე წავედი, რომელიც იტალიაში იმართება. იქ ევროპის საუკეთესო მოთამაშეები იკრიბებიან და 4-5-დღიან კემპს ამერიკელი სკაუტები ესწრებიან. იტალიაში ჩასვლისას კარგ სპორტულ ფორმაში ვიყავი და კემპზე საუკეთესო მძიმე ფორვარდად დამასახელეს. ამის მერე გადავწყვიტე, NBA-ის დრაფტზე გავსულიყავი და ამერიკაში გავემგზავრე, სადაც ატლანტაში, ზაზა ფაჩულიასთან ერთად ვივარჯიშე. მამაჩემი და ზაზა ბავშობის მეგობრები არიან და საქართველოს ნაკრების კაპიტანთან მეც ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს; ზაზა ჩემი უახლოესი მეგობარია. დრაფტზე „ფილადელფია სევენთისისქსერსმა“ ამირჩია, თუმცა მათ მყისიერად „ბრუკლინში“ გადამცვალეს. ნიუ-იორკში არ ეგონათ, რომ მე NBA-ში დარჩენას ვაპირებდი, დაზღვევაც არ მქონდა. მიუხედავად ამისა, გადავწყვიტე, ბედი მაინც მეცადა და „ბრუკლინის“ რიგებში ზაფხულის ლიგაზე ვითამაშე. საბედნიეროდ, იქ იმდენად კარგი შთაბეჭდილება დავტოვე, რომ ბრუკლინელებს

მოვეწონე და გუნდშიც ამიყვანეს. „ნეტსის“ შემადგენლობაში ერთადერთი ვაკანტური ადგილი იყო და ამ გუნდში მოხვედრა ჩემთვის უდიდესი წარმატება გახლდათ.

რამდენად კმაყოფილი ხარ „ბრუკლინში“ გატარებული პერიოდით?

რა თქმა უნდა, ასეთი დონის გუნდში მოხვედრა დიდი წარმატებაა, თუმცა არის სხვა ფაქტორებიც. შეიძლება, სხვა გუნდში რომ მოვხვედრილიყავი, მეტი სათამაშო დრო მქონოდა და მეტი პრაქტიკა მიმელო, „ბრუკლინს“ იმ პერიოდში ლიგაში ყველაზე ღრმა შემადგენლობა ჰყავდა. თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან ამაზე საუბარი უფრო იოლია. სამაგიეროდ, ისეთი თანაგუნდელები მყავდა, რომლებიც მომავალში „დიდების დარბაზის“ წევრები იქნებიან და ასეთი დონის მოთამაშეებთან ყოველდღიური ურთიერთობა და მათთან ერთად ვარჯიში უდიდესი გამოცდილებაა.

თანაგუნდელთაგან უფრო მეტად ვისთან მეგობრობდი?

ყველაზე ახლო ურთიერთობა მირზა ტელეტოვიჩთან მქონდა. ერთმანეთთან ბევრი რამ გვაკავშირებდა: ორივე ევროპელები ვართ, ორივე ერთ წელს გავხდით ახალწვეულები. ასევე გამოვყოფ პოლ პირსსა და კევინ გარნეტს – შესანიშნავ პიროვნებებს, მათთან ერთად გატარებული თითოეული დღე უდიდესი გამოცდილება იყო. კევინ გარნეტი არის საუკეთესო თანაგუნდელი, როგორც ნებისმიერმა სპორტსმენმა შეიძლება ინატროს. კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა რეჯი ევანსთან, რომელიც ძალიან სასაცილო და მხიარული პიროვნებაა. თუ მოეწონე, შენთან შესანიშნავად იქნება და კარგი მეგობარიც არის, თუ არადა, მაშინვე გაგარძობინებს; ძალიან პირდაპირ

რი ადამიანია. ჩვენ მშვენიერი ურთიერთობა გვქონდა.

ნიუ-იორკი როგორ მოგეწონა და ქალაქში თავს რამდენად კომფორტულად გრძნობდი?

ნიუ-იორკი საოცარი ქალაქია, თუმცა საცხოვრებლად ცოტა რთული. მოძრაობა ზედმეტად გადატვირთულია. „ბარკლის ცენტრამდე“ მისასვლელად დაახლოებით ორი საათი მჭირდებოდა, არადა, ტერიტორიულად „ბრუკლინის“ დარბაზი ჩემი სახლიდან არცთუ ისე შორს იყო.

როგორ ერთობოდი?

ბრუკლინში ნათესავებიც მყავს და ქართველი მეგობრებიც. პირველ წელს თავისუფალ დროს მათთან ერთად ვატარებდი, მეორე წელს კი დავოჯახდი. ნიუ-იორკში ბევრი გასართობია: მუზეუმები, ბროდვეის შოუები, რესტორნები, სხვადასხვა ღონისძიებები და ასე შემდეგ.

„ბრუკლინ ნეტსიდან“ „ჩიკაგო ბულზში“ გადახვედი. ამ ტრანსფერმა თუ გაგახარა და ლეგენდარულ გუნდში რა გამოცდილება მიიღე?

ევროპაში წამოსვლა და სათამაშო პრაქტიკის მიღება უკვე გადამწყვეტილი მქონდა, როდესაც ჩიკაგოდან დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ჩემი გადაბირება უნდოდათ. მათ ბევრი ტრავმირებული კალათბურთელი ჰყავდათ და შემცვლელებს ეძებდნენ. ამ ამბავმა გამახარა, რადგან მეგონა, „ბულზში“ სათამაშო პრაქტიკას მივიღებდი; ჩემს პოზიციაზე „ჩიკაგოში“ არცთუ ისე ბევრი კალათბურთელი თამაშობდა. თუმცა, ყველაფერი სხვაგვარად განვითარდა და, ფაქტობრივად, სათამაშო დრო არ მომეცა. ეს მწვრთნელის სპეციფიკური დამოკიდებულების გამო მოხდა. როდესაც „ჩიკაგოში“ გადავედი, ახალგაზრდა კალათბურთელებმა თავიდანვე მითხრეს, რომ ტომ ტიბოდო ახალბედებს ძალიან ცოტა სათამაშო დროს აძლევს და იგი ძირითადად მხოლოდ თავის ბირთვს ტვირთავს. რას იზამ, ყველა მწვრთნელს თავისებური მიდგომა აქვს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ტომ ტიბოდო შესანიშნავი სპეციალისტია და მისგან რაც გავიგე, იმითაც აღფრთოვანებული დავრჩი. ტიბოდო ალბათ საუკეთესო სპეციალისტია, ვისთანაც ოდესმე მიმუშავია.

დღეს შენ ესპანური „კუჩა ლაბორალის“ შემადგენლობაში თამაშობ. ამ ტრანსფერის შესახებ რას იტყვი?

ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ამ გუნდში თამაშის შესაძლებლობა მომეცა. უკვე ისეთ ასაკში ვარ, რომ ჩემთვის სათამაშო პრაქტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. NBA-ში დარჩენის შანსი მქონდა, „ვამინგტონ ვიზარდს“ და „ატლანტა ჰორნეტსს“ უნდოდა ჩემი აყვანა, მაგრამ სათამაშო დროს არავინ მპირდებოდა. შესაბამისად, ჩემი არჩევანი შევამჩერე „კუჩა ლაბორალზე“, რომელიც ევროპაში საკმაოდ ძლიერი გუნდია. ევროლიგაზეც ვასპარეზობთ და სათამაშო პრაქტიკაც მაქვს.

ცოტა ხნის წინ, ბასკური დერბის დროს მცირე ინციდენტი მოხდა. შენსა და „ბილბაო ბასკეტის“ მოთამაშე მარკო ტოდოროვიჩს შორის ხელჩართული ჩხუბი გაიმართა, რომელშიც სხვა მოთამაშეებიც ჩაერთვნენ. რას იტყვი ამ ინციდენტზე?

რაც მოხდა, ალბათ ყველამ ნახა. რა თქმა უნდა, უსიამოვნო ფაქტი იყო, თუმცა ინციდენტს არანაირი გაგრძელება არ მოჰყოლია. მეორე დღეს ტოდოროვიჩმა თავად დამირეკა და ყველაფერი მოგვარდა. ჩხუბისთვის ხუთთამაშისანი დისკვალიფიკაცია მომცეს.



NBA-ში დაბრუნებას აპირებ?

დიახ, რა თქმა უნდა. ევროპაში დაბრუნების მთავარი მიზანიც სწორედ ეს იყო, რომ განვითარებულიყავი და შემდეგ NBA-ში მეთამაშა. ზოგადად, ეს არცთუ ისე იშვიათად ხდება და იმედია, ჩემს შემთხვევაშიც ასე იქნება.

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების შანსებს როგორ შეაფასებ?

თუ ყველა ჯანმრთელად იქნება, შორს გასვლის ძალიან კარგი შესაძლებლობა გვექნება. ალბათ დღეს ჩვენი ქვეყნის კალათბურთის ისტორიაში უძლიერესი შემადგენლობა გვყავს და მთავარია, მოთამაშეები ჯანმრთელად იყვნენ.

საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელზე, იგორ კოკოშკოვზე რა აზრის ხარ?

იგორ კოკოშკოვი ძალიან კარგი სპეციალისტია. შედეგით სახეზეა, უკვე 7-8 წელია ნაკრებშია და ყოველ წელს გარკვეულ შედეგს ვაჩვენებთ. რა თქმა უნდა, შეცდომები

ყველას აქვს და თუ კონკრეტული თამაშის გამო მას ვინმე გააკრიტიკებს, ეს გასაგებია; მაგრამ, საერთო ჯამში, იგორ კოკოშკოვი ძალიან კარგი მწვრთნელია.

ერთი ერთზე თამაში ყველაზე მეტად ვისთან გაგჭირვებია?

დუეინ უეიდს გამოვყოფდი. მის წინააღმდეგ დაახლოებით შვიდი წუთი მომიწია თამაში და რა შეიძლება ითქვას; დუეინ უეიდს ჩემი დახასიათება არ სჭირდება...

შენი თამაშის რომელი კომპონენტების განვითარებას და დავუნაწავს ცდილობ?

ძირითადად ვცდილობ, სროლა გამოვასწორო და ამას დიდ ყურადღებაც ვაქცევ. ბევრს ვვარჯიშობ და იმედია, ნელ-ნელა პროცენტს გავაუმჯობესებ. თავისუფალ დროს ხშირად დარბაზში ვატარებ და სროლაში ვვარჯიშობ.

ვინ არის შენი საყვარელი სპორტსმენი?

ეს მანუ ჯინობილია. ზოგადად, „სან ანტონიო სპარსის“

გულშემატკივარი ვარ.

საყვარელი სამზარეულო?

ქართული და აზიური სამზარეულო მომწონს. ტაილანდურ და იაპონურ კერძებს ვანიჭებ უზირატესობას.

საყვარელი ფილმი/რეჟისორი/მსახიობი?

კინო ძალიან მიყვარს. მგზავრობა ხშირად მიწევს და ფილმებს ძირითადად ამ დროს ვუყურებ ხოლმე. ერთ კონკრეტულ ფილმს ვერ გამოვყოფ. ჩემი საყვარელი მსახიობი დენზელ ვაშინგტონია.

დამწყებ კალათბურთელებს რა რჩევას მისცემ?

გამოიყენეთ თავისუფალი დრო და რაც შეიძლება ბევრი ივარჯიშეთ. იფიქრეთ იმაზე, რომ, როდესაც ერთობით, ან კომპიუტერთან თამაშობთ, ამ დროს სხვა მოთამაშე ვარჯიშობს და წარმატების მისაღწევად ძალეებს არ ზოგავს. თუ გინდა, ვინმეზე უკეთესი იყო, მასზე მეტი უნდა ივარჯიშო. ==

Wings For Life World Run



ზურგის ტვინის ტრამვის გამო ბევრი ადამიანი სამუდამოდ ეტლს ეჯაჭვება. ამ უმძიმეს დაზიანებას ყველაზე სწორად ექსტრემალური და სპორტსმენები იღებენ. ტრამვასთან ბრძოლა პერსპექტივაში შესაძლებელია, თუმცა დაავადების გამოსაკვლევად ძალიან დიდი თანხებია საჭირო. სწორედ ამ თანხების მოსაზიდად, ყოველწლიურად კომპანია „რედ ბული“ ატარებს უპრეცედენტო მასშტაბის გარბენს, რომელიც მსოფლიოს ბევრს ქვეყანაში ერთდროულად იმართება.

Wings for Life World Run-ის უნიკალურობა იმაში მდგო-

მარეობს, რომ არ არის განსაზღვრული ტრასის მანძილი და დრო, არ არსებობს ფინიშის ხაზი. ტრადიციული ფინიშის ხაზის ნაცვლად არის სპეციალური „ფინიშ მანქანა“, რომელიც სტარტიდან 30 წუთში იწყებს სვლას და წინასწარ დადგენილი სიჩქარით (15 კმ/ს - 20 კმ/ს - 25 კმ/ს) მოძრაობს. როგორც კი ფინიშ მანქანა გადაუსწრებს მორბენალს, ის ავტომატურად ეთიშება შეჯიბრს.

შარშან მონაწილე ქვეყნების რიცხვს საქართველოც შეუერთდა. ღონისძიებაში მონაწილეობა ბევრმა მოხალისემ მიიღო

და გარბენიც წარმატებით შედგა. გამარჯვებული ანატოლი ოლეინიკოვი გახდა, რომელმაც 52.65 კილომეტრის დაფარვა შეძლო.

მსოფლიო გარბენი წელსაც გაიმართება. 3 მაისს, ასიათასობით ადამიანი 33 ქვეყნიდან კვლავ გაერთიანდება იმისთვის, რომ ზურგის ტვინის დაზიანება განკურნებადი გახდეს. Wings for Life World Run 2015 მსოფლიო ისტორიაში ყველაზე მასშტაბური სპორტული ღონისძიება იქნება.

რეგისტრაცია უკვე დაწყებულია. სტარტის ადგილი უცვ-

ლელია: ლოპოტას ტბის ჩასახვევი, თელავი – ყვარელის გზატკეცილის მე-10 კილომეტრი. დარეგისტრირდი და ირბინე მათთვის, ვისაც ეს არ შეუძლია!

რეგისტრაცია მიმდინარეობს მისამართზე: www.wingsforlifeworldrun.com/ge/ka

ცხელი ხაზი/კორპორატიული რეგისტრაცია: 570 200070

რეგისტრაცია შესაძლებელია 18+ ასაკის მონაწილეებისთვის. ☑☑

ბიორნ ბორგი

ლევან ბიბინიშვილი



მთავარი კონკურენტი, ამერიკელი ჯიმი კონორსი ამბობდა: „დარწმუნებული ვარ, როდესაც სასტუმროს ოთახში შედის, იქაურობას სულ მილენ-მოლენავს, იმიტომ, რომ ადამიანისთვის შეუძლებელია მოითმინოს იმდენი, რამდენსაც კორტზე ეს ადამიანი ითმენს“. სიმშვიდესა და თავშეკავებულობასთან ერთად, ბორგს წარმოუდგენელი გამძლეობა და ხასიათის სიმტკიცე ახასიათებდა; ამის გამო მას „გიბრალტარის კლდესაც“ კი უწოდებდნენ. ასეთი ხასიათი შვედს დაბადებიდან არ დაჰყოლია. ეს თვისება ბორგმა ტიტანური შრომის წყალობით გამოიმუშავა. პირიქით, ძალიან ფიცხი, მძიმე ხასიათის ბიჭი იყო და 14 წლისა კორტზე ისე ცუდად იქცეოდა და ჩოგნებს აქეთ-იქით ისე ისროდა, რომ შვედეთის ჩოგბურთის ფედერაციამ ერთწლიანი დისკვალიფიკაციაც კი მიუსაჯა. „ამის მერე ჩემს თავზე მუშაობა დაიწყო და მსგავსი გამოსტომები ავიკრძალე“, – ჰყვებოდა ბორგი. ბურთის გათამაშებების დროს თავისი მოთმინების შესახებ აფორიზმად ქცეულ ფრაზას ამბობდა: „ჩოგბურთში ყველაფერი ძალიან მარტივადაა: უბრალოდ, ერთი ბურთით მეტი უნდა გადაადგო მონინალმდეგის ნახევარზე“, – ალბათ სწორედ ამას ფიქრობდა, როდესაც, 1978 წელს, გილერმო ვილასთან თამაშის დროს, როლან გაროს ფინალში, ერთ-ერთი ქულა 86 გათამაშებაში მოიგო.

ბორგმა ექვსჯერ საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე და ხუთჯერ ზედიზედ უიმბლდონზე გაიმარჯვა. დღესდღეობით ეს ორივე რეკორდი მოხსნილია (როლან გაროზე რაფაელ ნადალმა გაუსწრო, ხოლო უიმბლდონზე პიტ სამპრასმა და როჯერ ფედერერმა), მაგრამ კომბინირებულად, ორ ასეთ განსხვავებულსაფრიან ტურნირზე ბორგივით სტაბილური შედეგი დღემდე ვერავინ გაიმეორა. ასევე ჯერჯერობით მიუნხენდომელია მისი გასაოცარი რეკორდი: შვედმა 1976 წლის უიმბლდონი, 1978 და 1980 წლების როლან გაროსი ისე მოიგო, რომ ერთი სეტიც კი არ ნაუგია! ბორგს არ უმართლებდა დიდი სლემის ბოლო ტურნირზე, ამერიკის ღია ჩემპიონატზე, რომლის ფინალშიც ოთხჯერ გავიდა. იქ დრამატულ ორთაბრძოლებში თავის ბადალ ორ სხვა ვარსკვლავთან, ამერიკელებთან, ჯიმი კონორსთან და ჯონ მაკინროსთან მარცხდებოდა.

ბორგის სტილი უფრო თავდაცვითი იყო: მან ჩოგბურთში ახლებური დარტყმა, ე. წ. „მძიმე თოფსფინი“ დაამკვიდრა. შვედმა იმ დროისათვის წარმოუდგენელი რეკორდი დაამყარა – მან ექვსჯერ საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე და ხუთჯერ ზედიზედ უიმბლდონზე გაიმარჯვა. დღესდღეობით ეს ორივე რეკორდი მოხსნილია (როლან გაროზე რაფაელ ნადალმა გაუსწრო, ხოლო უიმბლდონზე პიტ სამპრასმა და როჯერ ფედერერმა), მაგრამ კომბინირებულად, ორ ასეთ განსხვავებულსაფრიან ტურნირზე ბორგივით სტაბილური შედეგი დღემდე ვერავინ გაიმეორა. ასევე ჯერჯერობით მიუნხენდომელია მისი გასაოცარი რეკორდი: შვედმა 1976 წლის უიმბლდონი, 1978 და 1980 წლების როლან გაროსი ისე მოიგო, რომ ერთი სეტიც კი არ ნაუგია! ბორგს არ უმართლებდა დიდი სლემის ბოლო ტურნირზე, ამერიკის ღია ჩემპიონატზე, რომლის ფინალშიც ოთხჯერ გავიდა. იქ დრამატულ ორთაბრძოლებში თავის ბადალ ორ სხვა ვარსკვლავთან, ამერიკელებთან, ჯიმი კონორსთან და ჯონ მაკინროსთან მარცხდებოდა.

ბიორნ ბორგმა და ჯიმი კონორსმა (მოგვიანებით მათ ახალგაზრდა ჯონ მაკინროი და ივან ლენდლიც შეუერთდნენ) განსაზღვრეს „ჩოგბურთის ამინდი“ სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან ოთხმოციანი წლების პირველ ნახევრამდე. ეს არ იყო ერთი ჩოგბურთელის უპირობო დომინანტობის ეპოქა, როგორც, მაგალითად, პიტ სამპრასის ან როჯერ ფედერერის პერიოდში. ამიტომ ამ გრანდების მძაფრი და უკომპრომისო კონკურენცია განსაკუთრებულ ხიბლსა და მიმზიდველობას ანიჭებდა ჩოგბურთს. ბორგმა, კონორსმა და მაკინროიმ ერთმანეთთან ლეგენდარული მატჩები ითამაშეს. ეს იყო შეხვედრები, რომლებმაც ჩოგბურთის ის-

„იურმალაში ბორგი იყო!“ – მითხრა სატელეფონო საუბრისას ჩემმა დეიდაშვილმა ირაკლიმ, თავის ასაკში ყოფილმა საქართველოს ჩემპიონმა. იმ დროს, 1982 წელს, 10 წლის ვიყავი და ის-ის იყო მამაჩემთან ერთად რიგაში ჩავფრინდი, ჩემს პირველ გასვლით ტურნირში მონაწილეობა რომ მიმელო, რომელიც იურმალაში ტარდებოდა. არ ვიცი, ტელეფონში ხმა ცუდად ისმოდა, თუ, უბრალოდ, „იურმალას“ და „ბორგის“ გაგონება ჩემთვის საკმარისი იყო, სასურველი დასკვნა გამომეტანა: „ბორგი ახლა იურმალაშია და მეც იქ მივდივარ!“

ის ჩემი კერპი იყო. იმ დროს, როცა ჩოგბურთს სსრკ-ში, როგორც ბურჟუაზიულ სპორტს, არ სწყალობდნენ და საჩოგბურთო რეპორტაჟებსაც ტელევიზიით საერთოდ არ აჩვენებდნენ, ამ უდრეკი შვედის ფოტოსურათებსა და მასზე დაწერილ ყველა სტატიას ვაგროვებდი. ჯერ არ მენახა მისი თამაში, მისი მოძრაობები, მაგრამ წაკითხულიდან ბევრი რამ ვიცოდი და საკუთარი წარმოსახვით ძალიან შთამბეჭდავ კადრებს ვხედავდი. წარმოიდგინეთ, ჩემთვის როგორი იმედგაცრუება იქნებოდა, როდესაც აღმოჩნდა, რომ ბორგი

იურმალაში არა მაშინ, არამედ რამდენიმე წლით ადრე ყოფილა... 1975 წელს, დევისის თასის ტურნირზე, რომელზეც ჩვენი ალექსანდრე მეტრეველი დაემარცხებინა.

იურმალაში პირველი მატჩი ცენტრალურ კორტზე დამინიშნეს, სადაც ბორგს უკვე ეთამაშა. პირველ სეტს 5:1 ვაგებდი და მატჩი საბოლოოდ 7:5, 6:0 მოვიგე – აბა, რას ვიზამდი ბორგის კორტზე!

ბიორნი იყო მისტიკური, გრძელ-ოქროსფერ-თმიანი, ლამაზი, თითქოს „ანგელოზივით“ მშვიდი. მას მერე ჩოგბურთის არც ერთი ვარსკვლავი არ ყოფილა ასეთი იდუმალი და აუღელვებელი: ის არასოდეს აგდებდა ჩოგანს ძირს, როგორც ამას ხშირად მისი თანამედროვე ჯონ მაკინროი აკეთებდა. ვერ გაიგონებდით კორტზე მის ყიჟინას ჩაგდებული ბურთის შემდეგ, რაც ჩვეულებრივი რამაა, მაგალითად, როჯერ ფედერერისთვის; მით უმეტეს, წარმოუდგენელი იყო ბორგისგან რაიმე ღვარძლიანი ან ნიშნისმომგები შეესტი. ამგვარი „ზეადამიანური“ სიმშვიდე ბიორნის მონინალმდეგებზე მომწესხველად მოქმედებდა. მისი ერთ-ერთი

სიმშვიდესა და თავშეკავებულობასთან ერთად, ბორგს წარმოუდგენელი გამძლეობა და ხასიათის სიმტკიცე ახასიათებდა.

ტორიაში ადგილი სამუდამოდ დაიმკვიდრეს: მაგალითად, კონორსი-ბორგის ნახევარფინალი 1981 წლის უიმბლდონზე, როცა მეხუთე სეტში ბორგი 4:0-ს იგებდა და კონორსმა ანგარიში გაათანაბრა, საბოლოოდ კი სეტი ბორგის გამარჯვებით 6:4 დასრულდა. როდესაც ბორგს ჰკითხეს, რას იზამდი, 4:0 ანგარიშის მერე რომ ნაგეგოო, თავს მოვიკლავდიო, უპასუხა – ხუმრობით, იმეღია; ან უიმბლდონის დაუვინყარი ფინალი 1980 წელს, როცა ბორგი ჩოგბურთის ამ მთავარი ტურნირის ჩემპიონი ზედიზედ მეხუთედ გახდა. ხსენებულ მატჩში უზარმაზარი ინტრიგა იდო, რადგან უკვე აღიარებულ და დამკვიდრებულ შვედ ვარსკვლავს ხელთათ-

მანს ესროდა ფიცხი ამერიკელი ბიჭი, გენიალური ცაცია ჯონ მაკინროი, რომელიც რადიკალურად განსხვავებული სტილით თამაშობდა: უფრო აქტიური და შემტევი, უძლიერესი ჩანოდებით და უფრო მიზანსწრაფული ბადესთან გაჭრისა და ქულების სწრაფად მოგებისკენ, თან სკანდალური ქცევითა და კორტზე ხულიგნური გამოსდომებით ცნობილი. ფაქტობრივად, ერთმანეთს არა მარტო ორი სტილი, არამედ ორი განსხვავებული მსოფლმხედველობა უპირისპირდებოდა. საოცრად დრამატული იყო ამ მატჩის მეოთხე სეტი, როდესაც ტაი-ბრეიკი 18 ბურთამდე გაგრძელდა და ბოლოს მაკინროიმ ხუთი მატჩბოლის გადარჩენით 18:16 მოიგო. სხვა ნებისმიერი მოთამაშე გატყდებოდა, მაგრამ

ში? ან იფიქრა, რომ ჩოგბურთზე ასეთი „თავგადაკლულობა“ მის სამყაროს ავინოებდა? ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა, რომ სპორტიდან წასვლის მთავარი მიზეზი ATP-ის მძიმე გრაფიკი იყო, რომელიც მეგობრებსა და ახლობლებთან სრულფასოვანი ურთიერთობის საშუალებას არ აძლევდა. ბორგი არ ჩადიოდა ავსტრალიაში, დიდი სლემის პირველ ტურნირზე. საკუთარ თვითნებობას კი იმით ხსნიდა, რომ წელიწადის ამ დროს დასვენება სჭირდებოდა. „მე ყოველთვის ჩემს პირობებს ვუყენებდი ცხოვრებას“, – წერდა ბორგი. მართლაც, ჩოგბურთიც ხომ თვითნებურად აირჩია: მე-9 კლასში სკოლას თავი დაანება და ცხოვრება მთლიანად ჩოგბურთს მიუძღვნა. შემდგომაც, 25 წლის ასაკ-



ბიორნ ბორგი, ჯონ მაკინროი

ბორგმა, თითქოსდა არაფერიო, მშვიდად გააგრძელა თამაში და გადამწყვეტი სეტი 8:ნ მოიგო – ულამაზესად დარტყმულმა ბექჰენდმა ბადესთან გამოსულ მაკინროის მარცხნივ ჩაუქროლა და კორტში ჩაეშვა. ბორგი მუხლებზე დაეცა და თავი უნებლიე ლოცვის პოზაში ცისკენ აღმართა: კადრი, რომელიც ჩოგბურთის ფოტომატიანეში სამუდამოდ შევიდა.

სამწუხაროდ, ბორგმა საჩოგბურთო კარიერა ძალიან ადრე, 25 წლის ასაკში დაასრულა. რა იყო ამის მიზეზი? ის, რომ ახალ ვარსკვლავებთან, მაკინროისა და ლენდლისთან კონკურენცია უმძიმდა? თუ, უბრალოდ, მოჰბეზრდა თამა-

ში, ასევე თვითნებურად მოისურვა ჩოგბურთს მიღმა არსებული სამყარო შეეცნო და კარიერის ზენიტში შეეშვა დიდ სპორტს, რაც უზარმაზარი შოკი იყო, პირველ რიგში, მისი უშუალო კონკურენტებისთვის. „ჩვენ ხომ ვზრდით ერთმანეთს, და წარმოიდგინეთ ჩემი განზილება, როდესაც ბორგი სპორტიდან წავიდა“, – ამბობდა მისი არქიმეტოქე ჯონ მაკინროი. მაგრამ ბორგისთვის ცხოვრება, როგორც ჩანს, ჩოგბურთით არც იწყებოდა და არც მთავრდებოდა. რამდენიმენლიანი პაუზის შემდეგ ბიორნმა სცადა ჩოგბურთში დაბრუნება, თუმცა დროის უკან დატრიალება ვეღარ შეძლო... მოგებული 11 სლემის და ATP-ის 64 ტურნირით, 609-127

მოგებულ-წაგებული მატჩების ბალანსით, ხუთგზის ზედიზედ მოგებული უიმბლდონით (ეს ყველაფერი 25 წლამდე ასაკში!) და ყოვლისდამჩრდილავი პიროვნული ქარიზმით მან ჩოგბურთის ისტორიაში, როგორც ყველა დროის ერთ-ერთმა უდიდესმა ჩოგბურთელმა, ადგილი სამუდამოდ დაიმკვიდრა.

2012 წლის სექტემბრის ბოლოა. „დუდუ! – მესმის მობილურში ნასვამი მეგობრის, ლაშას ალტაცებული ხმა, – შარდენზე ვართ, გამო. ბორგი ზის ჩვენ გვერდით მაგიდაზე“. არ დავუჯერე: ვიფიქრე, ასეთი მეთოდით სახლიდან ჩემს გამოტყუებას ცდილობდა. მესამედ რომ დამირეკა, გადავწყვიტე, შემეველო, რადგან მეგობრებს ჩემი ნახვა ასე ძალიან უნდოდათ. მისვლისთანავე კაფე „შარდენ 12“-ის წინ მდგარ მაგიდასთან ქართველ ლეგენდას – ალექსანდრე მეტრეველს მოვკარი თვალი და მაშინვე მივხვდი, რომ ლაშა არ მატყუებდა: შემდეგი, ვინც დავინახე, მაგიდის თავში მჯდომი გრძელთმიანი ბიორნ ბორგი იყო. მცირე ხნის მერე მივედი და ყველას მივესალმე, ბორგს კი ვკითხე, შემეძლო თუ არა მის გვერდით დაჯდომა და მცირე ხნით გამოლაპარაკება. 10-15 წუთი ვისაუბრეთ და თავს ბედნიერად ვგრძნობდი. „იურმალაში იმ კორტზე მითამაშია, სადაც თქვენ მეტრეველი დაამარცხეთ“, – ვუთხარი. „მერე, ჰკითხე ალექსს, ანგარიში თუ ახსოვს?“ – მითხრა ლიმილით, მეტრეველის გასაგონად. ქართველმა მხრები აიჩეჩა. „7:5, 6:3“, – თქვა ბორგმა. მას 37 წლის წინანდელი მატჩის ანგარიში ახსოვდა! სახლში რომ დავბრუნდი, გრძნობებს ვერ ვიტყვი და ბორგს ჩემი განცდა ლექსში გამოვუხატე. ერთი სტროფი ასეთი იყო:

“I spoke to you.
You listened, Bjorn,
And something lost
In me was born,
My hidden, secret
Wimbledon!” ==





ჯეორჯიან რაგბი და საქართველო

ლუკა ჭოჭუა

თებერვალში ქართველი გულშემატკივრისათვის საინტერესო ორი ევროპული ტურნირი დაიწყო – „შოტლანდიის სამეფო ბანკის ექვსი ერი“ და „რაგბი – ევროპის ჩემპიონატი“ („ევროპის ერთა თასი“). პირველ ტურნირზე ევროპული გრანდების ექვსეული ერთმანეთს საუკეთესოს გამოსავლენად ეჯიბრება, ხოლო „რაგბი – ევროპის ჩემპიონატი“, რომელსაც „ექვსი ერი B“-საც უწოდებენ, ქართველი ბორჯღალოსნები ასპარეზობენ.

„ევროპის ერთა თასის“ გამარჯვებული წელსაც საქართველოს ნაკრები გახდა, თუმცა ტურნირის საბოლოო შედეგზე უფრო მნიშვნელოვანი ამ ეტაპზე ნაკრების თამაშის ხარისხია. ბორჯღალოსნები პრაქტიკულად 2015 წლის მსოფლიო თასისთვის ემზადებოდნენ და მთავარმა მწვრთნელმა, მილტონ ჰეიგმაც არაერთგზის შეგვახსენა, რომ შემადგენლობის მხრივ განხორციელებული ექსპერიმენტები სწორედ ამ მზადებასა და ახალგაზრდა მოთამაშეების ზრდას ემსახურება. დადებითი მომენტი, რომელიც აშკარად ჩანს, ისაა, რომ ფაქტობრივად თითოეულ პოზიციაზე კონკურენციამ მოიმატა. ბოლო მატჩებში ძალიან კარგად გაისარჯუნენ ლამა ლომიძე („ბეზიე“, საფრანგეთის „პრო დივიზიონი-2“) და ბექა ბინაძე (თბილისის „ლოკომოტივი“), რომლებმაც რვა ნომრის პოზიციაზე ითამაშეს. რუსეთთან შეხ-

ვედრაში ძალიან კარგად გამოიყურებოდა უკანასხაველი გიორგი აფციაური (ქუთაისის „აია“), რომელმაც ფინტებით რუს მცველებს თავბრუს დაახვია და ნაკრებში რეგულარულად თამაშზე სერიოზული განაცხადი გააკეთა; მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ ნაკრების მგეზავს, ლამა ხმალაძეს (ლელო სარასენს) ტრავმის გამო ფრთიდან და ფულბეკზე (15 ნომერზე) გადასვლა მოუწია. კარგად გაისარჯა მეორე ახალგაზრდა ფრთა, ბოლნისის „ყოჩების“ ნევერი ალექსანდრე ხუციშვილიც, რომელმაც თავგანწირული თამაშით დაგვამახსოვრა თავი. ასევე გასახარია, რომ 9 ნომრის პოზიციაზე, რომელიც ირაკლი აბუსერიძის „პენსიაზე“ დამსახურებულად გასვლის შემდგომ ქართული რაგბის „აქილევსის ქუსლად“ იქცა, უკვე გამოცდილ გიორგი ბეგაძეს (ბოლნისის „ყოჩები“) ახალგაზრდა ვაჟა ხუციშვილმა (რუსთაველის „ხარები“) და ვასილ ლობჯანიძემაც („არმაზი“) აუბეს მხარი. შესაბამისად, ამ პრობლემურ პოზიციაზე სამი თანაბარი დონის კანდიდატი გამოჩნდა. „აქილევსის ქუსლი“ ვახსენეთ და, პირდაპირ საქართველოს ნაკრების დერეფნები („აუტები“) გამახსენდა. წელს პრაქტიკულად არც ერთ სათამაშო კომპონენტში (მაღალ სისწრაფეებზე ხელით თამაშშიც კი) არ გამოვიყურებოდით ისე ცუდად, როგორც დერეფ-



ნებისას, რადგან ვაგებდით ჩვენივე „აუტებს“ და მონინააღმდეგეებსაც იშვიათად ვუქმნდით პრობლემებს. ამას თავისი სუბიექტურ-ობიექტური მიზეზები აქვს: შალვა მამუკაშვილისა („სეილ შარქი“, ინგლისის „პრემიერშიფი“) და ჯაბა ბრეგვაძის („ყოჩები“) ტრავმები, ბოლო მატჩამდე ირაკლი ნატრიაშვილის („ტულე“, საფრანგეთის „ფედერალ-1“) გამოუძახებლობა და ა. შ. რუმინეთთან აღნიშნული კომპონენტის საგრძობლად გავაუმჯობესეთ და ამაში უდიდესი წვლილი სწორედ ნატრიაშვილის ძირითად შემადგენლობაში დაყენებამ შეიტანა. იმედია, შალვა მამუკაშვილი და ჯაბა ბრეგვაძეც დროულად აღიდგენენ ფორმას და მსოფლიო ჩემპიონატამდე ამ პოზიციაზეც მაღალი კონკურენცია იქნება.

კიდევ ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა ვასილ ლობჯანიძეზე. ბავშვობაში ჩემმა მწვრთნელმა ლევან სოხაძემ მითხრა, მთავარია, ცხრა ნომერი ბურთთან „თქვენობით“ კი არა, „შენობით“ იყოსო. ამ მოთხოვნას ახალგაზრდა ლობჯანიძე სრულიად აკმაყოფილებს და მას მაღალი დონის მოთამაშედ ჩამოყალიბების კარგი შანსი აქვს.

თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ განვლილ მატჩებში საქართველოს ნაკრები მხოლოდ ეპიზოდურად გვარჯებდა იმ თამაშს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატების მისაღწევად არის საჭირო, თუმცა ბორჯღალოსნებმა ყველა მატჩი დამაჯერებლად მოიგეს.

„შოტლანდიის სამეფო ბანკის“ ტურნირი წელს უზომოდ საინტერესო გამოვიდა. ასეთი დამაბული და საინტერესო „ექვსი ერის“ ტურნირი მყურებელს დიდი ხანია არ უნახავს. ოთხი განვლილი ტურის შემდეგ ექვსიდან სამ გუნდს – ინგლისს, ირლანდიასა და უელსს, ექვს-ექვსი ქულით (სამი მოგება, ერთი

ნაგება), ჩემპიონობის სერიოზული შანსი ჰქონდათ. ბოლო ტურის წინ ინგლისი პირველ ადგილზე მხოლოდ მოპოვებულ და გაშვებულ ქულათა შორის სხვაობის გამო იყო.

მთლიანი ტურნირის მიმოხილვას არ მოვყვები, რადგან თუ პირველ ოთხ ტურში გუნდებმა 425 ქულა მოიპოვეს (ტურში

„ევროპის ერთა თასის“ გამარჯვებული წელსაც საქართველოს ნაკრები გახდა, თუმცა ტურნირის საბოლოო შედეგზე უფრო მნიშვნელოვანი ამ ეტაპზე ნაკრების თამაშის ხარისხია.

საშუალოდ 106.25 ქულა), მხოლოდ მეხუთე (დასკენით) ტურში 221 ქულა გავიდა, რაც მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს – ბოლო ტური სანახაობრობით და მატჩების დაძაბულობით ერთიათად აღემატებოდა მთელ დანარჩენ ტურნირს, რაც ერთდროულად ლოგიკურიცაა და ალოგიკურიც. ლოგიკური იმიტომ, რომ სწორედ ამ ტურში წყდებოდა ჩემპიონატის ბედი; ლიდერებს (ირლანდია, ინგლისი, უელსი) ტურნირის მოგებისათვის რაც შეიძლება ბევრი ლელოს დადებდა და ქულათა სხვაობის გაუმჯობესება ესაჭიროებოდათ. აუტსაიდერებს კი დასაკარგი არაფერი ჰქონდათ – მათ, უბრალოდ, თავიანთი საუკეთესო თამაში უნდა ეჩვენებინათ. შედეგად მივიღეთ საოცარი სარაგბო შაბათი, ოცდაექვსი (!!!) დადებული ლელო და ტურნირის ისტორიაში ერთ ტურში გასული ყველაზე მეტი ქულა. ალოგი-



კური კი იმიტომ, რომ გაუგებარია, თუკი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ასეთი ლალი ბურთაობა შესაძლებელი, პირველი ოთხი ტურის მანძილზე გუნდები ნაკლებად სანახაობრივ რაგბს რატომ თამაშობდნენ? მგონი, დროა, ექვსი ერის ტურნირზეც შემოვიდეს ბონუსქულის სისტემა, რათა გუნდებს ყველა ტურში რაც შეიძლება მეტი ლელოს დადების მოტივაცია ჰქონდეთ.

საბოლოო ჯამში, ირლანდიამ ქულათა უკეთესი სხვაობით ზედიზედ მეორედ და სრულიად დამსახურებულად მოიგო „ექვსი ერის“ თასი, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტურნირის მოგებას ინგლისი და უელსიც მათზე არანაკლებ იმსახურებდა.

„ექვსი ერისა“ და „ერთა თასის“ საბოლოო შედეგებით ერთი საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა: პირველად ისტორიაში „მსოფლიო რაგბის“ რეიტინგში ევროპული გუნდი უსწრებს „ექვსი ერის“ წარმომადგენელს (იტალიას) და ეს ევროპული გუნდი საქართველოს ნაკრებია. 23 მარტიდან საქართველომ და იტალიამ მსოფლიო რეიტინგში ადგილები გაცვალეს. ბორჯღალოსნებმა შეუძლებელი შეძლეს და მსოფლიო რაგბს ახალი თავსატეხი გაუჩინეს.

საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ყოველწლიურად იმსახურებს უმაღლესი დონის მეტოქეებთან თამაშს და თუკი „ექვსი ერის“ ტურნირში ჩვენი ჩართვა შეუძლებელია (გეოგრაფიული, ფინანსური თუ მარკეტინგული მიზეზების გამო), იმას რაღა უდგას წინ, რომ „ჩის კოვზის მფლობელი“, ანუ „ექვსი ერის“ ტურნირის ბოლო ადგილოსანი ევროპის „ერთა თასის“ გამარჯვებულს ყოველწლიურად ეთამაშოს? კარგი იქნება, თუკი ამ კითხვაზე პასუხს უახლოეს მომავალში გავიგებთ. მანამდე კი, იმედია, ბორჯღალოსნები კიდევ უფრო

ხმამალალ სიტყვას იტყვიან და მსოფლიო რაგბის მესვეურებს კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებისაკენ უბიძგებენ.

მანამდე კი ძალიან გაგვახარეს 18 ნლამდე ნაკრების მორაგბეებმა, რომლებიც 2015 წლის ევროპის ვიცეჩემპიონები გახდნენ და საქართველოში ვერცხლის მედლები ჩამოიტანეს. მეოთხედფინალში მათ ირლანდია დაამარცხეს და ეს უკვე დიდი მიღწევა იყო, მაგრამ თერამეტწლამდელეებმა ეს არ იკმარეს და ნახევარფინალში იტალიასაც აჯობეს. საბოლოოდ საქართველოს ასაკობრივმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში ითამაშა. გუნდურ სპორტში ასეთი დიდი წარმატებისთვის, თუნდაც ასაკობრივ ნაკრებებში, პრაქტიკულად არასოდეს მიგვიღწევია. სამწუხაროდ, ფინალში მასპინძელ საფრანგეთის ნაკრებთან დიდი ანგარიშით დავმარცხდით, თუმცა ამაზე მნიშვნელოვანი ის რეაქციაა, რომელიც ბიჭებს ამ მარცხის შემდეგ ჰქონდათ. მიუხედავად ვერცხლის მედლებისა (რომელზეც ტურნირზე წასვლამდე ვერც კი ვიოცნებებდით), მორაგბეებმა მოედანი დაღვრემილი სახეებით დატოვეს, ხოლო შემდეგ კი სოციალურ ქსელში გულშემატკივარს ბოდიში მოუხადეს. ეს დამოკიდებულება მხოლოდ მომავალ ჩემპიონებს აქვთ. ისიც გავითვალისწინოთ, რომ როდესაც ჩვენი 17-18 წლის ბიჭები აბიტურიენტები არიან და უნივერსიტეტისთვის ემზადებიან (ზოგს სწავლა სწავია, ზოგსაც, რა დასამალია და, სავალდებულო სამხედრო სამასხურის გადავადება სურს, რათა სპორტსმენად ჩამოყალიბდეს), ფრანგი, ინგლისელი, ირლანდიელი, იტალიელი და შოტლანდიელი ახალგაზრდები დღეში ორჯერ, სრული დატვირთვით, პროფესიონალი სპორტსმენების რეჟიმით ვარჯიშობენ. ეს ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია ფიზიკურ მონაცემებში იმ დიდი სხვაობისა, რომელიც ასაკობრივ ნაკრებებში განსაკუთრებით შესამჩნევია. ==



CINEMA CITY

ყუყურთ სსსურულ მაცრს საყაოულ ხალხთან რითად



მის: მოსაშვილის 24 | ტელ: (+995 32) 2 430 250 | FACEBOOK: CINEMA CITY.MYMOVIES.GE
WEB: WWW.MYMOVIES.GE



უკანასკნელი რაუნდი

ბიორბი ბარბაქაძე



1994 წლის 27 აპრილს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩატარებული საყოველთაო არჩევნების შედეგად ქვეყნის სათავეში ნელსონ მანდელა მოვიდა, რითაც საბოლოოდ დამარცხდა „აპარტეიდის“ სამარცხვინო რეჟიმი. მსოფლიომ ამ ფაქტის გამო თავისი კეთილი ნება გამოხატა და სამხრეთ აფრიკის სარაგბო ნაკრები დიდი ხნის დისკვალიფიკაციის შემდეგ მომდევნო წელს გასამართ მსოფლიო თასზე არათუ

დაუშვა, არამედ მასპინძლობის უფლებაც კი უბოძა. ეს იყო უდიდესი გამონეგვა, ტესტი, რომელიც მსოფლიოს წინაშე მთელ სამხრეთაფრიკელ ერს უნდა ჩაებარებინა.

1994 წლის სექტემბრის მზიან დილას იოჰანესბურგის ერთ-ერთ გარეუბანში მცხოვრები კრისტების ოჯახი საუზმისთვის ემზადებოდა, როდესაც ფოსტალიონმა კარზე მორიდებით დააკაკუნა და ოჯახის უფროსის, კირ კრისტის სახელზე

ორი წერილი მოიტანა. პირველი მათგანი რესპუბლიკური საავადმყოფოდან გახლდათ; მთავარი ექიმი იტყობინებოდა, რომ კირის ანალიზების პასუხები დამაიმედებელი უკვე აღარ იყო და ლეიკემიის მკურნალობა ნელ-ნელა კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა... ამ სიახლის გაუღერებამ ოჯახში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, თუმცა არა კირისთვის. მან დინჯად მეორე წერილიც გახსნა, რომელშიც მას სამხრეთ აფრიკის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი პირადად სთხოვდა, ქვეყნის ეროვნული ნაკრები ჩაებარებინა.

კირი წამიერად სხვა განზომილებაში გადავიდა და ფიქრებმა წაიღო: თვალწინ გაურბინა ბავშვობამ, მუშათა კლასის უბანში გატარებულმა ტკბილმა წლებმა, როდესაც თავის თანატოლებთან ერთად მთელი დღეები ოვალურ ბურთს დასდევდა მწვანე მოედანზე – ერთადერთ ადგილას, სადაც აპარტეიდის რეჟიმს ვერ შეეღწია. როდესაც ერთ გუნდში მოხვდებოდით, კანის ფერს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, აბსოლუტურად ყველა თანასწორი ხდებოდა. იბადებოდა ერთმანეთის ნდობა, მეგობრობა, ურთიერთგაბანა... გონებაში ნელ-ნელა ამოტივტივდა ინგლისში გატარებული სტუდენტობა, მშობლები... წამიერად გაიელვა უკვე წარმატებულმა სამწვრთნელო კარიერამ,

ამ ფორმაციის სამხრეთ აფრიკის ნაკრების ჩაბარება სრული სიბიჟე ბახლდამთ: ნაკრები ორად იყო გახლეჩილი – თეთრკანიანი მოთამაშეები შავკანიან თანაგუნდელებთან არათუ ერთ ოთახში ცხოვრებას, არამედ ერთად ვარჯიშსაც კი უარობდნენ. შედეგიც სახეზე იყო: აფრიკა კატასტროფული სხვაობებით აგებდა ახალ ზელანდიასთან, ავსტრალიასთან, ინგლისთან, საფრანგეთთან. სწორედ იმ ნაკრებებთან, რომელთანაც 8 თვეში მოუწევდა მსოფლიო თასზე დაპირისპირება და იქ ასეთივე შეცდომის დაშვება კირის სამწვრთნელო კარიერას პრაქტიკულად დაასამარებდა.

კლუბებმა, რომელთა სათავეშიც მან საყოველთაო პატივისცემას მოიპოვა. ეს ყველაფერი უკვე დასასრულისკენ მიექანებოდა...

კრისტის ყველაზე მეტად ის აშინებდა, რომ ბედისწერა ჯერ მის სახელს და წლების განმავლობაში მოპოვებულ პატივისცემას გაანადგურებდა და მხოლოდ ამის შემდეგ დასვამდა საბოლოო წერტილს. ამ ფორმაციის სამხრეთ აფრიკის ნაკრების ჩაბარება სრული სიბიჟე გახლდათ: ნაკრები ორად იყო გახლეჩილი – თეთრკანიანი მოთამაშეები შავკანიან თანაგუნდელებთან არათუ ერთ ოთახში ცხოვრებას, არამედ ერთად ვარჯიშსაც კი უარობდნენ. შედეგიც სახეზე იყო: აფრიკა კატასტროფული სხვაობებით აგებდა ახალ ზელანდიასთან, ავსტრალიასთან, ინგლისთან, საფრანგეთთან. სწორედ იმ ნაკრებებთან, რომელთანაც 8 თვეში მოუწევდა მსოფლიო თასზე დაპირისპირება და იქ ასეთივე შეცდომის დაშვება კირის სამწვრთნელო კარიერას პრაქტიკულად დაასამარებდა.

კირს უეცრად გონგის ხმა ჩაესმა – მის ცხოვრებაში ფინალური რაუნდი იწყებოდა, რეალურად კი, ეს პრეზიდენტის აპარატიდან განხორციელებული სატელეფონო ზარის ხმა იყო. ნელსონ მანდელა კრისტის პირადად სთხოვდა ამ თანამდებობის დაკავებას. ბრიტანელი მშობლების აღზრდილმა სამხრეთაფრიკელმა პატრიოტმა გადამწყვეტილება წამიერად მიიღო: ის უკანასკნელ რაუნდშიც ღირსეულად იბრძოლებდა.

მამაკაცების გავანსალების ცენტრი

სქესობრივი უძლეულება, პროსტატიტი ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზე) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმეზღვა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. თეთრი ცხელების, ნევროზების, დეპრესიის, შიშობის, შიმშილის, აკეიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განმეზღვა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება – დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგი 100%-იანი. უკუჩვენება - 0

ქვალ-სახსართა პრობლემები

კოქსარტროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული არტროზის, ანკილოზიზირების პონდილიტის, პოდაგრული არტრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მონესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციო სახსრებზე - ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, ნონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არ არის. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

ბახლოვა – გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იმინდება მთლიანად შლაკებისაგან, სისხლძარღვები-ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიური. დადებით სასურველ ნონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სივალევი ზრდის უახლესი, სწრაფი და უეჭვური პროგრამები 1-დან 25- წლამდე

კურსი 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.



მის: მებრო დილუბი, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართული, კაპინატი №6.

ტელ: (+995) 599 72-21-48, 599 72-21-38, 234-02-38 ქ-ნი ქაითეპანი

კიჩმა ნაკრების სათავეში მისვლის დღიდანვე რეფორმები წამოიწყო. პირველ რიგში, ეროვნული ნაკრებისკენ ფერად-კანთან მოთამაშეებს გაუხსნა გზა და ახალ კაპიტნად თავისივე შორეული ნათესავი, 27 წლის ფრანსუა პიენარე აირჩია.

გუნდი ათამაშდა. „სპრინგბოქსმა“ ტესტმატჩში ჯერ არ-გენტინა დაამარცხა, რასაც ბრიტანული ტურნე მოჰყვა: გამარჯვებები სტუმრად უელსსა და შოტლანდიასთან. „სპრინგბოქსის“ წევრებმა ერთმანეთის შესაძლებლობების ნელ-ნელა ირწმუნეს და წარმატების იმედიც გაჩნდა. თუმცა, ბუკმეიკერები ასე არ ფიქრობდნენ. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ სამხრეთ აფრიკა ფავორიტთა შორის მეცხრე ადგილზე იმყოფებოდა.

როდაც საკუთარი ნებით მოვიდნენ და „სპრინგბოქსის“ წევრებს ფანების განზილვის არანაირი მორალური უფლება არ გააჩნდათ.

კიჩ კრისტის დამოძღვრლმა გუნდმა პირველსავე მატჩში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონების დამარცხება ჯოელ სტრანსკის კარგი თამაშის წყალობით მოახერხა – 27:18. ფაქტობრივად, ეს უკვე ნიშნავდა, რომ მასპინძლები ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებდნენ და ტურნირის უმთავრეს ფავორიტ ახალ ზელანდიას სულ ცოტა ფინალამდე აღარ შეხვდებოდნენ. „სპრინგბოქსმა“ ჯგუფური ეტაპის დარჩენილი ორი მატჩი ერთი ამოსუნთქვით გაიარა, რომელთა დროსაც რუმინეთი და კანადა იოლად დაამარცხა. მასპინძელთა გუნდი პლეიოფის სტადიაზე გავიდა, რომელზეც მათი პირველი



1995 წლის 25 მაისს რაგბის მესამე მსოფლიო ჩემპიონატმა ოფიციალურად სტარტი აიღო. გახსნით მატჩში ტურნირის მასპინძლები მოქმედი ჩემპიონ ავსტრალიას უპირისპირდებოდნენ. იოჰანესბურგის ცენტრალური სტადიონი ბოლომდე გაივსო, თუმცა გულშემატკივართა შორის მაინც იგრძნობოდა ის ძველი წყენა და ტკივილი, რომელიც აპარტიდის რეჟიმმა მათში დატოვა. ამ ადამიანებს ერთმანეთისგან განასხვავებდა მხოლოდ კანის ფერი, მაგრამ ყველა მათგანი სამხრეთ აფრიკის ღვიძლი შვილი იყო; ისინი ვერ თანხმდებოდნენ, ფაქტობრივად, ვერც ერთ მცირე დეტალზე: დროშის ფერებზე, ეროვნული გუნდის ემბლემაზე. თუმცა, მათ აერთიანებდა სარაგბო ნაკრები, რომლის საგულშემატკივ-

მეტოქე დასავლეთ სამოა იყო. სამხრეთ აფრიკელებმა ეს ბარიერიც იოლად გადალახეს, რასაც მოჰყვა ნახევარფინალური ჯახი ფრანგებთან და მორიგი ტრიუმფი: კრუგერის გატანილ ერთადერთ ლელოს სტრანსკიმ 4 საჯარიმო დარტყმა მიაყოლა და „ქურციკები“ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ, სადაც მათ უკვე ელოდებოდა იმდროინდელი სარაგბო მონსტრი – „ოლ ბლექსად“ წოდებული ახალი ზელანდიის პრაქტიკულად უძლეველი ნაკრები, თავისი ახალგაზრდა ლიდერით – ჯონა ლომუთი, რომელიც ბრწყინვალე ფორმაში იმყოფებოდა და ტურნირზე ჩატარებულ 4 მატჩში მის ანგარიშზე უკვე 7 ლელო იყო. აქედან 4 ლომუმ ნახევარფინალურ სტადიაზე ინგლისს გაუტანა.





ფინალური მატჩის წინ გასახდელში ნელსონ მანდელა ჩავიდა, რომელმაც „სპრინგ ბოქსის“ ყველა წევრს ხელი თბილად ჩამოართვა და წარმატება უსურვა. სამხრეთაფრიკელთა ლიდერს პიჯაკის ნაცვლად ეროვნული გუნდის მაისური ემოსა...

„ქურსიკაბი“ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ, სადაც მათ უკვე ელოდებოდა იმდროინდელი სარაგბო მოსტრი – „ოლ ბლექსად“ წოდებული ახალი ზელანდიის კრაქტიკულად უძლიერესი ნაკრები, თავისი ახალგაზრდა ლიდერით – ჯონა ლოგუთი, რომელიც ბრწყინვალე ფორმაში იმყოფებოდა და ტურნირზე ჩატარებულ 4 მატჩში მის ანბარიზე უკვე 7 ლელო იყო.

მასპინძლები პირველ წუთებში ოდნავ დაზაფრულები იყვნენ, თუმცა მალევე დაწყნარდნენ. იაპი მულდერი ჯონა ლოგუს გასაქანს არ აძლევდა და ხშირად ზელანდიის ლიდერს აგრესიული ბოჭვებით უკან ახევენებდა. იოლ გამარჯვებებს მიჩვეული ახალი ზელანდია დაიბნა, მათ მედგარი წინააღმდეგობა პირველად შეხვდათ. ზელანდიელები ეთამაშებოდნენ ნაკრებს, რომლის ყველა წევრს დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა; მათი ცხოვრების ბედი სწორედ „ელის პარკზე“ წყდებოდა. 80-მა წუთმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა: 12:12. დაინიშნა დამატებითი დრო. მასპინძელთა მორიგი შეტევისას ჯოელ სტრანსკის დროული პასი მიუვიდა. სამხრეთაფრიკელმა 35 მეტრიდან არეკნი დაარტყა და ოვალური ბურთი მეტოქის ძელებს შუა ზუსტად გაატარა. მალევე საფინალო სასტვენიც გაისმა და სასწაულიც შედგა – სამხრეთ აფრიკის ახლად ჩამოყალიბებულმა რესპუბლიკამ უდიდესი გამარჯვება მოიპოვა: მსოფლიო თასის დებუტანტები საბოლოოდ ტურნირის ტრიუმფატორები გახდნენ. ზეიმობდა სამწვრთნელო შტაბი, მოთამაშეები, მომსახურე პერსონალი, სტადიონზე მოსული გულშემატკივარი. სამხრეთ აფრიკა ისევ ერთ დიდ ოჯახად შეიკრა.

კირ კრისტიმ თავისი ცხოვრების უკანასკნელ რაუნდშიც ღირსეულად გაძლო. ლეგენდარული სპეციალისტი ბოლომდე შეურყევლად იდგა, თუმცა ბედისწერამ ის მაინც არ დაინდო. სამხრეთ აფრიკის ყოფილი მთავარი მწვრთნელი 1998 წლის 22 აპრილს, ავადმყოფობასთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, 48 წლის ასაკში გარდაიცვალა. 2011 წელს სარაგბო სამყარომ ჯორჯ მორი „კირ“ კრისტი „დიდების დარბაზში“ შეიყვანა. ==



BIOXSINE

**შამპუნი,
რომელიც თმის
ცვენას აჩერებს**



ასეთი შამპუნი ნამდვილად არსებობს და საქართველოში ამის შესახებ უკვე შვიდი თვეა იცინან. ხოლო ვინც არ იცის, სასიხარულო აღმოჩენა ელის. ნერვიულობისა და ზედმეტი ძალისხმევების გარეშე შეძლებთ, დაძლიოთ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემა, თმის ცვენა, რომლის სამკურნალო საშუალება მცენარეული შამპუნი „ბიოქსინია“. მის გამოყენებას გამოაგნებელი შედეგები მოჰყვება.

„ეს არის რევოლუციური პროდუქტი“, – აღნიშნავენ მომხმარებლები. ისინი იმ ეფექტსა და დადებით თვისებებზე საუბრობენ, რომლის დახმარებითაც ბევრმა მათგანმა განკურნება შეძლო.

თუ როგორ განკურნოთ დაზიანებული თმა და შეინარჩუნოთ მისი სიჯანსაღე, ამის შესახებ „ბიოქსინის“ ხაზის მარკეტინგის მენეჯერი დიანა თვალთვაძე გესაუბრებათ: ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენი პროდუქტი მცენარეულია. „ბიოქსინია“ კომპანია „ბიოტას“ წარმოების ბრენდია. ეს პროდუქტია შამპუნები, შრატები და სპეციალური სპრეი. ყოველი მათგანი ბიოკომპლექს B11-ს შეიცავს. ეს არის უნიკალური ფორმულა, რომელიც ლაბორატორია „ბიოტასში“ შეიქმნა და რომელიც A და B ჯგუფის ვიტამინებს აერთიანებს. ისინი აჯანსაღებს და კვებავს თმის ფოლიკულს. „ბიოქსინი“ ასევე შეიცავს მინერალებს, ცნობილ ომეგა 6-სა და ომეგა 9-ს. მასში არის ცნობილი ნივთიერება აპიგენინი. სწორედ ამ სასარგებლო ნივთიერებების საშუალებით ახერხებს „ბიოქსინის“ პროდუქტია თმის ცვენის შეჩერებას.

თმის ცვენის საწინააღმდეგოდ რამდენიმე ხაზი გვაქვს: „ბიოქსინ ფემინა“ – სპეციალურად ქალბატონებისთვის, რომელთაც აწუხებთ თმის ცვენა, ან, უბრალოდ, სურთ, რომ შეინარჩუნონ თმის სიჯანსაღე. „ბიოქსინ ფემინას“ სპეციალური შამპუნი ოთხი ტიპის თმისთვის იწარმოება: ნორმალური და მშრალი თმისთვის, ცხიმიანი თმისთვის, ორსულობის შემდგომი პერიოდისათვის და ასევე გვაქვს ნანარმი „ორი ერთში“. ეს უკანასკნელი განკუთვნილია იმ ქალბატონებისთვის, რომელთათვისაც უცხო არ არის თმის ხშირი შეღებვა და ქიმიური დახვევა.

მამაკაცების სერია – შამპუნი ნორმალური, მშრალი და ცხიმიანი თმისთვის. ასევე ქერტლის საწინააღმდეგო სერია, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ როგორც მამაკაცებს, ასევე ქალბატონებს. საგანგებოდ მამაკაცებისთვის კომპანია „ბიოტამ“ შექმნა „ბიოქსინის სპრეი“, რომელიც თმაზე მათ დილით და საღამოს უნდა შეისხურონ და დაბანამდე დაიტოვონ.

„ბიოქსინ ფორტე“ – ეს არის პროფესიული ხაზი, რომელშიც შედის სპრეი და შამპუნი. იგი გამოიყენება თმის ძლიერი ცვენის დროს, დერმატოლოგთან კონსულტაციისა და ამა თუ იმ დიაგნოზის დადგენის შემდეგ. ეს ხაზი ძირითადად ანდროგინული ალოპეციის სამკურნალოდ შეიქმნა. მისი მოხმარება ასევე რეკომენდებულია სხვა ტიპის, მნიშვნელოვნად გამოხატული თმის ცვენის დროსაც.

მომხმარებელმა შამპუნი უნდა გამოიყენოს იმ სიხშირით, როგორცაა ზოგადად მოხმარს მას. ორი წუთის განმავლობაში აუცილებლად უნდა დაიტოვოს თავზე და მერე ჩამოიბანოს;

სპრეი კი ყოველდღიურად იხმაროს და სულ მცირე რვა საათის განმავლობაში გაიჩეროს. სასურველია, თუ შემდეგ დაბანამდე სპრეის თმაზე დაიტოვებენ.

„ბიოქსინი სერუმი“ – ეს არის „ბიოქსინი“ შრატის სახით, რომელიც მკურნალობის ერთი კურსისთვის საჭირო 24 ამპულას შეიცავს. არსებობს რამდენიმე სხვადასხვა სახის კურსი. თუ ქალბატონებს სურთ, რომ ის, უბრალოდ, ნიღბის სახით გამოიყენონ, შეუძლიათ კვირაში ერთხელ მოიხმარონ ერთი ამპულა; ხოლო თუ თმის ცვენა უკვე სერიოზულ პრობლემადაა ქცეული, არსებობს ლოპეციისკენ მიდრეკილება, მაშინ მათ სრული კურსის ჩატარება დასჭირდებათ. პირველი კურსი ზემოხსენებული 24 ამპულის სრულად გამოყენებით იწყება. მათ დღეგამოშვებით შეიზღუდონ თმაში და შემდეგ დაბანამდე დაიტოვებენ. მერე კი გადადიან ჩანაცვლებით კურსზე, რომლის დროსაც მხოლოდ ორ ამპულას გამოიყენებენ. დაბოლოს, დამატებითი კურსი კვირაში ერთი ამპულის გამოყენებით სრულდება.

– დაახლოებით რა პერიოდია იმისთვის საჭირო, რომ მივიღოთ სასურველი შედეგი, ანუ ჯანსაღი თმა?

– ორი თვის შემდეგ მომხმარებელი შედეგს თვალნათლივ დაინახავს. „ბიოქსინის“ პროდუქციამ კლინიკური კვლევები ევროპის ერთ-ერთ წამყვან ლაბორატორიაში, „დერმატესტ-ში“ (გერმანია) გაიარა. კლინიკურმა ტესტებმა აჩვენა, რომ „ბიოქსინის“ პროდუქციას არანაირი გვერდითი მოვლენები არ ახასიათებს, აბსოლუტურად სანდოა და დერმატოლოგიური

თვალსაზრისით სრულიად უსაფრთხოა.

ორთვიანი კლინიკური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ გამოკვლეულთა 90 პროცენტს თმის ცვენა შეუჩერდა. თავიდან, შამპუნის გამოყენების შემდეგ, შეიძლება თმის ინტენსიური ცვენა დაიწყოს. მომხმარებელი ამან არ უნდა შეაშინოს, რადგან ფოლიკულის განვითარების სამი ფაზა არსებობს: ანოგენი, კატოგენი და ტელოგენი. როდესაც თმა ტელოგენურ ფაზაშია, ფოლიკული არ ვითარდება და თმის ნაწილი აუცილებლად უნდა დაცვივდეს, რათა ის გადავიდეს აქტიურ ფაზაში, ანუ ანოგენურში. ამიტომ ასეთ დროს თმის ცვენა სასურველი შედეგია.

ჯადოსნური „ბიოქსინი“ და ირინა ონაშვილის რჩევა მამაკაცებს

„ყოველთვის უნდა ვეცადოთ, რომ თავად გავილამაზოთ ყოველი წუთი. მეტი პოზიტიური ენერჯია და დადებითი ემოცია გვჭირდება. სწორედ ასეთი ენერჯიით დაიმუხტება ყველა, ვინც კი პრობლემებთან გამკლავებას შეძლებს“, – ამბობს „ბიოქსინის“ სახე ირინა ონაშვილი და მამაკაცებს, რომელთაც თმის ცვენა აწუხებთ, მის დაძლევის მცენარეული შამპუნით ურჩევს.

ჯანსაღი თმის შესანარჩუნებლად ადამიანებს დიდი ძალისხმევის დახარჯვა უხდებათ. უფრო მეტი ენერჯია კი უკვე დაზიანებული თმის მკურნალობას სჭირდება. თმის ცვენა დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემაა.

ჩვენი წინაპრები მის დასაძლევად სხვადასხვა ხალხურ მეთოდს იყენებდნენ. ზოგისთვის დაფნის ფოთოლი იყო შედეგიანი, ზოგისთვის კი ჭინჭრისა და გვირილის ნაყენი. დღეს კი ყველა ის სასარგებლო კომპონენტი, რომელსაც თითოეული მათგანი შეიცავს, ერთ მცენარეულ შამპუნში გაერთიანდა და თმის ცვენის უებარ საშუალებად იქცა. „ბიოქსინი“ სწორედ ის შამპუნია, რომელიც სასწაულებს ახდენს.

საქართველოში „ბიოქსინს“ უკვე შეიძინა თვეა, რაც მოიხმარენ. როგორც ირკვევა, ამ შამპუნის აქტიური მომხმარებლები ქალებთან ერთად მამაკაცებიც არიან.

ირინა ონაშვილი: მამაკაცებისათვის „ბიოქსინის“ შამპუნი ნორმალური, მშრალი და ცხიმიანი თმისთვის არსებობს. ასევე არის ქერტლის საწინააღმდეგო სერია, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ როგორც მამაკაცებს, ასევე ქალბატონებსაც.

საგანგებოდ მამაკაცებისთვის კომპანია „ბიოტამ“ შექმნა „ბიოქსინის“ სპრეი, რომელიც თმაზე მათ დილით და საღამოს უნდა შეისხურონ და დაბანამდე დაიტოვონ.

ჩვენთან, სალონში, ბევრი ადამიანი მოიხმარს „ბიოქსინს“. აქ ხშირად ვხედავ კმაყოფილ კლიენტებს და ეს ძალიან მახარებს. ასეთი საოცარი ეფექტის მიღების შემდეგ მამაკაცები თვითონვე უნევენ შამპუნს რეკლამას, რომლის შედეგადაც ბევრი უცნობი მომხმარებელი მოდის სალონში და „ბიოქსინს“ ითხოვს.



შეიძლება ზოგიერთმა არც იცის, რომ ასეთი ჯადოსნური ნაწარმი არსებობს. ამიტომ ვინცე ყველას, გასინჯოს და თავადვე გამოიტანოს დასკვნა. შედეგი გამოგნებელი იქნება, რადგან ჩემს სალონში ხშირად მესმის ფრაზები: „შეგვიჩერა თმის ცვენა“, „ეფექტურია“, „სასწაულმოქმედი...“

როგორც სახის კანს სჭირდება კრემის მუდმივი მოხმარება და სხვა სახის მოვლა, ეს ასევე აუცილებელია თმისა და თავის კანისთვისაც. სამწუხაროდ, ადამიანთა უმეტესობა თმის სიჯანსაღეს ყურადღებას არ აქცევს. ამიტომ, სანამ ახალგაზრდები ვართ და შეგვიძლია, რომ თმა შევინარჩუნოთ, აუცილებლად უნდა მოუაროთ მას და ვეცადოთ, არ დაგვცვივდეს. თუმცა, ცვენის შემთხვევაშიც კი, „ბიოქსინი“ ნამდვილად დაგეხმარებათ.



Facebook: Bioxsine Georgia | web: www.bioxsine.ge
იკითხეთ აფთიაქებში

სიხლი და სიძუნძი დას ვაბესში

ლანა ბოდუაძე



1994

წლის ნომერბარში 45 წლის ჯორჯ ფორმანმა 27 წლის მაიკლ მურკერი დასცა და მსოფლიო ჩემპიონის ქაბარი დაიბრუნა. კრივის ისტორიაში ყველაზე ასაკოვანმა მძიმეწონისა და ტრიუმფატორმა ჟურნალისტის ერთ-ერთ კითხვას ასე უპასუხა:

„ადრე თუ გვიან ისინი აუცილებლად შეხვდებიან ერთმანეთს. ეს ნელს მოხდება თუ ორ წელიწადში, არ ვიცი, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის ქამრისთვის აუცილებლად იბრძოლებენ!“ ფორმანი ლეგენდარული მოკრივე იყო, დაუნდობელი მე-ბრძოლი და მისთვის კრივში საიდუმლო არ არსებობდა. ფორმენს ყველა კითხვაზე ჰქონდა პასუხი, მისი ვარაუდები ყოველთვის მართლდებოდა. იგი ამჯერადაც არ შემცდარა: 1996 წლის 9 ნოემბერს, ლას ვეგასის MGM გრანდ გარდენ არენამ კრივის მსოფლიო ასოციაციის ვერსიით საჩემპიონო ჯახს უმასპინძლა.

რინგის ერთ კუთხეში იდგა ქამრის პრეტენდენტი, კაცი, რომელმაც ორი წლით ადრე კარიერა გულის დაავადების გამო შეწყვიტა – მსოფლიოს ექსჩემპიონი ევანდერ ჰოლიფილი. მის პირისპირ კი მძიმეწონისა შორის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი, ერთადერთი მეტოქისგან გალახული და უამრავი გაქნილი ადვოკატისგან არაერთხელ გაცურებული, მაგრამ მაინც ბრწყინვალე ფორმაში მყოფი მაიკ ტაისონი – მოკრივე-მოვლენა.

ჰოლიფილი 34 წლის იყო და WBA-ის რეიტინგში მეორე ადგილი ეკავა. ის მხოლოდ „რკინის მაიკს“ ჩამორჩებოდა.

ტაისონი მილიონებისთვის საოცნებო ჯახს 30 წლისა შეხვდა, 45 ტრიუმფით და ერთადერთი მარცხით.

ევანდერ ჰოლიფილი მაიკ ტაისონის წინააღმდეგ.

რა იყო ეს? რატომ ელოდა ქომაგი ამ დაპირისპირებას?

ეს იყო, ასე ვთქვათ, კრივის ორი პოლუსის ჯახი: ის გულ-შემატკივრები, რომლებიც კლასიკურ ბრძოლას ანიჭებდნენ უპირატესობას და მიზნისკენ სავალი მშვიდი და კარგად გააზრებული გზა მოსწონდათ, ევანდერ ჰოლიფილს უჭერდნენ მხარს. ტაისონს კი ის ხალხი ედგა გვერდით, გონდაკარგული, დასიებული, გასისხლული მონინააღმდეგის ხილვა რომ სიამოვნებთ; ვინც პირველი რაუნდიდან ელის იმ ერთადერთ და მომაკვდინებელ წამს, როცა „რკინის მაიკი“ ოდნავ მარცხნივ გადაიხრება, მერე კი მძლავრად, ელვის უსწრაფესად მოიქნევს ცაცხას და გონდაკარგული მეტოქის თავთან ჩამუხლული რეფერი ერთიდან ათამდე თვლას შეუდგება.

ლეგენდარული პრომოუტერის, დონ კინგის „დონ კინგ პრომოუშენსმა“ ამ ორი შესანიშნავი მებრძოლის რინგზე შეყრა ჯერ კიდევ 1990 წელს სცადა. შემდეგ 1991 წელს, მაგრამ

1996 წლის ნოემბრამდე შერკინება უამრავ მიზეზთა გამო არ შედგა: დროდადრო „რკინის მაიკს“ ტრავმა უშლიდა ხელს; მერე ტაისონი საიდანაც გამომძვრალ ჯეიმს „ბასტერ“ ლუგლასთან შერცხვა და სარტყელი დაკარგა; ამას 18 წლის დეზირე ვაშინგტონის გაუპატიურების მცდელობა დაერთო, სკანდალები, სასამართლო პროცესი, ციხე... თავის მხრივ, ჰოლიფილს რიდიკ ბოუისთან მოეცარა ხელი და ყველა საჩემპიონო ქამარი ერთბაშად დაკარგა, მერე გულის დაავადება აღმოუჩინეს და დასვენება ურჩიეს...

ბრძოლის წინ 50-მა ამერიკელმა ჟურნალისტმა გამოთქვა პროგნოზი. ყველამ, თითქოს პირი შეკრაო, მაიკს მიანიჭა უპირატესობა და თან საწყის რაუნდებში ნოკაუტით გამარჯვება უწინასწარმეტყველა. ერთადერთი რონ ბორხესი იყო „ბოსტონ გლოუბიდან“, რომელმაც ჰოლიფილის მხარე დაიჭირა...

პირველი დარტყმა სწორედ ჰოლიფილმა გაუშვა – მაიკმა თავისებურად, მარცხნიდან შეუტია. მაგრამ ევანდერმა ძალიან კარგად იცოდა მონინააღმდეგის სტილი და მას თავდაცვა არ გასჭირვებია.

მეხუთე რაუნდამდე მეტოქეები თანაბრად იბრძოდნენ; აი, მერე კი ნელ-ნელა გამოჩნდა, რომ ტაისონი ველარ უმატებდა. ჰოლიფილი, პირიქით, მშვიდად ხლართავდა კომბინაციებს. მეხუთე რაუნდი ტაისონის საუკეთესო შეტევით დაიწყო – მეტოქეს მწარედ მოხვდა, მაგრამ ეგ იყო და ეგ, მაიკს სხვა ღირებული არაფერი შეუქნია. რაუნდის დასრულებამდე ნახევარი წუთით ადრე მოკრივეები თავით შეასკდნენ ერთ-

მანეთს. მსაჯმა მომხდარი შემთხვევითობად ჩათვალა და მხოლოდ იმიტომ შეაჩერა ბრძოლა, რომ ტაისონს მარცხენა წარბი გაუსკდა. ჩხუბის განახლებას ჰოლიფილის მარცხენა ჰუკი და ჩემპიონის პირველი ნოკდაუნი მოჰყვა.

მექვე რაუნდში მეტოქეები კიდევ ერთხელ შეასკდნენ თავებით – ტკივილისაგან მაიკმა ხტუნვა დაიწყო, რეფერიმ კი ბრძოლის გაგრძელება ბრძანა.

მეშვიდე რაუნდიდან ჩემპიონმა უკან დახევას უმატა – ჰოლიფილი სულ უფრო ხშირად იმწყვდევდა მას თოკებთან, მეათეში კი, რამდენიმე შემზარავი დარტყმის შემდეგ, ტაისონი გატყდა. გონგმა ბედზე მოუსწრო „რკინის მაიკს“. მისმა გუნდმა წარბახეთქილი ჩემპიონი ოდნავ მოასულიერა და კვლავ ბრძოლისკენ უხმო, მაგრამ ყველა ხედავდა, რომ ჩემპიონის დაცემა მხოლოდ დროის ამბავი იყო. მრავლისმნახველმა რეფერიმ მიჩ ჰალპერნმა საჩემპიონო ბრძოლა ბოლოსწინა, მე-11 რაუნდის დაწყებისთანავე შეწყვიტა!

ევანდერ ჰოლიფილმა ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა. ლეგენდარული მუჰამედ ალის შემდეგ ის შეიქნა პირველი მოკრივე, რომელმაც მძიმე წონის საჩემპიონო ქამარი მესამედ მოიპოვა!


პრესკონფერენციაზე ტაისონი დიდხანს არ გაჩერებულა და ჟურნალისტებს მხოლოდ ორი სიტყვა ესროლა: „ჰოლიფილი დიდი ჩემპიონია... მას დიდ პატივს ვცემ...“

წლის ბოლოს პოპულარულმა საკრივო ჟურნალმა „რინგ მეგზობრმა“ ლას ვეგასში გამართული ჰოლიფილ-ტაისონის



The Sound and The Fury

Holyfield



vs.

Tyson II

WBA HEAVYWEIGHT CHAMPIONSHIP

Saturday, June 28

MGM GRAND GARDEN ARENA



www.holyfieldtyson.com

1997 წლის
28 ივნისს
მოკრივეები
ერთმანეთის
პირისპირ მეორედ
დადგნენ. ტაისონი
დაკარგულს
დაბრუნებას
სდილობდა,
ჰოლიფილდი
კი, პირიქით –
მოპოვებულის
შენარჩუნებას.

კრივი წლის ბრძოლად აღიარა, სხვებმა კი მოურიდებლად თქვეს, რომ ნევადური პაექრობა სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმედგაცრუება იყო. „გეთანხმებით, ეს არ ყოფილა საუკეთესო ორთაბრძოლა, მაგრამ შორს ვარ იმ აზრისგან, თითქოს ცუდი ჩხუბი გამოვიდა. როცა რინგზე მსოფლიოს ორი საუკეთესო მძიმეწონოსანია, როგორ შეიძლება ვინმე უკმაყოფილო დარჩეს? მაიკის არ ვიცი და, მე კმაყოფილი ვიყავი“, – იტყვის წლების შემდეგ ევანდერ ჰოლიფილდი.

1997 წლის 28 ივნისს მოკრივეები ერთმანეთის პირისპირ მეორედ დადგნენ. ტაისონი დაკარგულის დაბრუნებას ცდილობდა, ჰოლიფილდი კი, პირიქით – მოპოვებულის შენარჩუნებას. ბრძოლა კვლავ ლას ვეგასში გაიმართა. „დონ

მაიკმა სანყის ორ რაუნდში სცადა საქმის მოთავება: გაავებული ეკვეთა მეტოქეს, მაგრამ მესამე რაუნდის წინ, თავებით შეხლის შემდეგ, კვლავ თვითონ აღმოჩნდა წარბაზ-ეთელი.

მესამე რაუნდის დასასრულამდე 2 წუთითა და 19 წამით ადრე მოკრივეებმა ერთმანეთი შებოჭეს, რამდენიმე წამში კი ჰოლიფილდმა ღრიალით და ხელის კვრით მოიშორა მონინალმდეგე, თვითონ კი მარჯვენა ყურზე აიფარა ხელთათმანი.

ყურდასისხლიანებული ჰოლიფილდის დანახვაზე ლეინმა ტაიმაუტი გამოაცხადა და მთავარ ექიმს უხმო. გაირკვა, რომ ტაისონმა ჰოლიფილდს ყურის ნიყარა დაახლოებით ერთ სანტიმეტრზე მოაჭამა და ჩემპიონს სისხლი სწორედ



ამიტომ სდიოდა! რეფერის ტაისონის დისკვალიფიკაცია სურდა, მაგრამ მთავარმა ექიმმა განაცხადა, რომ ჰოლიფილდს ბრძოლის გაგრძელება შეეძლო.

7 წუთის შემდეგ კრივი განახლდა. რამდენიმე წამში – კიდევ ერთი შებოჭვა, ისევ ჰოლიფილდის ღრიალი და... მესამე რაუნდიც დასრულდა. მეოთხის დაწყებამდე გაირკვა, რომ მაიკმა კიდევ ერთხელ უკბინა ევანდერს, ოღონდ ამჯერად მარცხენა ყურზე!

ბრძოლა შეწყდა!

უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების, მწვრთნელების, მეტოქეთა წარმომადგენლების განევ-გამოწვევის და, რაც მთავარია, თვით დონ კინგის რინგზე შევარდნის შემდეგ მიღს ლეინმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო: ტაისონი მოკვეთა!

იმ დროისთვის, როცა გამომცხადებელმა ჯიმი ლენონ ჯუნიორმა რეფერის საბოლოო გადაწყვეტილება გაახმაურა, ჰოლიფილდი და ტაისონი თავიანთ გასახდელში უკვე კარგა ხნის შესულები იყვნენ. ევანდერ ჰოლიფილდმა ყურის ნიყარის ნაწილი დაკარგა, სამაგიეროდ, WBA-ის საჩემპიონო ქამარი შეინარჩუნა და არნახული პრემია მიიღო, ტაისონს კი, მარცხისა და 3-მილიონიანი ჯარიმის დაკისრების გარდა, საკრივო ლიცენზიაც ჩამოერთვა.

ასე სამარცხვინოდ დასრულდა ორი დიდი მოკრივის მეორე

რაფარის ტაისონის დისკვალიფიკაცია სურდა, მაგრამ მთავარმა ექიმმა განაცხადა, რომ ჰოლიფილდს ბრძოლის გაგრძელება შეეძლო.

და უკანასკნელი შერკინება. წლების შემდეგ ევანდერ ჰოლიფილდი გერმანულ ჟურნალ „ბილდს“ ეტყვის: „...ამიტომ მიკბინა, რომ ნოკაუტით მარცხის შეეშინდა! იმ ამბის შემდეგ მაიკი პირველად ნიუ-იორკში, საკალათბურთო მატჩის წინ ვნახე, როდესაც ლიფტის წინ ერთდროულად აღმოჩნდით. ჩვენ გარშემო შეკრებილები ფიქრობდნენ, რომ ერთმანეთს დავცხებდით, მაგრამ რატომ უნდა გვეჩხუბა? იმ ბრძოლით მე 35 მილიონი ვიშოვე, ტაისონმა კი – 25, თქვენ კიდევ ყური განალვლებო...“

2009 წლის 16 ოქტომბერს სუპერპოპულარულ ოფრა უინფრის ტელეშოუში ერთ დროს მულტიმილიონერმა, იმ დროისთვის კი ბანკროტად აღიარებულმა მაიკ ტაისონმა ევანდერ ჰოლიფილდს საჯაროდ მოუბოდიშა.

მსოფლიოს ერთადერთმა ოთხგზის ჩემპიონმა მეტოქეს დიდსულოვნად მიუტყვა. ==

ლოპინოს პრინციპი

უკვე რამდენიმე წელიწადია, ეზოში თუ ხელოვნურ საფარზე ფეხბურთის მოთამაშე ბავშვებსა თუ ოდნავ უფროსებს სადაც წავაწყდით, ყველგან ერთი და იგივე მოხდა – სანახაობამ საერთოდ არ დამაინტერესა. ადრე ასე არ იყო – ეზოებში ტიპები საოცრებებს აკეთებდნენ, ფინტაობდნენ, ფოკუსნიკობდნენ, სილამაზის შექმნას ცდილობდნენ და ამ სილამაზეს ხშირად შედეგი ეწირებოდა. ყოველი ახალი პარტია ახალი სპექტაკლი იყო, იმიტომ რომ იქ ერთმანეთს არა მარტო ანგარიშში, არამედ ორიგინალურობაში, სიამოვნების მიღებაში, ანუ ფეხბურთის თამაშში ეჯიბრებოდნენ.

დღეს როგორ არის? დღეს ასეა: გაიგდო – დაარტყა; პასი მიცა, დაუბრუნა, დაარტყა და სირბილი, სირბილი, სირბილი და ჭიდაობა... გაუთავებლად და უაზროდ. დღევანდელი ქუჩის ფეხბურთი მკვდარია და მძლეოსნობად რეინკარნირებას წვალობს.

მარტო ქუჩის ფეხბურთი? მარტო თბილისში? უკვე ბრაზილიელი ჟურნალისტებიც ნუნუნებენ, რომ კოპაკაბანაზე ან იპანემაზე იშვიათად შეხვდები ბურთთან ერთად სასწაულების მკეთებელ ხულიგან მალანდროებს. რატომ? იმიტომ, რომ იქ კარგა ხანია ამუშავდა ასეთი სისტემა: იხსნება საბავშვო საფეხბურთო აკადემიები, უმეტესად უფასო, სადაც ის მალანდროები მიჰყავთ. მერე მათ ფანტაზიას უხშობენ, თლიან რობოტებს, რომლებმაც მშვენივრად იციან, მოედანზე როდის რა უნდა აკეთონ და თან არ იღლებიან. მერე ეს რობოტები ჩაჰყავთ ევროპაში, სადაც ერთგვარი გამოფენა-გაყიდვა ეწყობა და ყველა კმაყოფილია – ერთ-ერთი ფეროვანი ბიჭიც, რომელსაც მალე ბევრი ფული ექნება, აკადემიაც, რომელსაც შემოსავალი გაეზრდება და კლუბიც, რომელიც მზა პროდუქტს იაფად ყიდულობს. კმაყოფილია ყველა, მაყურებლების გარდა – პურის ძებნაში სანახაობა ქრება, ხოლო ბრაზილიური ფეხბურთი რუმინულს ემსგავსება.

ბრაზილიური რუმინულს, პოლანდიური ბერძნულს, არგენტინული იტალიურს – თანამედროვე მსოფლიო ფეხბურთი დღეს ერთ თარგზეა მოჭრილი (ერთი საქართველოს ნაკრებია ყველასგან განსხვავებული – საერთოდ არ უტევს). მოდი, შარშანდელი ჩემპიონატი გავიხსენოთ. რა გახსოვთ? მე, პირადად, არაფერი, არც ერთი სტრატეგიული თუ ტაქტიკური სიახლე, არც ერთი სხვანაირი პასი და კომბინაცია, არც ერთი ფინტი, სრული სიცარიელე. გუნდები გადიოდნენ მოედანზე და ფეხბურთს კი არ თამაშობდნენ, ერთმანეთს ღლიდნენ, რომ დაღლილზე გოლი გაეტანათ. ბრაზილიის



მსოფლიო ჩემპიონატი მარათონს ჰგავდა – როცა არ უნდა შეხედო, ვილაცხვები რომ გარბიან და მეტი არაფერი.

ფეხბურთის არნახულმა კომერციალიზაციამ მას მთავარი მუღამი დაუკარგა – მრავალფეროვნება გაქრა და სანახაობა გაშრა. ამ წერტილამდე სპორტის ეს სახეობა კარგა ხანს მიდიოდა და თუ გავითვალისწინებთ, რომ ის კალორიებისგან უკვე თითქმის ბოლომდეა დაცლილი, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ პროცესმა პიკს მიაღწია. ფეხბურთი თამაში აღარ არის, ის ფულის მანქანა გახდა.

ბევრი პირიქით ფიქრობს: რა უნდა იყოს იმაზე უკეთესი, რომ უკვე თითქმის მთელი მსოფლიო ფეხბურთს თამაშობს ან უყურებს. ფიფას გადმოსახედოდან ეს განსაკუთრებით

მართალია, მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია არასდროს ყოფილა ასეთი მდიდარი, მასშტაბური და გავლენიანი. ამ სფეროში მოთამაშედ, მწვრთნელად, მასაჟისტად, ბილეთების გამყიდველად, აგენტად სულ უფრო მეტი ადამიანი საქმდება და ფეხბურთიდან მიღებული შემოსავლებიც დღითი დღე იზრდება. მოედანი გახდა ოფისი, სადაც თანამშრომლები მიდიან და დარბიან – რაც უფრო მეტს ირბენენ, მით უკეთესი ციფრები დაინერება ტაბლოზე და მით უფრო დიდი იქნება პრემია. ვიღას აინტერესებს ეგ შენი სანახაობა?

შეიძლება ეს გარდამავალი ეტაპია და მალე უკურეაქცია დაიწყოს, ანუ თანამედროვე ფეხბურთი გადაეწყოს ახალ

სისწრაფეებსა და დატვირთვებზე, ნელ-ნელა სპორტსმენები შეეგუონ ახალ რეალობას და უკვე ამ აჩქარებულ და სივრცეებზეზღუდულ პირობებში შეძლონ საინტერესო რამე-რამეების შექმნა, ისე, როგორც ამას ლეო მესი და კრიშტიანუ რონალდუ, ერთგვარი მომავლის ფეხბურთელები აკეთებენ.

თუ ეს ასეა და ჩვენ ფეხბურთის და, ზოგადად, კაცობრიობის შესაძლებლობების ევოლუციის აუცილებელ, მაგრამ საკმაოდ უინტერესო ეტაპზე ვიმყოფებით, ძალიან კარგი, შეიძლება აჩქარებული ძველი ფეხბურთი დავიბრუნოთ, თუ არადა, ფეხბურთი ღომინოს დაემსგავსება – მსაჯი „ქვევს“ შეხედავს და ვისაც უკეთესი მონაცემები ექნება, ის გაიმარჯვებს. ==

ელენო დე ფრეიტასი: „ღმერთის ტრიუმფი და ტრაგედია“

ბიძინა ბარათაშვილი

Heleno de Freitas



1958

ნლის 29 ივნისს სტოკჰოლმის „რასუნდას“ მინდორზე ბრაზილიამ მასპინძელი შვედეთი 5-2 დაამარცხა და ისტორიაში პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. 8 წლის წინ საშინაო „მუნდიალზე“ განცდილი ფიასკოს ფონზე მთელი ქვეყანა სრულმა ეიფორიამ მოიცვა. ზეიმობდნენ ყველგან – სახლებში, ქუჩებში, მოედნებზე, დაწესებულებებში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებშიც კი! ერთ-ერთ ასეთში – ბარბასენას სარეაბილიტაციო ცენტრში – სამედიცინო პერსონალმა პაციენტებისთვის დაუშვა გამონაკლისი და მათთან ერთად გამართა ნადიმი. ხარობდა ყველა, ერთი კაცის გარდა – ზედა სართულზე, თავის პალატაში გამოკეტილმა ელენო დე ფრეიტასმა სიგარეტის ერთი კოლოფი დაცალა, ყველა ღერს ერთიანად მოუკიდა და ბოლით თავის დახრჩობა სცადა! მან ვერ აიტანა „ვილაც“ პელესა და მისნაირთა ტრიუმფი; მისი ავადმყოფური თავმოყვარეობა ვერაფრით ეგუებოდა სხვათა ნარმატებას!



მოგვიანებით, როცა სანიტრებმა მოახერხეს ელენოს გადარჩენა, მან კედლიდან ბრაზილიელთა გამარჯვების ფოტოებით დაშვენებული გაზეთის ფურცელი ჩამოხია და შეჭამა!!! ერთი წლის შემდეგ, 1959 წლის 8 ნოემბერს, 39 წლის ელენო უკუურნებული სიფილისის დიაგნოზით გარდაიცვალა.

ერთი შეხედვით, ფრაზა – „უცნობი ვარსკვლავი“ – კლასიკური ოქსიმორონია! მართლაც, როგორ შეიძლება ადამიანი ერთდროულად ვარსკვლავის სტატუსს ატარებდეს და თან ფართო საზოგადოებისათვის უცნობი იყოს?! აქ ალბათ უნდა განვმარტოთ, რომ საუბარია პიროვნებებზე, რომლებმაც საკუთარ ქვეყანაში რომელიღაც სფეროში წარუშლელი კვალი დატოვეს, მაგრამ მიზეზთა გამო მათი სახელი ვერ გასცდა გარკვეულ ვერგრაფიულ ფარგლებს ან, უბრალოდ, წლების გამოცდას ვერ გაუძლო. უმეტესწილად ასეთი ადამიანები რატომღაც ტრაგიკული ბედით არიან გამოჩენილნი და ჩვენი დღევანდელი წერილის მთავარი გმირიც სწორედ მათ რიცხვშია...

მისი ავადმყოფური თავმოყვარეობა ვერაფრით ებუებოდა სხვათა წარმატებას.

ელენო დე ფრეიტასის სახელი ბრაზილიური ფეხბურთისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

ალმოჩნდა, რომ ამ კაცზე დოკუმენტური ფილმიც გადაუღლიათ, რამდენიმე წიგნიც დაუსტამბავთ და ბოლოს მისი ცხოვრება სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმადაც უქცევიათ! აღარაფერს ვამბობ რამდენიმე სამხრეთამერიკულ ქვეყანაში დადგმულ ძეგლებზე! აქ კი გამახსენდა სტუდენტობის პერიოდში წაკითხული ცნობილი რუსი ჟურნალისტის, ლათინური ამერიკის (განსაკუთრებით კი, ბრაზილიის) კულტურისა და ისტორიის უბადლო მცოდნის, იგორ ფესუნენკოს წიგნებისა და წერილების ციკლი, რომელშიც ელენოს რამდენიმე საინტერესო პასაჟი ეძღვნება.

მამ, ვინაა ეს „უცნობი ვარსკვლავი“ ელენო დე ფრეიტასი

და რატომ ალელვებს მისი სახელი დღემდე ორასმილიონიან ბრაზილიას?!

ფესუნენკო იხსენებს: „ერთ-ერთი იმათგანი, ვინც 1946 წლის თებერვალში განსაკუთრებული სიმამით იბრძოდა ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებთა შეხვედრაში, გახლდათ „სელესაოს“ ცენტრფორვარდი ელენო დე ფრეიტასი. ამ ფეხბურთელზე, რომელიც 1938 წელს მეტეორივით შემოიჭრა ბრაზილიურ ფეხბურთში და თავისი ბრწყინვალე კარიერა თხუთმეტიოდე წლის შემდეგ ტრაგიკულად დაასრულა, დღემდე დიდის ლეგენდები! მე მის შესახებ მიაბმო ყოაო სალდანიამ, რომელიც მასთან ბავშვობიდან მეგობრობდა“.

ალმოჩნდა, რომ ამ კაცზე დოკუმენტური ფილმის გადაუღლიათ, რამდენიმე ნიგნის დაუსტამბავთ და ბოლოს მისი ცხოვრება სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმადაც უქცევიათ.

„უშიშრად“ ნოდებულ სალდანიასთან მეგობრობა და მისი პატრონაჟი ბრაზილიურ ფეხბურთში ბევრს ნიშნავს. შეგახსენებთ, რომ საუბარია ადამიანზე, რომელმაც რევოლუცია მოახდინა მსოფლიო ფეხბურთში, როცა ჟურნალისტობის პარალელურად მწვრთნელობას მიჰყო ხელი. ჯერ 1957 წელს პროფესიული დებიუტი „ბოტაფოგოს“ გაჩემპიონობით აღნიშნა, მერე, 1966 წელს ინგლისის „მუნდიალზე“ განცდილი ფიასკოს სამი წლის თავზე ჩაიბარა ბრაზილიის ნაკრები, გუნდს ახალი სული შთაბერა, დამაჯერებლად მოაგებინა მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი და ჩამოაყალიბა მსოფლიო პირველობების ისტორიაში უძლიერესად აღიარებული 1970 წლის ტრიუმფატორი გუნდი! რომ არა ქვეყნის პრეზიდენტ ემილიო გარასტაზუ მედიჩისთან კონფლიქტი (მწვრთნელმა იუარა ნაკრებში პრეზიდენტის რჩეული მოთამაშეების მინვევა) და ზედ მექსიკაში გამგზავრების წინ თანამდებობიდან გადადგომა, მეხიკოში ბრაზილიას ჩემპიონად სწორედ სალდანიას გახდიდა და იგი იქნებოდა ერთადერთი ჟურნალისტი, რომელმაც უმაღლესი მწვერვალი მწვრთნელობაში დაიპყრო. ასე კი, ისტორიაში მარო „ლობო“ ზაგალოს სახელი ჩაინერა!

სხვათა შორის, ელენოს თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ნოველა მიუძღვნა კიდევ ერთმა ცნობილმა „ბოტაფოგენსემ“, პოპულარულმა ბრაზილიელმა მწერალმა და ჟურნალისტმა სერჟიო პორტომ. წიგნში „დანგრეული სახლი“ იგი 30-იანი წლების დასაწყისში კოპაკაბანას პლაჟებზე გამართული მატჩების პერიპეტეებს აღწერს, როცა თვითონ სიმსუქნისა და გულთან დაკავშირებული პრობლემების გამო კარში იდგა, აყლაყუდა სალდანიას დაცვაზე ხელმძღვანელობდა, ელენო კი, რაღა თქმა უნდა, ცენტრფორვარდი და გოლეადორი გახლდათ.

დე ფრეიტასის საფეხბურთო გზა 1937 წელს „ფლუმინენსეში“ დაიწყო, სადაც 17 წლის ელენომ მხოლოდ ერთი არასრული სეზონი გაატარა, შემდეგ კი, მობერებული ბომ-

ბარდირი კარვალის ლეიტენს შესაცვლელად, სალდანიას მეოხებით „ბოტაფოგოში“ გადაბარგდა. იუნიორმა ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა – 235 თამაში 209 გოლი გაიტანა. საკლუბო აღიარებას სანაკრებოც მოჰყვა. 1944-47 წწ. ჩატარებულ 18 შეხვედრაში მან 19 გოლი გაიტანა და „სელესას“ „როკას“ (1945) და „რიო ბრანკოს“ (1947) თასები მოაგებინა. ორჯერ გახდა სამხრეთ ამერიკის ვიცეჩემპიონი (1945, 1946) და ამათგან პირველის თანაბომბარდირი.

ამბობენ, რომ შეტევის დროს დე ფრეიტასი შეუჩერებელი იყო, გამოირჩეოდა უზადო ტექნიკითა და ბურთთან ელეგანტური მოპყრობით, სწრაფად დარბოდა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, რთულ სათამაშო სიტუაციებში დაუფიქრებლად ღებულობდა საუკეთესო გადაწყვეტილებებს. იგი პრაქტიკულად ყოველთვის წამის მეთაფით ასწრებდა მონინალმდეგეს და ნებისმიერი ორთაბრძოლიდან მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა.

ელენო უთუოდ გახდებოდა ბრაზილიის პელემდე ისტორიაში გამორჩეული ფეხბურთელი და თვით „უდიდესთა შორის უდიდეს“ ლეონიდას და სილვასაც კი დარდილავდა, რომ არა მისი საშინელი ხასიათი. სწორედაც რომ „საშინელი“ – უკეთეს შედარებას ვერ მოვიყვანთ! ის იყო საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული ეგოისტი, რომლის გაუთავებელი კაპრიზები და ნებისმიერ თანაგუნდელთან შეუთავსებლობა მუდმივი კონფლიქტების მიზეზი ხდებოდა. ქვეყნად არ მოიძებნა არც ერთი მწვრთნელი, რომელიც მოახერხებდა ელენოს დაოკებას და მისი თამაშის გუნდური ინტერესებისადმი დაქვემდებარებას. შემთხვევითი არ არის, რომ 40-იან წლებში პრესამ და ტორსიდან მას „ჯილდა“ შეარქვეს. ასე ჰქვია პოლივუდის იმჟამინდელი სექსსიმბოლოს, რიტა ჰეიუორტის მიერ ამავე სახელწოდების ამერიკულ ფილმში (რეჟისორი: ჩარლზ ვიდორი) ნათამაშებ პერსონაჟს – ნევეროტულ და საოცრად ვნებიან ქალს. ეს ამბავი ცალკე სკანდალების მიზეზად იქცა. საკმარისი იყო, რომელიმე მონინალმდეგეს მინდორზე ელენოსთვის „ჯილდა“ დაეძახა, რომ დე ფრეიტასი მუშტი-კრივზე გადადიოდა, წითელ ბარათს ღებულობდა და მერე უკვე მსაჯების საცემრად იწვევდა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ეს არ იყო მისი ერთადერთი მეტსახელი. დანარჩენები ბევრად უკეთ ჟღერდა: „თეთრი ბრილიანტი“ და „დანყევლილთა უფლისწული“!

ამოგან, რომ შეტევის დროს დე ფრეიტასი შეუჩერებელი იყო, გამოირჩეოდა უზადო ტექნიკითა და ბურთთან ელეგანტური მოპყრობით, სწრაფად დარბოდა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, რთულ სათამაშო სიტუაციებში დაუფიქრებლად ღებულობდა საუკეთესო გადაწყვეტილებებს.



დე ფრეიტასი ყოველთვის უკანასკნელ მოღაზი იყო ჩასვლი – 30-იანი წლების საქსნიგოლოს ვარსხნილობით, კაზინოებისა და ლამის კლუბების მუდმივი სტუმარი, კოკაინისა და ალკოჰოლის მოყვარული მექალთანე...

1948 წელს „ბოტაფოგოს“ პრეზიდენტი კარლიტოს როჩას აევსო მოთმინების ფიალა და იგი მეზობელი „ბოკა ხუნ-იორისს“ სარფიან სატრანსფერო წინადადებას სიამოვნებით დასთანხმდა. ასე აღმოჩნდა ელენო პერონისტულ არგენტინაში.

იქ დე ფრეიტასმა მხოლოდ ერთი სეზონი გაძლო – იქაური ცივი ზამთარი არ მოეწონა. თუმცა, სოციალური ყოფით კმაყოფილი გახლდათ და არა მხოლოდ რამდენიმე დაუფინყარი მატჩის ჩატარება (სულ 17 თამაშში 7 გოლი) მოასწრო, არამედ, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, თვით პრეზიდენტის მეუღლის, შემდგომში წმინდანად შერაცხული ევიტა პერონის მოხიბვლაც და მასთან სასიყვარულო რომანის გაბმაც გაახერხა.

1948 წელს ელენო სამშობლოში ბრუნდება, ირგებს „ვასკო და გამას“ ფორმას და რიოს შტატის ჩემპიონი ხდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნის ერთიანი ჩემპიონატი ბრაზილიაში მხოლოდ 1969 წლიდან თამაშდება, იმხანად ეს იყო ბრაზილიის უმთავრესი ტურნირი. თითქოს ყველაფერი დალაგდა, მაგრამ, რად გინდა?! ელენომ მაინც ვერ მოიხვეწა, მას არ მოეწონა, რომ ძირითად შემადგენლობაში გარანტირებული ადგილი არ ჰქონდა. იგი სტადიონზე მივიდა, მწვრთნელ ფლავიო კოსტას ეჩხუბა, შუბლზე რეველოვერი მიადო და ჩახმახს გამოკრა! ბედად, იარაღი დატენილი არ აღმოჩნდა... რა გასაკვირია, რომ ამით ელენომ საბოლოოდ დაკარგა შანსი, მონაწილეობა მიეღო 1950 წლის მშობლიურ „მუნდიალში“, რომლისთვისაც ბრაზილიის ნაკრებს სწორედ კოსტა ამზადებდა! არადა, ელენოსთვის ეს მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის ბოლო შანსი იყო – 1942 და 1946 წლებში ხომ ტურნირი II მსოფლიო ომის გამო არ გამართულა.

შედეგად კოსტას განვრთნილმა ბრაზილიამ საშინაო „მუნდი-ალის“ გადამწყვეტი მატჩი ურუგვაისთან 1-2 წააგო. 1951 წელს დე ფრეიტასმა საჯაროდ განაცხადა, რომ მას შეეძლო ბრაზილია გადაერჩინა. გულშემატკივრებიც დარწმუნებულნი იყვნენ ამაში: „ელენო „მუნდიალს“ მოგვაგებინებდა!“

1948 წელს ელენო სამშობლოში ბრუნდება, ირგებს „ვასკო და გამას“ ფორმას და რიოს შტატის ჩემპიონი ხდება.

ნაცვლად ამისა, დე ფრეიტასს მოუხდა კიდევ ერთ ვოიაჟში გამგზავრება. ამჯერად კოლუმბიაში, სადაც იგი „ხუნ-იორ ბარანკილიამ“ მიიწვია. აქაც მორიგი პარადოქსი – კონფლიქტები თანაგუნდელებთან, მწვრთნელებთან, პარალელურად კი გულშემატკივრის სიყვარული და ძველი მადლიერი ოფიცისთვისგან, რომელსაც El Jogador („მოთამაშე“) დაარქვეს! საერთოდ, კოლუმბიაში ელენო დღემდე არანაკლებ პოპულარულია, ვიდრე სამშობლოში. ადგილობრივმა ჟურნალისტმა და მწერალმა ანდრეს სალსედომ მას მრავლისმეტყველი სათაურით წიგნიც კი მიუძღვნა: El día en

que el Fútbol Murió: Triunfo y tragedia de un dios („დე, როდესაც ფეხბურთი მოკვდა: ღმერთის ტრიუმფი და ტრაგედია“). ელენოს თავყვანისმცემელთა შორის აუცილებლად უნდა ვახსენოთ იმხანად დამწყები ჟურნალისტი გაბრიელ გარსია მარკესი, რომელიც დიდ ფეხბურთელს პირადად იცნობდა. მარკესი ერთ-ერთ წერილში საინტერესო ამბავს იხსენებს: თურმე კოლუმბიიდან ელენოს წასვლის შემდეგ, 1955 წელს ქვეყანას ოფიციალური ვიზიტით ბრაზილიის იმჟამინდელი პრეზიდენტი კაფე ფილიო ეწვია. საზეიმო ვახშამზე სასაუბრო თემების ამონურვის შემდეგ სიტუაციის განსამუხტად მასპინძლებს ელენო დე ფრეიტასის შეუდარებელ ოსტატობაზე ჩამოუგდიათ ლაპარაკი – აქაოდა, სტუმარს თანამემამულის ქებით ვასიამოვნოთო. მაგრამ ბედი არ გინდა?! ფილიო იმ იშვიათ ბრაზილიელთაგანი ყოფილა, რომელსაც ფეხბურთი საერთოდ არ აინტერესებდა და არც ელენოს სახელი გაეგონა. იჯდა ჩუმად და თვალებს აფახურებდაო – წერს მარკესი...

საერთოდ, კოლუმბიაში ელენო დღემდე არანაკლებ პოპულარულია, ვიდრე სამშობლოში. ადგილობრივმა ჟურნალისტმა და მწერალმა ანდრეს სალსედომ მას მრავლისმეტყველი სათაურით წიგნიც კი მიუძღვნა: EL DÍA EN QUE EL FÚTBOL MURIÓ: TRIUNFO Y TRAGEDIA DE UN DIOS („დე, როდესაც ფეხბურთი მოკვდა: ღმერთის ტრიუმფი და ტრაგედია“).

1951 წელს ელენო ისევ ბრაზილიაშია. „ამერიკა“ მას კონტრაქტს უფორმებს. იგი პირველად გადის „მარაკანას“ მინდორზე, საიდანაც მას 35-ე წუთზე აძევებენ!

ამით მისი საფეხბურთო კარიერა დასრულდა. ერთი ხანობა სცადა დაბრუნება, მაგრამ „ფლამენგოს“ ბოსებს კონტრაქტზე ვერ მოელაპარაკა.

კიდევ ერთხელ დავესესხები სერჟიო პროტოს: „მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო გუნდის საუკეთესო მოთამაშე, ჩემპიონი „ბოტაფოგო“ მხოლოდ მისი წასვლის შემდეგ გახდა. იგი გაუთავებლად ეჩხუბებოდა პარტნიორებს და გამთლიანების ნაცვლად გუნდს ანგრევდა. თუმცა, ამას მისთვის დიდი ლეონიდასის ტახტის დაკავებაში და ტორსიდის გულის სამუდამოდ დაპყრობაში ხელი არ შეუშლია. გაზეთები წერდნენ, რომ მოედნის მიღმა იგი ჯენტლმენი იყო, მაგრამ ეს ტყუილია! ის, უბრალოდ, იყო ადამიანი დანგრეული ნერვული სისტემით, უკურნებელი აშლილობის მსხვერპლი“.

მწვანე მინდორს მიღმა ეს იყო სულ სხვა ადამიანი. იგი არაფრით ჰგავდა კოლეგა ფეხბურთელებს – ყოველთვის



EL DÍA EN QUE EL FÚTBOL MURIÓ: TRIUNFO Y TRAGEDIA DE UN DIOS



ელიტარულ ფრეიტასი

უკანასკნელ მოდაზე ჩაცმული, 30-იანი წლების სექსიმბოლოს ვარცხნილობით, კაზინოებისა და ლამის კლუბების მუდმივი სტუმარი, კოკაინისა და ალკოჰოლის მოყვარული მექალთანე, რომლის ამქვეყნიური ცოდვების კვინტესენციად ჯერ სიფილისი იქცა, შემდეგ კი მისგან მომდინარე ფსიქიკური აშლილობა...

იმხანად ფეხბურთელობა არ ითვლებოდა დიდად პრესტიჟულ პროფესიად. ბოშური ფეხვების მქონე ელენოს შეეძლო, რიოს ბოჰემის პრინცად დარჩენილიყო, პიანისტი გამხდარიყო – ამბობენ, რომ იგი ბრწყინვალედ უკრავდა; ან ბედი იურისპრუდენციაში ეცადა, რომლის მაგისტრიც 1947 წელს გახდა... მაგრამ მან ყველაფერზე უარი თქვა, რათა მინდორზე გავშვებული პუბლიკის ერთიანი თავყვანისცემა ეგრძნო.

ადრეც აღვნიშნეთ, რომ ელენოს სახელი გარემომოტყმულია ლეგენდებით. ერთ ასეთ ამბავს ურუგვაელი პოეტი ედუარდო გალვანო გვიყვება: „1947 წელს „ბოტაფოგო“ „ფლამენგოს“ ხვდებოდა. „ფლამენგოს“ საჯარიმოში იმდენი ხალხი შეკრებილიყო, რომ იქ შეღწევის შანსი ნულს უტოლდებოდა. ელენოს ბავშვობიდანვე ეხერხებოდა პლაჟზე ფორთოხლებით ფონგლირება და ახლა ეს საფეხბურთო მოედანზე გადმოიტანა. მან ბურთი მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო, მკერდზე გაიჩერა და ისე, რომ

მიწაზე არ დაუშვია, უკან გადახრილი, გველივით გაცოცდა კარისკენ, საოცარი პლასტიკის წყალობით თავი დააღწია მეურვეებს, ბურთი ბალახზე მხოლოდ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა დაუშვა და აუღებლად დაატრყა!“

„ელენო დე ფრეიტასი ჭეშმარიტი ბოზა იყო. ერთ საღამოს მან კაზინოში მთელი თავისი ქონება რამდენიმე საათში დაკარგა“, – ამბობს გალვანო.

რთულია მონაყოლის უაპელაციოდ დაჯერება. ალბათ, მთლად ასეც არ იქნებოდა, მაგრამ ეს ხომ ელენო – „ფოგოს“ ლეგენდა! და ჩვენც ვიჯერებთ, იმიტომ რომ ასე ისტორია უფრო ზღაპრულად ჟღერს!

„ელენო დე ფრეიტასი ჭეშმარიტი ბოზა იყო. ერთ საღამოს მან კაზინოში მთელი თავისი ქონება რამდენიმე საათში დაკარგა“, – ამბობს გალვანო.

როგორც ჩანს, მეორე ასეთ საღამოს მან სადღაც სიცოცხლისადმი ინტერესიც დატოვა... =

ქართული პარაოქსი

რამაზ ხატიაშვილი

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ჩემპიონატი ფეხბურთში 1990 წელს ჩატარდა. მას შემდეგ 25 წელი გავიდა, თუმცა მაინც ვერ შევძელით, რომ ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხბურთო ღონისძიება ჩვენთვისვე საინტერესო გაგვეხადა.

ბოლო წლებში პოპულარიზაციის საქმეში ტელევიზიებიც ჩაერთნენ, მაგრამ მათ მიერ გადმოცემული რეპორტაჟები უფრო მეტად ანტირეკლამის ფუნქციას ასრულებდა: კადრში, უკეთეს შემთხვევაში, ცარიელი ტრიბუნები, ხოლო, უარეს შემთხვევაში კი, საფეხბურთო მოედნის მიღმა, გამაღვიძებელი მინდორზე, საძოვარზე გამოსული ძროხები ჩანდა. ბუნებრივია, ასეთი სურათის დანახვის შემდეგ მაყურებელს უჩნდება შთაბეჭდილება, რომ ქვეყნის მთავარ საფეხბურთო

ხელისგულზე დევს, უფულობაა. სად უნდა ვიშოვოთ ეს ფული? „მდიდარი კომპანიების მოზიდვით!“ – რამდენჯერმე დაახლოებით ასეთმა მოსაზრებამ გაიჟღერა და მართალი გითხრათ, ჩემთვის სრულიად გაუგებარია, ძალის გამოყენების გარეშე, ეს მდიდარი კომპანიები როგორ უნდა მოიზიდო. ბიზნესის უმარტივესი კანონია, რომ მდიდარი ადამიანი საკუთარი ნებით ინვესტიციას დებს იქ, სადაც ხალხის ინტერესის აკუმულირება ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოთხოვნა წარმოშობს მიწოდებას. ჩემს ერთ ნაცნობს, რომელიც საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენია, გულწრფელად გაუკვირდა, როდესაც მიხეილ მესხის სახელობის განახლებული სტადიონი პირველად დაინახა. ის ვერაფრით ხვდებოდა, რა საჭირო იყო ამხელა თანხის დახარჯვა, თუ სტადიონი მაინც მუდამ ცარიელი იქნებოდა.



ტურნირს კი არა, ორღობის ჩემპიონატს ადევნებს თვალყურს. ამ დროს სრულებით არ აქვს მნიშვნელობა, როგორი ღონის თამაშს აჩვენებენ მოედანზე გამოსული გუნდები: მსგავს ვითარებაში არათუ „ჩიხურა“-„ტორპედო“, არამედ „ბარსელონა“-„რეალიც“ კი გარკვეულ ხიბლს დაკარგავს.

ყველაზე მთავარი პრობლემა, რომელიც, ასე ვთქვათ,

გამოდის, რომ ჯერ სტადიონები უნდა იგებოდეს და საქმიანი ადამიანი ფეხბურთში ფულის ჩადების აზრს მხოლოდ ამის შემდეგ დაინახავს. ფულის ჩადებას მოჰყვება უფრო მეტი ფულის გაკეთება და უფრო მეტი ფულის გაკეთებას მოჰყვება თამაშის ღონის ამალგება. მიმანია, რომ სწორედ ეს არის თანმიმდევრობა, რომლის შედეგადაც სასურველ წერტილამდე უნდა მივიდეთ.

ახლა საკითხავი მხოლოდ ის არის, როგორ უნდა მოვიზიდოთ ხალხი სტადიონებზე. ჰკითხეთ ნებისმიერ ადამიანს, რატომ არ დადის ის საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე და პასუხი აუცილებლად ასეთი იქნება: „დონეა დაბალი“. ესე იგი, შეკრულ წრეში ვტრიალებთ: ხალხი არ დადის, იმიტომ რომ ჩემპიონატში ფეხბურთი დაბალ დონეზეა და დონე იმიტომ არის დაბალი, რომ სტადიონებზე ხალხი არ დადის.

სანამ ამ წრეს გავხსნიდე, ერთი ქართული პარადოქსი მინდა განვიხილო.

ორიოდე წლის წინ, როდესაც თბილისის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ფარერის კუნძულების „სტრეიმურს“ ეთამაშებოდა, სტადიონზე დაახლოებით 20 000 ადამიანი იჯდა. ამ დროს ყველამ მშვენივრად იცოდა, თუ რას წარმოადგენს „სტრეიმური“: ეს არის სამოყვარულო გუნდი, რომელშიც სკოლის მასწავლებლები, მტვირთავები, მეზღვაურები და სხვა პროფესიის ადამიანები თამაშობენ. ამ გუნდის საშემსრულებლო დონე იმდენად დაბალია, რომ მას ადგილის შენარჩუნება არათუ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, არამედ პირველ ლიგაშიც კი გაუჭირდება. ზემოხსენებულ თამაშზე მისული ხალხი კი მაინც გულმზურვალედ ქომაგობდა „დინამოს“ და ყველამ ძალიან გაიხარა, როდესაც ჩვენებმა სასურველი ანგარიშით – 6-1 მოიგეს.

ამ მატჩიდან დაახლოებით ერთ კვირაში იმავე „დინამო არენაზე“ საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი გაიმართა: „დინამო“-„გორის დილა“. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც გორელებს, ჩემი აზრით, თავიანთ ისტორიაში საუკეთესო გუნდი ჰყავდათ. მათ ევროტურნირებზე თამაშის გამოცდილებაც მიიღეს და წინა წელს საკმაოდ ხმამაღალი გამარჯვებებიც მოიპოვეს. მოკლედ, ზედმეტი იმაზე საუბარი, რომ „დილა“ გაცილებით სერიოზული გუნდი იყო, ვიდრე „სტრეიმური“. მიუხედავად ამისა, იმ საღამოს, ყველაზე ოპტიმისტური დათვლის თანახმად, სტადიონზე ორასიოდე ადამიანი თუ მივიდა.

მე მხოლოდ ერთი მაგალითი მოვიყვანე, თუმცა მსგავსი შემთხვევები საქართველოში მუდმივად ხდება და ვფიქრობ, უკვე დროა, მივხვდეთ, რომ გუნდების მიერ ნაჩვენები დონე, სინამდვილეში, არაფერ შუაშია.

ჩვენი მთავარი პრობლემა ის არის, რომ ქართველებს საკლებო დაპირისპირებების ტრადიცია არ გვაქვს. მეტიც, ჩვენ საერთოდ არ ვიცით, რა ფენომენია ეს. როდესაც საქართველოში ფეხბურთი სპორტის ერთ-ერთი სახეობა ოფიციალურად გახდა, უკვე საბჭოთა კავშირში ვიყავით. იქ კი ჩვენ ე. წ. „ერთი გუნდის სისტემა“ ავირჩიეთ, რაც ნიშნავს, რომ ერთ გუნდს (თბილისის „დინამოს“) საქართველოს ეროვნული ნაკრების სტატუსი მივანიჭეთ. შედეგად, ფეხბურთი ჩვენთვის ეროვნულ იდეად იქცა. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ ხალხი სტადიონზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დადის, როდესაც ეს ეროვნული იდეა არის აქტუალური. ერთმა ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტმა პირად საუბარში გულწრფელად მითხრა, რომ მისთვის აბსოლუტურად სულ ერთია, ევროტურნირებზე რომელი ქართული გუნდი მიაღწევს წარმატებას. ასეთი ნეიტრალური განწყობა აქვს გულშემამტკივრების უდიდეს ნაწილს. იმისათვის კი, რომ ნეიტრალური მაყურებელი სტადიონზე მივიდეს, მოედანზე, სულ ცოტა, რადამელ ფალკაო, ლუის სუარესი ან მსგავსი ფეხბურთელები უნდა

გამოდოდნენ. სხვა შემთხვევაში, ნეიტრალური მაყურებელი თამაშში საინტერესოს ვერაფერს დაინახავს.

საკლებო დაპირისპირებას ეროვნულ იდეასთან საერთო არაფერი აქვს. ნებისმიერი ცნობილი დერბის უკან აუცილებლად დგას სოციალური კონტექსტი, რომელიც იმ კონკრეტულ საზოგადოებაში ფეხბურთის გარეშეც არსებობს. გლაზგოში ეს არის პროტესტანტები კათოლიკეების წინააღმდეგ, ბუენოს-აირესში – მდიდრები ღარიბების წინააღმდეგ, ლონდონსა და სტამბოლში – უბნები ერთმანეთის წინააღმდეგ და ა. შ.

ჩემი აზრით, ჩვენთვის ზედგამოჭრილი სწორედ ბოლო მაგალითია. საქართველოს ქალაქებში უბნური პატრიოტიზმი ყოველთვის აქტუალური იყო. დღეს, მეჩვენება, რომ ეს ფენომენი ოდნავ მიძინებულა, თუმცა მისი გამოვლიძება რთული საქმე არ უნდა იყოს. ეს სწორედ ფეხბურთის მეშვეობით უნდა მოხდეს. „დინამო“-„ზესტაფონი“ როგორც არ უნდა დაარეკლამო, თბილისელებს ამით მაინც ვერ დაინტერესებ. ამის მიზეზი ის არის, რომ ჯერ ერთი, თბილისი და ზესტაფონი (გორი, ბოლნისი, ბათუმი...) სრულიად სხვადასხვა „წონითი კატეგორიებია“ და მეორეც, ამ მატჩის უკან არანაირი სოციალური კონტექსტი არ დგას. სულ სხვა საკითხია, მაგალითად, „საბურთალო“-„ვაკე“ (პირველი უკვე გვყავს), რომელსაც ერთი პატარა, ეფექტური რეკლამა სჭირდება და „დინამო არენა“ თუ არა, „მიხეილ მესხი“ ნამდვილად გაივსება (სანახევროდ მაინც). შესაძლოა, ეს პირველივე ჯერზე არ მოხდეს, მაგრამ მეორედ ან მესამედ აუცილებლად ასე იქნება.

ჩვენი მთავარი პრობლემა ის არის, რომ ქართველებს საკლებო დაპირისპირებების ტრადიცია არ გვაქვს.

არ ვამტკიცებ, რომ ჩემი მოსაზრება ერთადერთი და განუმეორებელია. მხოლოდ ერთ რამეში ვარ დარწმუნებული: არსებული ვითარება კარდინალურად უნდა შეიცვალოს. დროა, საბოლოოდ ვთქვათ უარი საბჭოთა მემკვიდრეობაზე. თუ არადა, ვუყუროთ მაშინ ცარიელ ტრიბუნებს და მხოლოდ საკუთარი თავის მოსატყუებლად ვეძახოთ „დინამო“-„ტორპედოს“ დაპირისპირებას „ქართული სუპერკლასიკო“. ==



სარია, როგორც პაპი

ზურა თალაქვაძე

ის ძველი ტელევიზორი, ძველი „გრუნდი“, ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო. როგორც კი სკოლის საშინაო დავალებას მოვრჩებოდი, მივდიოდი პატარა ტელევიზორთან, რომელიც მელოდებოდა და რომელსაც ჩემთვის ყოველთვის რაღაც განსაკუთრებული უნდა ეჩვენებინა. რუსული მულტფილმები, კინომანების საყვარელი გადაცემა „ილუზიონი“, კიდევ ერთი საინტერესო კინოგოიაჟი „ვიდეო, ვიდეო“, შემეცნებითი რესტლინგი „რა, სად, როდის“ – ყველაფერს ვერც გავიხსენებ. ყველაფერი არც მახსოვს. თუ „შანხაის“ ეზოს ბიჭებთან ფეხბურთს არ ვთამაშობდი, ეგრევე ტელევიზორთან მივრბოდი და ჩემი მეგობრისგან ახალ საინფორმაციო „პერლს“ ვიღებდი. იმ „გრუნდიგმა“ მაჩუქა ის ერთი განსაკუთრებული სერიაც, რომელზეც დღეს მოგიყვებით.

საბჭოთა კავშირმა კანადაში უძლიერესი შედეგები მიაღწია.

სერია, რომელმაც შეცვალა ჩემი დამოკიდებულება ჰოკეის მიმართ. სერია, რომელიც იყო განსაკუთრებული. ჩემთვის – ყველაზე დიდი სერია. ჰოკეის მწვერვალი.

1987 წლის კანადის თასის ფინალი. კანადა და საბჭოთა კავშირი. ნეკერჩხლის ფოთლები და ნამგალი და ურო. თავისუფალი, უკომპლექსო კანადელები და ჩარჩოებში მოქცეული რუსები, მილიტარისტული აზროვნებით და გენიალური თამაშით. ეს იყო სპორტის ვუდსტოკი, სადაც „ქრიდენსი“, ჯო კოკერი და ჯენის ჯოპლინი კანადელებმა და რუსმა ჰოკეისტებმა შეცვალეს. საუკეთესო კანადელებმა და საუკეთესო რუსებმა. სერია ორ მოგებად.

ჩემი უფროსი კოლეგები მიყვებიან კანადა-საბჭოთა კავშირის ძველ სერიებზე და ზოგი მიმტკიცებს, რომ ის, პირველი ან მეორე დაპირისპირება უფრო მაღალი დონის იყო. ყველა სერიაში ბევრი ვარსკვლავი თამაშობდა და ყველა სერიაში იყო სისტემების ბრძოლა. მე ის ძველი სერიები არ მახსოვს და მხოლოდ ცუდად დამონტაჟებული კადრებით ან უხარისხო ჩანანერებით გავეცანი ბობი ორს, პოლ ჰენდერსონს, ფილ ესპოზიტოს, ბობი ჰალს, ფრენკ მაჰოვლიჩს, ბორის მიხაილოვს, ალექსანდრ იაკუშევს და ყველაზე დიდ მოთამაშეს, ვალერი ხარლამოვს. ნუ, იმ მომენტში ვალერა ყველაზე დიდი იყო. კარში დგას კენ დრაიდენი და რუსების თავმოყვარეობას იცავს ყველა დროის საუკეთესო მეკარე ვლადისლავ ტრეტიაკი.

მაგრამ ეს ძველი დროა. 1987 წლის კანადის თასი ჩემი პირველი დიდი სერია იყო.

ვარსკვლავები ყველა ნაკრებს ჰყავდა. ჩეხოსლოვაკიაში – დოლეჟალი, პაშეკი, ვლკი, კადლეცი, შეიბა, ჰრდინა, ვლახი და ახალგაზრდა დომინიკ ჰაშეკი.

ფინეთი, სადაც სოლირებდნენ „ედმონტონ ოილერზის“ დიდი ბიჭები – იარი კური და ესა ტიკანენი.

სტაბილური შედეგით მათ ნესლუნდთან, ტომი ალბელინთან, კენტ ნილსონთან, ტომას რუნდკვისტთან ერთად. ამერიკა, სადაც ტურნირის საუკეთესო მეკარე ჯონი ვანბიზბრუქი იღლებოდა. და ამერიკას ჰყავდა ვირტუოზი პატ ლაფონტენი, გენიალური მცველი როდ ლენგუეი და ახალგაზრდა სადისტი კრის ჩელიოსი.

საბჭოთა კავშირმა კანადაში უძლიერესი შემადგენლობა ჩაიყვანა. კაპიტანი ვიარესლავ ფეტისოვი, რომელიც სერგეი მაკაროვთან, იგორ ლარიონოვთან, ანდრეი ხომუტოვთან და ვლადიმირ კრუტოვთან ერთად იმ ლეგენდარული პირველი ხუთეულის წევრი იყო. ტიხონოვი ხშირად ცვლიდა მეკარეებს და ხან სერგეი მილნიკოვს ათამაშებდა და ხან ევგენი ბელოშეკინს.

და რჩება კანადა. მთავარი მწვრთნელი მაიკ კინენი, ასისტენტი ჯონ მაკლერი და ამ გენიალური იმპროვიზატორების განკარგულებაში იყო ოცნების გუნდი: უეინ გრეცკი, მარო ლემიე, მარკ მესიე, მაიკ გარტნერი, დაგ გილმორი, რეი ბურკი, ფენომენალური მცველი პოლ კოფი, ბრენტ სატერი, კლოდ ლემიე და ერთმანეთზე უკეთესი მე-

პი ნაგების გარეშე დაფარა, მაგრამ ვერ მოუგო ჩეხოსლოვაკიას (4:4) და ცუდი თამაშით გადარჩა საბჭოთა კავშირთან (3:3). შემდეგ იყო ნახევარფინალები. საბჭოთა კავშირი უგებს შვედებს 4:2 და იმ ჩეხაში ბევრ შეცდომას უშვებს „ტრე კრუნერის“ მეკარე პიტერ ლინდმარკი. ალბათ რუსები მაინც გავიდოდნენ ფინალში. კანადამ ჩეხეთთან პირველი


კანადა და საბჭოთა კავშირი ფინალში გავიდნენ. არ გაბონოთ, რომ ორივე ფინალისტმა ეს მშვიდად, დაუძაბავად გააკეთა.

კარები, რომ ჰექსტოლი და გრანტ ფიური. არჩევანი მაინც ფიურზე გაკეთდა, რომელიც იმ პერიოდის დომინატორის, „ედმონტონის“ კარს იცავდა.

კანადა და საბჭოთა კავშირი ფინალში გავიდნენ. არ გეგონოთ, რომ ორივე ფინალისტმა ეს მშვიდად, დაუძაბავად გააკეთა. რუსებმა ტურნირი შედეგებთან 3:5 ნაგებით გახსნეს და კომუნისტი ბელადებისგან საყვედურის მიღების შემდეგ რუსული მანქანა დაიქოქა. კანადამ ჯგუფური ეტა-

პერიოდის ნაგების (0:2) შემდეგ მეორეში აკრიფა, სამ წუთში სამი შაიბა გაიტანა და საბოლოოდ 5:3 დასვა. აგრესიული და ელევანტური ჰოკეის იდეალური მიქსი. ეს იყო კანადა და იქ თამაშობდა ჰოკეის კიო – უეინ გრეცკი.

ბოლო სერია დღესაც დეტალურად მახსოვს. როგორ ნერვიულობდა გუნდების წარდგენის დროს რუსების მთავარი მწვრთნელი ვიქტორ ტიხონოვი. როგორ გაუფრდა ჩაფხუტი რუსების კაპიტანს, იგორ ლარიონოვს. როგორ დაიჭამა



GREASY



ვიაჩისლავ ფეტისოვი

ტუჩები გრეცკის ძმაცაცმა, იდეალურმა კაპიტანმა მარკ მესიემ. როგორ ჩამოართვა ხელი გრეცკის სერგეი მაკაროვმა, რომელიც რუსების გრეცკი იყო. და როგორ დაიწყო სპორტის ისტორიაში განსაკუთრებული სერია.

სამივე თამაში 6:5 მორჩა.

ჩემთვის ყველა დროის უდიდესი სერია, რომლის უინ ბრეხკიმ და გარკო ლეიხე მოიგას.

ჯერ რუსებმა მოიგეს. ტრილოგიის პირველი ტესტი მონრეალში გაიმართა. დამატებით დროში სერგეი სემაკმა ნეიტრალურ ზონაში შაიბა გაისწორა და ძალიან ძლიერად კარისკენ გადაგზავნა. ფიურმა კანადა დააღალატა და საბჭოთა კავშირი სერიაში წინ გადის.

უინ გრეცკი: „ჩვენ ვხედავდით, როგორ ერიდებოდნენ რუსები ჟურნალისტებთან საუბარს. ტურნირის დაწყებამდე მათი პირველი ხუთეული ჩემთან დავპატიყე, ბარბექიუზე. მოთამაშეებს თან ახლდათ ადამიანი, რომელიც მომესალმა და მეტი არაფერი უთქვამს. უბრალოდ, ყველაფერს აკ-

ვირდებოდა, რკინის სახით იდგა და არაფერი გაუსინჯავს. რუსები დაძაბულები იყვნენ. მარკმა ჯგუფური ეტაპის თამაშის შემდეგ ისინი რესტორანში დაპატიჟა. პასუხის გასაცემად რუსებმა გამოუმევეს კაპიტანი, სლავა... მან ბოდიში მოგვიხადა, რესტორანში ვერ წამოვალთ, სასტუმროში კრება გვეწყება და თუ შეძლებთ, მოგვიანებით სასტუმროს პირველ სართულზე ჩაი დავლიოთო. ისინი ბორკილებით ცხოვრობდნენ და მათ მაგივრად სისტემა გვესაუბრებოდა“.

ჰამილტონში კანადა ანგარიშს ათანაბრებს. ჰოკეის ისტორიაში ყველაზე დაძაბული თამაში, კიდევ ერთი 6:5 და იმ, ბოლო კომბინაციაში მონაწილეობა ლარი მერფისთან ერთად გრეცკიმ და ლემიემ მიიღეს. გადამწყვეტი შაიბა 91-ე წუთზე გავიდა. კანადამ სერიაში ანგარიში გაათანაბრა და იწყება იმ ეპოქის მესამე, გადამწყვეტი გარჩევა.

მარკ მესიე: „ერთ-ერთ ეპიზოდში მაკაროვი დავაგდე და რემი (ბურკმა) ნაქცეულ მოთამაშეს სახეში მუხლი გაარტყა. მტკივნეული იყო. მაკაროვი წამოდგა, ჩემი ან რემის მიმართულებით არც კი გამოიხედა და საკუთარ ზონაში ჩადგა. შემდეგ შაიბა მოიპარა და უმცირესობაში კრუტოვს გაატანინა. ფენომენალური მოთამაშე იყო. სამწუხაროა, რომ მას NHL-ში თამაშის უფლება ასე გვიან მისცეს (სერგეი მაკაროვი NHL-ში მხოლოდ 31 წლის ასაკში წავიდა)“.

სერიის ბოლო აკორდი. კანადა ბისზე გამოდის. როგორც კოკერი, რომელმაც ვუდსტოკის დროს ცაზე ღრუბლები გაფანტა, როდესაც კომპოზიცია „With A Little Help From My Friends“ შეასრულა.

ბოლო თამაშიც კლასიკა იყო. კვლავ ჰამილტონში. კანადა უტეეს, კანადა ამსხვრევს საბჭოთა კავშირს და ისინი, კომუნისტური მანქანის პროდუქტები, არ ნებდებიან.

ძირითადის დასრულებამდე 86 წამით ადრე მარო ლემიემ გაიტანა. ისევ გრეცკის პასით.

წითელი მანქანა გააჩერეს. ლემიე 11 გატანილი შაიბით ტურნირის საუკეთესო სნაიპერი გახდა. გრეცკიმ 9 თამაშში 21 ქულა და 18 პასი აიღო. ფანტასტიკა. და უინი არის MVP.

გრეცკი ჰოკეის MVP იყო.

ის სერია დამთავრდა. და დღეს ვინმემ ფინალის რომელიმე ფრაგმენტი რომ ჩამართოს, ყველაფერს სხაპასხუპით მოვახსენებ.

ჩემთვის ყველა დროის უდიდესი სერია, რომელიც უინ გრეცკიმ და მარო ლემიემ მოიგეს.

კარგი დრო იყო. ==



Krtsanisi Residence Complex



Krtsanisi Residence complex offers you ultimate beach club concept bringing together dining, fashion, art, music and entertainment, where you can find open pool, gym, beach bar, fresh natural surroundings, high-class service and unforgettable evening parties.

Best place where you can plan your dream wedding, corporative or private event



სასნაული ყინულზე

ტატო ბასიკაძე



4 : 3

სმოხილი კომენტატორი ელ მაიკელსი ბოლო წუთნახევრის განმავლობაში თამაშის შესახებ საერთოდ აღარ საუბრობდა და მხოლოდ დარჩენილ დროს ითვლიდა.

უკანასკნელი ათი წამის მანძილზე მას ტრიბუნებზე მსხდომი 8 500 გულშემატკივარი და მილიონობით ტელემაყურებელი შეუერთდა:


„11 წამი, დარჩენილია 10 წამი, გულშემატკივრები დროს ერთად ითვლიან... მორთუ, გადაანოდა სილქს. დარჩენილია ხუთი წამი... თქვენ გჯერათ სასნაულებს? დიას!“ ...და თამაშიც დასრულდა – მსოფლიო სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი სენსაცია დაფიქსირდა: ჰოკეიში ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა საბჭოთა კავშირის ნაკრებს 4:3 მოუგო.

ეს ყველაფერი 1980 წლის 22 თებერვალს ლეიკ პლესიდში, ზამთრის ოლიმპიადის ფინალური ჯგუფის მორიგი შეხვედრისას მოხდა. ამ გამარჯვებიდან ორი დღის შემდეგ აშშ-მა ბოლო ტურში ფინეთი დაამარცხა და ოქროს მედლის მფლობელი გახდა. საბჭოთა კავშირის ნაკრებს კი ვერცხლის მედალი ერგო. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მა გუნდური ოქროს მედალი ფინეთთან შეხვედრის შემდეგ მოიპოვა, ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ 22 თებერვლის გამარჯვება იყო, რომელსაც „სასნაული ყინულზე“ უწოდეს. 1999 წელს ჟურნალმა

Sports Illustrated

ეს თამაში მე-20 საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან სპორტულ მოვლენად მიიჩნია. 2008 წელს ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის ასი წლის იუბილეზე ამ ოგანიზაციის მიერ სანაკრებო ჰოკეიში საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად სწორედ „სასნაული ყინულზე“ დასახელდა.

ერთი შეხედვით, დღევანდელი თვალსაწიერიდან, თითქოს დიდი არაფერი მომხდარა – აშშ-ის ნაკრებმა ჰოკეიში საბჭოთა კავშირის ნაკრებს სძლია. რატომ არის ეს ასეთი დიდი სენსაცია? საქმე ის არის, რომ მაშინ არსებული წესებით, ოლიმპიადაზე მხოლოდ არაპროფესიონალი სპორტსმენები გამოდიოდნენ. თუმცა, იმის გამო, რომ ნებისმიერი საბჭოთა სპორტსმენი არაპროფესიონალი იყო, საბჭოთა კავშირის ნაკრები კონკურენტებთან შედარებით უდიდესი უპირატესობით სარგებლობდა – მას ხომ უძლიერესი შემადგენლობის გამოყვანა შეეძლო, მაშინ როცა აშშ-ის, კანადისა და სხვა ქვეყნების გუნდები ახალგაზრდა და არაპროფესიონალი მოთამაშეებით კომპლექტდებოდა.



1980 წლის 22 თებერვალს „ოლიმპიური ცენტრის“ ყინულზე (დღეს მას „ჰერბ ბრუქს არენა“ ჰქვია) ერთ მხარეს გამოვიდა გუნდი, რომლის რიგებშიც თამაშობდა იმ დროის მსოფლიო საუკეთესო მეკარე ვლადისლავ ტრეტიაკი, გუნდის კაპიტანი – ლეგენდარული ბორის მიხაილოვი, ვალერი ხარლამოვი, ახალგაზრდა ვიაჩესლავ ფეტისოვი, ვლადიმერ კრუტოვი, სერგეი მაკაროვი და ასე შემდეგ. ამ გუნდის სამი მოთამაშე – ტრეტიაკი, ფეტისოვი და ხარლამოვი – მოგვიანებით NHL-ის „დიდების დარბაზში“ მოხვდა. მანამდე სსრკ-ის ნაკრებმა წინა შვიდი ოლიმპიადიდან ექვსი მოიგო, მათ შორის, ოთხი – ზედიზედ; ოლიმპიადებზე კი 1960 წლის შემდეგ ჩატარებული 29 თამაშიდან 27-ში გაიმარჯვა (1 ფრე და მხოლოდ 1 წაგება). ტურნირამდე ერთი წლით ადრე საბჭოთა გუნდმა NHL-ის ყველა ვარსკვლავის ნაკრებს 6:0 მოუგო.

სწორედ ამ გუნდის მეტოქე იყო ჰერბ ბრუქსის მიერ განვრთნილი ნაკრები, რომელიც მოყვარულებითა და კოლეჯის სტუდენტებით დაკომპლექტდა. მთავარმა მწვრთნელმა მოთამაშეები ოლიმპიადის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე შეკრიბა. ერთადერთი ჰოკეისტი, რომელსაც ოლიმპიადაზე თამაშის გამოცდილება ჰქონდა, 25 წლის ბაზ შნაიდერი იყო.

იგი აშშ-ის ღირსებას 1976 წელს იცავდა. ცხრა ჰოკეისტი ბრუქსის ხელმძღვანელობით მინესოტას უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდა, ოთხი კი ბოსტონის უნივერსიტეტს წარმოადგენდა, მათ შორის, გუნდის კაპიტანი შნაიდერი და 25 წლის მაიკ ერუზიონე. მოთამაშეთა საშუალო ასაკი 21 წელი იყო, რის გამოც აშშ-ის ნაკრები ტურნირზე ყველაზე ახალგაზრდა გუნდი გახლდათ.

თამაში

პირველ პერიოდში საბჭოთა კავშირის ნაკრები ორჯერ დანაშაურდა – ანგარიში ვლადიმერ კრუტოვმა გახსნა, მოგვიანებით კი თავი სერგეი მაკაროვმა გამოიჩინა. ამ გოლებს შორის იყო ბაზ შნაიდერის ერთი საპასუხო შაიბა. თამაშის

ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი პერიოდის ბოლო წამებზე დადგა: დიეგ კრისტიანმა ტრეტიაკის კარში დაახლოებით 30 მეტრის მანძილიდან დაარტყა. მართალია, ლეგენდარულმა მეკარემ შაიბა მოიგერია, მაგრამ ეს საკმაოდ ცუდად გააკეთა, რითაც ისარგებლა მარკ ჯონსონმა, რომელმაც ორ მეტოქეს შორის გაძრომა და შაიბის კარში გაგზავნა პირველი პერიოდის დასრულებამდე ერთი წამით ადრე მოახერხა – 2:2.

სსრკ-ის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ლეგენდარულმა ვიქტორ ტიხონოვმა მეორე პერიოდის დაწყებამდე ტრეტიაკი დაშვებული შეცდომის გამო გუნდის მეორე კიპერით, ვლადიმერ მიშკინით შეცვალა. ამ გადაწყვეტილებამ არა მხოლოდ ამერიკელი, არამედ საბჭოთა მოთამაშეებიც გააოცა.

ბევრი სპეციალისტის აზრით, ეს ცვლილება საბედისწერო აღმოჩნდა. თავად ტიხონოვმა რამდენიმე წლის შემდეგ განაცხადა, რომ მის სამწვრთნელო კარიერაში ეს ყველაზე დიდი შეცდომა იყო. გავიდა წლები და ჯონსონმა ტიხონოვის



სწორედ ამ ბუნდის ბატონი იყო ჰერბ ბრუქსის მიერ განვრთნილი ნაკრები. რომელიც მოყვარულებითა და კოლეჯის სტუდენტებით დაკომპლექტდა.



გადანწყვეტილების მართებულობის თაობაზე ვიარჩესლავ ფეტისოვს ჰკითხა, რომელიც იმ დროს NHL-ში მისი თანაგუნდელი იყო. შეკითხვაზე ფეტისოვმა ასე უპასუხა: „მწვრთნელი გაგიჟდა“.

ასე იყო თუ ისე, მიშკინმა მეორე პერიოდში კარი „მშრალად შეინახა“, საბჭოთა ნაკრებმა კი 12 დარტყმიდან მხოლოდ ერთი გამოიყენა – ალექსანდრ მატისევმა რიცხობრივი თანასწორობის შემდეგ საკუთარი გუნდი მესამედ დაანინაურა – 3:2.

შეხვედრის დასრულებამდე ზუსტად ათი წუთით აღრე აშშ წინ გავიდა – 4:3.

მესამე პერიოდში თამაში კვლავ სსრკ-ის ნაკრების უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ჯიმ კრეიგი, რომელმაც, ჯამში, 36 დარტყმა მოიგერია, შესანიშნავად ირჯებოდა. თამაშის ერთ-ერთი გადამწყვეტი მონაკვეთი იყო კრუტოვის ორწუთიანი გაძევება, რომლითაც ამერიკელებმა ისარგებლეს და ანგარიში გაათანაბრეს. ჯონსონმა დუბლი შეასრულა. წუთის და 21 წამის შემდეგ შაიბა მიუვიდა გუნდის კაპიტანს, მაიკ ერუზიონეს, რომელიც ყინულზე ის-ის იყო შემოვიდა. ერუზიონემ მიშკინის კარისკენ დაარტყა, მეკარეს მხედველობის არეალი თანაგუნდელმა, ვასილი პერვუხინმა შეუზღუდა, რის გამოც კარის დარაჯმა საკუთარი გუნდის გადარჩენა ვერ შეძლო და შეხვედრის დასრულებამდე ზუსტად ათი წუთით აღრე აშშ წინ გავიდა – 4:3.

აქედან მოყოლებული საბჭოთა კავშირის ნაკრები ძალიან დიდ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ მათ დარტყმებს ან კრეიგი უმეკლავდებოდა ან შაიბა კარს სცდებოდა. ამერიკელები თავს დამაჯერებლად იცავდნენ, ფავორიტის თამაში კი აშკარად გაუარესდა, რასაც მატჩის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ჰოკეისტებიც აღიარებდნენ. შეხვედრის დასრულებამდე რამდენიმე წამით აღრე, როდესაც ჯონსონისგან გატყორცნილი შაიბა კენ მოროუს მიუვიდა, ამერიკელი გულშემატკივრები ფეხზე წამოდგნენ და დარჩენილი წამებ-

ის თვლა ხმაშენწყობილად დაინცეს...

აშშ-ის ამავე ნაკრების 13-მა ჰოკეისტმა მომდევნო წლებში NHL-ში ითამაშა, აქედან ხუთმა 500-ზე მეტი მატჩი ჩაატარა, სამი კი 1000-ზე მეტ შეხვედრაში მონაწილეობდა. მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანისთვის მთავარი კარიერული მიღწევა სწორედ 1980 წლის 22 თებერვალს, სტუდენტურ რანგში მოგებული თამაში იყო. გამარჯვების გოლის ავტორმა, მაიკ ერუზიონემ, მიუხედავად იმისა, რომ მას „ნიუ იორკ რეინჯერსი“ ინვევდა, სპორტული საქმიანობა 25 წლის ასაკში, ოლიმპიადის შემდეგ დაასრულა. ერუზიონემ განაცხადა, რომ კარიერის გაგრძელებაში აზრს ვერ ხედავდა, რადგან მწვერვალს უკვე მიაღწია.

35 წლის წინ გამართული ამ შეხვედრის შესახებ რამდენიმე ფილმი გადაიღეს, მოთამაშეები კი ეროვნულ გმირებად იქცნენ. ამერიკელთათვის ეს გამარჯვება „ცივი ომისა“ და სხვა კონფლიქტების გამო კიდევ უფრო ძვირად ფასობდა. ბევრი სპორტული ჟურნალისტისა თუ სპორტის მოყვარულის აზრით, აშშ-ის ნაკრების მიერ საბჭოთა კავშირის უძლიერესი გუნდის დამარცხება სპორტის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ სენსაციად დღემდე რჩება. ==



1999 წელს შუარანლმა SPORTS ILLUSTRATED-ის თამაში 89-20 საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან სპორტულ მოვლენად მიიჩნია

შსსსი შთაზნაზიზა სიჩქნეიისზა



Silk^{TV} 20
ჩაჩიიი



Silk^{Optic} 26
ჩაჩიიი

ლეგან ბერძენიშვილის ბლოგს წარმოგიდგენთ კომპანია სილქნეტი



სირბილი



საყოველთაოდ ცნობილია, რომ სირბილი სპორტის უბრალო სახეობა არ არის, იგი უნიკალური სახეობაა, რომელმაც ოლიმპიზმის ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულა. სპორტის ეს უძველესი და ულამაზესი სახეობა უშუალოდ უკავშირდება ოლიმპიადების ისტორიას და ქალაქ ოლიმპიას – ბერძნული პელოპონესის ჩრდილო-დასავლურ ნაწილში, ელისში, მდინარე ალფეოსისა და მისი შენაკადის, კლადეონის ხეობაში არსებულ დასახლებას. მიკენურ ეპოქაში ოლიმპიაში პისატების ტომი სახლობდა. თავდაპირველად ოლიმპია მთელ საბერძნეთსა და ანტიკურ სამყაროში ცნობილი იყო დედამიწის ქალღმერთ გეას ტაძრით, რომელსაც შემდგომში ზევს კრონიონის ტაძარი ჩაენაცვლა. უკვე ძვ. წ. XIII საუკუნეში ამ მიწაზე დორიელებთან ერთად ეოლიელები შემოვიდნენ.

ძვ. წ. VII-VI საუკუნეებში ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლებისთვის ელისელებსა და პისატებს შორის ხანგრძლივი შეტაკებები მიმდინარეობდა. ამ გაუთავებელ ბრძოლებში საბოლოო გამარჯვებას ელისელებმა მიაღწიეს. ამავე ეპოქას მიეკუთვნება ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-კულტურული და ზნეობრივ-პოლიტიკური მონაპოვარი. საუბარია ე. წ. ოლიმპიური ზავის იდეაზე, რომლის მიხედვითაც, ოლიმპიადის გამართვის დღეებში ბერძნულ პოლისებს შორის მიმდინარე ომები წყდება. ძვ. წ. VI-V საუკუნეები გახდა ოლიმპიური თამაშების აყვავების ხანა. V საუკუნეში ოლიმპიაში, მთავარ ტაძარში დაიდგა გენიალური მოქანდაკის, ფიდიასის მიერ გამოქანდაკებული ზევსის გამოსახულება. მიუხედავად ზევსის ტაძარისა და ოლიმპიური თამაშების ისტორიული

ურთიერთკავშირისა, ეს თამაშები თანდათანობით მაინც კარგავდა რელიგიურ ხასიათს და ყალიბდებოდა კლასიკურ სპორტად, რასაც წარმატებასთან ერთად მოჰყვა უარყოფითი შედეგებიც – მსაჯების მოსყიდვა და სხვა ტიპის კორუფცია, რაც წარმოუდგენელი იყო მაშინ, როდესაც თამაშები რელიგიური რიტუალის ხასიათს ატარებდა.

ოლიმპიური თამაშების ბანვითარებაში სირბილის სპორტულ დისციპლინაში ძველმა ბერძენებმა ისტორიულად ჩამოაყალიბეს სულ ოთხი სახეობა:

- სირბილი ერთი სტადიონის (192 მ) დისტანციაზე, ანუ სტადიონი

- ორმაგი სირბილი (384 მ), ანუ დიაპლოსი
- სირბილი ბრძელ დისტანციაზე (1344 მ), ანუ დოლიქოსი
- სირბილი საბრძოლო აღჭურვილობით ორი სტადიონის (384 მ) დისტანციაზე, ანუ კოპლიტოდრომოსი

სირბილი ერთი სტადიონის დისტანციაზე (ბერძნული στάδιον, ლათინური stadium) – სტადიონის ერთი ბოლოდან მეორემდე ოლიმპიური სტადიონის სიგრძეზე, რაც შეადგენდა 192 მეტრს. ეს იყო ოლიმპიადის პირველი და ერთადერთი შეჯიბრი პირველიდან მეცამეტე ოლიმპიადამდე (ძვ. წ. 724 წლამდე). პირველ ოლიმპიადებს ნუმერაცია არც ჰქონდათ,

მათ სწორედ ამ სახეობაში გამარჯვებულის სახელები ეწოდებოდათ, მხოლოდ შემდგომში დაიწყეს მათი ნუმერაცია, რაც, საბოლოოდ, ტრადიციად ჩამოყალიბდა და ბერძნული ნელთაღრიცხვის სისტემასაც დაედო საფუძვლად.

ლეგენდების მიხედვით, ოლიმპიური თამაშები დაუნესებია უხსოვარ დროს ჰერაკლეს (ევსებიოსის მიხედვით, ეს მომხდარა ძვ. წ. მეცამეტე საუკუნის ათიან წლებში, 1210 წლის მახლობლად). ოლიმპიადები მაშინ ხუთ წელიწადში ერთხელ იმართებოდა. შემდგომში თამაშების ჩატარების ტრადიცია შემწყდარა და ელისის მეფე იფიტოსს აღუდგენია სპარტის მმართველი ლიკურგოსის დახმარებით. იფიტოსის ზეობის წლები უცნობია, მაგრამ ანტიკური ავტორები ოლიმპიადების ჩატარების აღდგენას ძვ. წ. 884-828 წლებში ვარაუდობენ. გამარჯვებულების სახელებისთვის თავი პირველად მოუყრია ელისელ პარაბალონს. ელისის მკვიდრმა ჰიპიასმა მოაწესრიგა, რიგითობა დაადგინა და ჩამოწერა ოლიმპიური თამაშების ნუსხა ძვ. წ. V-IV საუკუნეების მიჯნაზე. შემდგომში ოლიმპიური თამაშების ნუსხა შეუდგენია არისტოტელესაც. ოლიმპიადების მიხედვით ქრონოლოგიის დადგენა ძვ. წ. IV საუკუნეში პირველად დაამკვიდრა ტიმეოს სიცილიელმა.

შეკრებილი მასალის მიხედვით, ანტიკურმა ავტორებმა გადაწყვიტეს, ოლიმპიადების ათვლა დაეწყოთ ძვ. წ. 776 წლიდან. სწორედ ამ წლიდან ვიცით ოლიმპიადაში გამარჯვებულის სახელი. იულიუს აფრაკანუსი, მესამე საუკუნის ავტორი წერდა, რომ 776 წლის თამაშები სინამდვილეში მეთოთხმეტე იყო.

როგორც უკვე ვთქვით, თავდაპირველად ერთადერთი ოლიმპიური სახეობა იყო სირბილი. შემდგომში იგი იწყებდა უფროსი ასაკის ათლეტების ასპარეზობას, რასაც მოჰყვებოდა შეჯიბრი ორმაგ სირბილში. ათლეტები სტარტზე შიშვლები გამოდიოდნენ. ანტიკურობის უდიდეს მორბენლად მიჩნეული იყო ლეონიდას როდოსელი, რომელმაც ძვ. წ. II საუკუნეში ოთხ ოლიმპიადაზე თორმეტი გამარჯვებას მიაღწია.

ორმაგი სირბილი (ბერძნული Δίαυλος, diaulos) – სირბილი ორი სტადიონის (384 მ) მანძილზე. ათლეტები გაირბენდნენ ერთი სტადიონის მანძილს, შემოურბენდნენ ბოს და სტარტის ნერტილისკენ მორბოდნენ. სპორტის ეს სახეობა ოლიმპიადებს დაემატა მეთოთხმეტე ოლიმპიადაზე ძვ. წ. 724 წელს.

გრძელ დისტანციაზე სირბილი (ბერძნული δόλιχος, dolichos) – სირბილი 7 სტადიონის (1344 მ) მანძილზე. ათლეტები გაირბენდნენ სტადიონს, შემოურბენდნენ ბოს სტადიონის ერთ ბოლოში, შემდეგ ამავე მანძილს უკან გამოვლიდნენ და ახალ ბოსს შემოურბენდნენ. ეს სახეობა ოლიმპიადას დაემატა მეთოთხმეტე ოლიმპიადაზე ძვ. წ. 720 წელს. დისტანციის მანძილი იცვლებოდა სხვადასხვა წელს შვიდიდან ოცდაოთხ სტადიონამდე (1344 მეტრიდან 4608 მეტრამდე).

სრულიად უნიკალური იყო, ფაქტობრივად, **სრული საბრძოლო აღჭურვილობით სირბილი, ანუ ჰოპლიტების სირბილი (ბერძნული ὁπλιτικός, hoplitodromos)** – მუზარადით, ე. წ. საბარკულებით (საწვივე აბჯრითა) და ფარით (მაგრამ შუბისა და ხმლის გარეშე, რომლებიც ზემოხსენებულთან ერთად შეადგენდა ჰოპლიტის სრულ საბრძოლო აღჭურვილობას)



სირბილი ორი სტადიონის მანძილზე (384 მ). მოგვიანებით ამ აღჭურვილობიდან ამოიღეს მუზარადი და საბარკულები და დატოვეს მხოლოდ ფარი. სირბილის ეს სახეობა ოლიმპიადას დაემატა ძვ. წ. 520 წელს. ათლეტები აქაც შიშვლები ასპარეზობდნენ, როგორც ნებისმიერ სხვა ოლიმპიურ სახეობაში, ეტლებით სრბოლის გარდა. როგორც წესი, სწორედ სანახაობრივად და სპორტულად საინტერესო ჰოპლიტების ასპარეზობა ასრულებდა ნებისმიერი ოლიმპიადის სპორტულ პროგრამას.

სირბილი და სირბილში ასპარეზობა კაცობრიობის ისტორიის ნებისმიერ მონაკვეთში მიმდინარეობდა, რაც „გონიერი“ ადამიანის ხანას უკავშირდება. ეს ასპარეზობები იმართებო-

და ყველა კონტინენტზე, ყველა ხალხში, დაწყებული „მოხერხებული“ ადამიანის ეპოქიდან. მიიჩნევა, რომ ადამიანის სირბილი სათავეს იღებს სულ ცოტა ოთხნახევარი მილიონი წლის წინ ადამიანის შორეული წინაპრის, მაიმუნისმაგვარი ავსტრალოპითეკუსის შესაძლებლობიდან, ორ ფეხზე წელგამართულად გაიაროს.

სირბილი, როგორც ფიზიკური ვარჯიში, აუცილებელი იყო ძველ საბერძნეთში გოგონებისთვისაც, რაც მათ, როგორც მომავალ დედებს სჭირდებოდათ ჯანსაღი ახალი თაობის წარმოსაშობად. ამაზე წერდა არისტოტელე, რომელიც აკრიტიკებს კანონმდებლობას, რადგან იგი არ ავალდებულებს მშობლებს, რომ გოგონებიც ჩართონ სპორტში.


სწორედ სირბილის ზემოთ დასახელებული, ისტორიულად ჩამოყალიბებული ანტიკური სახეობებიდან განვითარდა და შეიქმნა მძლეოსნობაში (ე. წ. მსუბუქ ათლეტიკაში) შემავალი სირბილის სახეობები, კერძოდ, სპრინტი (100 მ, 200 მ და 400 მ), საშუალო დისტანციებზე სირბილი (800-დან 3000 მეტრამდე, მათ შორის, 3000 მ წინააღმდეგობით) და სირბილი გრძელ დისტანციაზე (კლასიკური დისტანციები 5000 მ და 10 000 მ), წინააღმდეგობის გაძალადებით სირბილი, ანუ თარჯრბენი (110 მ, 400 მ) და რამდენიმე ესტაფეტა (4 x 100 მ, 4 x 200 მ, 4 x 400 მ, 4 x 800 მ, 4 x 1500 მ). ყველა ეს სახეობა, ისევე როგორც საუკუნეების წინ, საასპარეზოდ ახლაც ოლიმპიური სტადიონის სარბენ ბილიკებს იყენებს. ==



Silk TV აპლიკაცია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ყველასთვის!

- უყურეთ ტელევიზიას თქვენთვის სასურველ მოწყობილობაზე
- ისარგებლეთ ინტერაქტიული ფუნქციონალით:
 - ◀▶▶▶ გადახვევა, დაპაუზება, არხების რჩეულებში დამატება...

www.silktv.ge



გადმოწერეთ Silk Up აპლიკაცია - სახლის ტელეფონი მობილურში და დარეკეთ მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან:

- საუკეთესო ტარიფებით საქართველოს მობილური ოპერატორების ქსელში
- უფასოდ სილქნეტის შიდა ქსელში

2 100 100 www.silknet.com



ცხრა თვე აფრიის ქვეშ

აზო იასალაშვილი

გასულ ოქტომბერს ესპანეთის ალიკანტედან შვიდი იახტა კეიპტაუნისაკენ გაემართა. ასე დაიწყო „ვოლვოს ოკეანის რბოლა“, სამ წელიწადში ერთხელ რომ ტარდება და ყველაზე ხანგრძლივი და რთული სპორტული შეჯიბრია დედამიწაზე. მას აფროსნობის ევერესტსაც ეძახიან.

პირველად ის 1973 წელს ჩატარდა, სულ სხვა სახელით და ლუდსახარში „უაითბრედის“ მიერ გაღებული თანხებით. მაშინ სამი ზღვაოსანი შინ აღარ დაბრუნებულა. ამის გამო ის თავზეხელაღებულია საქმედაც ჩაითვალა.

შემდეგ გამოჩნდა კონი ვან რიტსხოტენი და ამ ჰოლანდიელმა მილიონერმა მთელი თავისი მონდომება ჩადო შეჯიბრში, საუკეთესო კონსტრუქტორები გამოძებნა, პროფესიონალი იახტმენები მოკრიბა, წონის დასაკლებად წყალგამოცლილი პროდუქტებით მომარაგდა და შედეგად ორჯერ ზედიზედ გაიმარჯვა. ის დღემდე საუკეთესო შკიპერად რჩება „ვოლვოს“ რეგატაში, მისი მიღწევა ვერავინ გაიმეორა.

წლევიანდელი რბოლის მთავარი სიახლე კი ახალი კონსტრუქციის იახტებია. თან ამიერიდან ყველა ერთი აგებულებისა და ყაიდისაა, სიჩქარეც გაიზარდა. თუ ადრე საათში 26 კვანძით მიქროდნენ, ახლა 42-ს ავითარებენ, ეს მიახლოებით 80 კილომეტრია.

ყოველ გუნდში ცხრა წევრია. თითქოს იმ ძველ ზღვაოსანთა დარად შეყრილან, ახალი მიწების აღმოსაჩენად, რაიმე სანმისის გამოსატაცად, თეთრი ვეშაპის მოსასპობად რომ გამართულან; თანამედროვე რუკები და ნავიგაციის ხელსაწყოები კი ცვლის ძველ ასტროლაბიათა ქონას, თუმცა უცვლელია ეკვატორის პირველად გადალახვისას თავის გაპარსვა და ნეპტუნისათვის თმების შეწირვა. ერთი გუნდი თითქოს სულაც და „ამაზონკებისაა“, შიგ მარტო დედაკაცები მოკრებილან, და ღონე და წონა რომ დაებალანსებინათ კიდევ სამი წევრი დაუმატებიათ; ესეც გათვლილია წესებით.

შეჯიბრი 39 ათასზე მეტ ზღვის მილს ითვლის, ცხრა თვე გრძელდება და ამ დროის მანძილზე 11 ნავსადგურს მოივლიან. ესაა თითქოს რომელიმე ფრენის დრეიკისა თუ ჯეიმს კუკის სწრაფვა ოკეანეთა დაპყრობისა. ესაა ცხრა თვე გამოუძინებლობა, კომფორტზე უარის თქმა, ქარიშხლები, საფრთხე, დასვენება, შტორმი, მზე, სიცხე, მინუს ხუთიდან პლიუს ორმოც გრადუსამდე ტემპერატურის ცვალებადობა, გარშემო კი ოდენ ოკეანე. იშვიათად რამე კუნძული თუ გამოჩნდა, იმისი მოხაზულობა. სხვა კი არაფერი. მხოლოდ შრომა და გადასწრების ფიქრი.

სამ კვირაში ერთხელ მოპაექრეთ რომელიმე ნავსადგური ელის, იქ ორიოდ დღით დაყოვნება, დანატრებული ხმე-

ლეთის საკვების მიღება, იქნება გამოთრობაც და მეზღვაურთათვის ოდითგანვე ჩვეული ნავსადგურის დუქნებში ხეტიალი მთელი ღამე. ახალი ეტაპის წინ კი ჯერ იმართება პორტების შეჯიბრი, რომელშიც გუნდებს დამატებითი ქულები ერიცხებათ.

ყოველი ზღვისპირა ქალაქი ცდილობს, მათ საუკეთესო ფერადებით და ფიერვერკით დაუხვდეს, შეყაროს იქაურობა, აავსოს იქაურობა. თავი მოაწონოს კიდეც იმად, რომ „ვოლვოს რეგატა“, დღეს ყველაზე პრესტიჟული იახტათა გაჯიბრება, მთელ მსოფლიოში გადაიცემა. მისი ჩვენება ორ მილიარდზე მეტ მაცქერალზეა გათვლილი. გამორჩევით პოპულარული ბრიტანეთის პაბებშია. არც დროთა უკეთ შერჩევა გაჰპარვიათ და ცალთვალა ნელსონისა და ადმირალ ბენბოუს შთამომავლები პინტა ლუდს ჩააყოლებენ ამ თავზეხელაღებულთა ამბებსა და ზღვის შხეფებს.



თავიდან ლიდერობა ხელთ „აბუ დაბიმ“ იგდო, შემდეგ მას ჰოლანდიური „ბრუნელი“ და ჩინური „დონგფენგი“ წამოეწინივნენ. გუნდებმა უკვე მოიარეს კეიპტაუნი, აბუ დაბი, ჩინური სანია, ოკლენდი. ამას მოსდევს ჰორნის კონცხი, ცეცხლოვანი მინა და ბრაზილიამდე ჩასვლა. აქედან ჯერ ამერიკული ნიუპორტისკენ აქვთ გეზი, მერე ლისაბონისკენ და, სავარაუდოდ, ივნისის ბოლოს რბოლას გიოტებორგში დაასრულებენ. დანიური „ვესტას ქარი“ კი უკვე გამოეთიშა შეჯიბრს, ის ინდურ ოკეანეში მარჯნის მეჩქრს დაეჯახა. იახტა ამოყრავდა და ვიდრე მასშველები გამოჩნდებოდნენ,

ეკიპაჟი ხსნას ზვიგენებით სავეს წყალში ელოდა. განსაცდელი სხვაც იყო, პირველ ეტაპზე „ალვიმედიკა“ კინალამ ნისლში დამალულ აისბერგს შეასკდა. ბოლო წამს გადარჩნენ და „ტიტანიკის“ ბედი არ გაიზიარეს. ხიფათი არაერთია, თუნდაც ფრინველების თავდასხმა, თითქოსდა ჰარპიებისა, ფოლადის ფრთები რომ სცვივათ, ოკეანის მეკობრეები, მალაკას ვინრო სრუტეები, თითქოსდა სცილა და ქარიბდა მათ წინ აღმართული. ტრავმებიც ხშირია, მოტეხილი ხელები, ამოვარდნილი მხრები, გატეხილი თავები, ჩამტვრეული კბილები, კონი ვან რიტსხოტენმა კი გულის შეტევა დამალა, რათა რეგატას არ ჩამოშორებოდა. დღეს ის თავის პორტუ-

გალიურ, ტბებით მოფარგულ მამულში იხსენებს განვლილ ფათერაკებს, „მეფის ლეგენდასთან“ გამართულ შეჯიბრს ქარიშხლიან და ცივ ოკეანეში. მაშინ კეიპტაუნიდან ოკლენდამდე მანძილი ერთ ეტაპად ითვლებოდა და მისმა გუნდმა მხოლოდ ერთი საათით და თხუთმეტი წუთით გაუსწრო მოპაექრეს. ეს სიგიჟის რბოლა იყო. ეს იყო თითქოსდა კაპიტან აქაბის დევნა მობი დიკისა, იმის ფეხის მომკებრავი თეთრი ვეშაპისა, მოსასპობად, ჟინის და ხომის მოსაკლავად და ვეშაპმა აჯობა. დიახ, ასეა. გული მას თავს დღესაც ახსენებს. ფათერაკები მისთვის დასრულებულია, ახლა ის ტომატების მოყვანით თუ დაკავდება. ==

GEORGIA ON MY MIND

ბივი მალალაშვილი



ამერიკის სამოქალაქო ომის დროს მონათმპყრობელური სამხრეთის კონფედერაციული შტატების ერთ-ერთი ცენტრი ჯორჯია და მისი დედაქალაქი ატლანტა იყო. მიუხედავად ასეთი მძიმე და რასისტული წარსულისა, ატლანტაში შავკანიანთა რაოდენობა მოსახლეობის 50 პროცენტს აღემატება. აქ NBA-ის ფინალებსა თუ ALL STAR-ს სისტემატურად გააჩნია საუკეთესო სატელევიზიო რეიტინგები, მაგრამ სპორტზე შეყვარებული ქალაქი საკუთარ გუნდს მხარს არასოდეს უჭერდა. ატლანტა სავსეა „ლეიკერსის“, „სელტიკისა“ და სხვა გუნდების გულშემატკივრებით. როდესაც ლებრონი ან კობი სამხრეთში ჩადიან, „ფილიპს არენა“ მონინალმდევე გუნდის ქომაგებით ივსება, ხოლო საშუალო სეზონური დასწრების მაჩვენებლებით „ჰოუქსი“ ლიგაში ტრადიციულად უკანა პოზიციებზეა. ამ მიზეზის გამო ხშირად გავრცელებულა ჭორი, რომ გუნდის მფლობელობა რელიოკაციაზე ფიქრით

და სხვა შტატში არენის ძებნით იყო დაკავებული. გუნდის ატლანტურ ისტორიაში მხოლოდ ერთი პერიოდი გამოსარჩევი, როდესაც „ჰოუქსის“ უნიფორმით დომინიკ ვილკინსი (Human Highlight Film) გამოდიოდა პარკეტზე, მაგრამ ამ დრომაც ქალაქისთვის მხოლოდ ჩატენჯების კონკურსზე მოპოვებული რამდენიმე ტიტულით ჩაიარა, ხოლო პლეიოფში წარმატებები ისევ აუსრულებელ ოცნებად რჩება. მიუხედავად გამოკვეთილი ვარსკვლავის არარსებობისა, სამხრეთელები წელს აღმოსავლეთის კონფერენციას ლიდერობენ და ისინი ALL STAR-ზე 4 კალათბურთელით იყვნენ წარდგენილნი. გუნდისადმი ატლანტელი მაცურებლის დამოკიდებულების შესაცვლელად დღეს საუკეთესო დროა და არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ გუნდის აღმასვლა მხოლოდ დროებითი გაბრწყინება ნამდვილად არ არის.



დომინიკ უილკინსი

პოპის მოსიქული

„ატლანტას“ მწვრთნელობამდე მაიკლ ბუდენჰოლცერი 18 წლის განმავლობაში პოპოვიჩის თანაშემწე იყო და გრეტთან ერთად მან ჩემპიონატი 4-ჯერ მოიგო. ბუდენჰოლცერს მწვრთნელობა სხვა „პოპის მოციქულებზე“ უკეთ გამოსდის და მისი გუნდის შეტევა ეფექტიანობით ლიგაში მეოთხე ადგილს იკავებს. ცნობისათვის, მასწავლებლის ჩემპიონი „სან-ანტონიო“ ამ მაჩვენებლით მე-13 ადგილზე იმყოფება.

ამერიკულ სპორტში ხშირია შემთხვევა, როდესაც წარმატებული გუნდების ასისტენტ მწვრთნელებს დანიშნაულებას და გუნდის ხელმძღვანელობას სთავაზობენ. სკოტ ბრუკსი („ოკლაჰომა“), მაიკ ბრაუნი („ლეიკერსი“ და „კლივლენდი“), მონტი ვილიამსი („ნიუ ორლეანი“), ჟაკ ვონი („ორლანდო“), ბრეტ ბრაუნი („ფილადელფია“), ტაირონ კორბინი („იუტა“) სხვადასხვა დროს „სან ანტონიოს“ ლეგენდარული მწვრთნელის თანაშემწეები იყვნენ. მათ რიცხვს შეგვიძლია დოკ რივერსი („კლიპერსი“) და სტივ კერიც („გოლდენ-სტიეტი“) მივანეროთ, როგორც პოპოვიჩის ყოფილი მოთამაშეები. ამ სპეციალისტების მიერ განვრთნილი გუნდები ბურთის თავისუფალი, ევროპული კალათბურთისთვის დამახასიათებელი მოძრაობით, პერიმეტრიდან სროლების დიდი რაოდენობით გამოირჩევიან.



მაიკ ბუდენჰოლცერი

4 ნახევარპარსკვლავი

NBA-ში გამარჯვებისათვის ყოველთვის აუცილებლობად მიიჩნეოდა ლიდერის ყოლა, რომელიც გუნდს პლეიოფში (როდესაც თამაში ნელდება და პერსონალური დაცვა ძლიერდება) გარანტირებული 30 ქულითა და საკუთარი თავისათვის შექმნილი ტყორცნებით წინ წარუძღვება. ჩემპიონობისაკენ მიმავალი გზა დროთა განმავლობაში უფრო და უფრო რთულდება. ყოველი წამისა და ყოველი ბურთის ფლობის მნიშვნელობა იზრდება და გამორჩეული ტალანტების ფასი მატულობს. „ჰოუქსი“ ამ სტერეოტიპის დამსხვრევას 4 უმაღლესი დონის მოთამაშით, თუმცა არა ვარსკვლავით და იდეალურთან მიახლოებული კოლექტიური კალათბურთით შეეცდება.

გამთამაშებელის პოზიცია ვარსკვლავებით ასე ჭარბად დაკომპლექტებული ლიგის ისტორიაში არასოდეს ყოფილა. იმ დროს, როდესაც ტრადიციული სტილით მოთამაშე ცენტრები და მძიმე ფორვარდები თითზე ჩამოსათვლელნი არიან, NBA-ში შეუჩერებელი ნაკადით მოედინებიან ახალი პირველი ნომრები. გამოჩენიდან მხოლოდ რამდენიმე სეზონში ჯონ ვოლი, დამიენ ლილარდი, კაირი ირვინგი და სხვები საჩემპიონო ბეჭდის მოსაპოვებლად თავიანთი სუპერგუნდებით იბრძვიან. ჯეფ ტიგი, 2009 წელს „ატლანტას“ მიერ დრაფტზე მე-19 ნომრით არჩეული, ამ დონის მოთამაშედ არავის მიაჩნდა, მაგრამ შრომისმოყ-

ვარეობამ და მუდმივმა პროგრესმა „ატლანტას“ პლეიმიკერი მცველების ლამის კომპარად აქცია. შორიდან კარგად მსროლელი თანაგუნდელების საშუალებით ტიგს სივრცეები ეძლევა, რაც მას ფარისაკენ თავისუფლად შეტევის შესაძლებლობას უქმნის. მისი საშუალო სტატისტიკა (16.8 ქულა, 7.3 გადაცემა, 2.4 მოხსნა, 1.7 ჩაჭრა) ნიუ-იორკში ყველა ვარსკვლავის კვირეულზე მოსახვედრად საკმარისი აღმოჩნდა. 11-წლიანი გამოცდილების მქონე კაილ კორვერს შანსი აქვს, რომ მაიკლ ჯორდანის ყოფილ თანაგუნდელსა და „გოლდენ-სტიეტის“ ამჟამინდელ მწვრთნელს, სტივ კერს, ექსკლუზიურ „50-50-90 კლუბში“ შეუერთდეს. საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში მხოლოდ კერმა შეძლო 50 პროცენტზე მეტი 2-ქულიანების, 50 პროცენტზე მეტი 3-ქულიანების და 90 პროცენტზე მეტი საჯარიმო ტყორცნების რეალიზება. კორვერი მცველების დიდ ყურადღებას იქცევს და, მკვლელი სამქულიანების გარდა, მისგან მომდინარე საშიშროება თანაგუნდელებისთვის თავისუფალი ზონების შექმნაში მდგომარეობს.

„იუტადან“ გადმობარგებულმა პოლ მილსაპმა სამხრეთში NBA-ის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და დაუფასებელი მძიმე ფორვარდის სახელი საბოლოოდ გაიმყარა. იგი 3-ქულიანებს საკუთარ არსენალს წლების განმავლობაში ამ-



პოლ მილსოუპი, ელ ჰოლოვორდი

ატებდა და წელს მან თამაშის ეს კომპონენტი საბოლოოდ დახვეწა, რამაც „ატლანტას“ შეტევა პრაქტიკულად დაუცველი გახადა. საკალათბურთო ინტელექტი, ფორვარდისათვის არადამახასიათებელი მოედნის საუკეთესო ხედვა და შრომისუნარიანობა მას იდეალურ თანაგუნდელად აქცევს. მილსაპის საშუალო მონაგარი 16.9 ქულას, 8.0 მოხსნას, 3.0 გადაცემას და 1.7 ჩაჭრას შეადგენს.

ატლანტური რეცეპტის მთავარი ინგრედიენტი კი ერთ დროს ზაზა ფაჩულიასთან სასტარტო ცენტრობისათვის მებრძოლი ალ ჰორფორდია. როდესაც იმის ფუფუნება გაქვს, რომ ფარქვეშ უნაკლო კალათბურთელი გყავდეს, სხვა პოზიციის ყოველი დავალება მარტივდება. ჰორფორდს თავისუფლად შეუძლია სუპერსტატისტიკა „დადოს“, მაგრამ მისთვის მთავარი გუნდის წარმატებაა. „როდესაც ვეტერანი ხარ, კარგად ხედავ ახალწვეულების პრიორიტეტებს. ალი შესამჩნევად განსხვავებული იყო. მას მხოლოდ გამარჯვება სურდა“, – ასე ახასიათებს ყოფილ თანაგუნდელს ზაზა ფაჩულია. კოლეჯის კალათბურთის ორგზის ჩემპიონი 2007 წლის დრაფტზე მესამე ნომრად აირჩიეს. ბუდენჰოლცერის სისტემაში იგი ტიმ დანკანის, ჩუმი და იდეალური ვარსკვლავის, როლს ასრულებს. ჰორფორდს ერთნაირი წარმატებით შეუძლია ბურთის მოხსნა,

დაცვაში თამაში, შედეგიანი პასების გაკეთება და საშუალო მანძილიდან მაღალი პროცენტით ქულების მოხვეჭა.

გუნდზე და გამარჯვებაზე ორიენტირებული ლიდერები, საკუთარი როლის მცოდნე მოთამაშეები, გუნდის გასაუმჯობესებლად სამწვრთნელო შტაბის დაულაღავი მუშაობა, ბურთის თავისუფალი მოძრაობა და პარკეტზე თავისუფალი ზონების შესაქმნელად სამქულისანების გამოყენება – „სან-ანტონიოს“ ჩემპიონობიდან რამდენიმე თვეში ამ ფილოსოფიით უკვე აღმოსავლეთ კონფერენციის ლიდერი „ატლანტაც“ გამოირჩევა. „სპურსი“ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ტიტულისთვის ყოველწლიურად იბრძვის და მან ბოლო პერიოდში საჩემპიონო ბეჭდების მოგება ხუთჯერ შეძლო, მაშინ როდესაც „ჰორუქსს“ ერთადერთი წარმატება 1958 წელს, ქალაქ სენტ-ლუისის სახელით გამოსვლის დროს ჰქონდა. ლეგენდარულ საკალათბურთო ორგანიზაციასთან შედარებას დამსახურება უნდა და სეზონის კარგად ჩატარებული პირველი ნაწილი ამისთვის არ კმარა. საჩემპიონო ბეჭდები ზამთრის მინურულს არ გადაიცემა, ხოლო მომავალ თაობებს მხოლოდ მაისსა და ივნისში გამარჯვებულები ამახსოვრდებათ. **NBA-ის** სეზონი სპრინტი არ არის, ის მარათონია, ფინიშის სწორი კი მხოლოდ ახლა იწყება. ==



R.I.P.

დრაჟენ პეტროვიჩი (1964-1993)

დრაჟენ პეტროვიჩი იყო ერთ-ერთი პირველი ევროპელი კალათბურთელი, რომელმაც **NBA-ში** სერიოზულ წარმატებას მიაღწია. პეტროვიჩი ევროპაში სასწაულებს სჩადიოდა. მან „ციბონას“ და მადრიდის „რეალის“ რიგებში ფენომენალური სეზონები ჩაატარა, რის შემდეგაც, 1989 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. დრაჟენ პეტროვიჩი „პორტლენდ ტრიალბლეიზერსის“ რიგებში ჩაირიცხა, თუმცა იგი მალევე „ნიუ ჯერსი ნეტსში“ გადავიდა და ამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა.

1993 წელს, როდესაც პეტროვიჩი თავისი კარიერის მწვერვალზე იმყოფებოდა, „ნიუ ჯერსი ნეტსი“ პლეიოფის პირველი რაუნდიდან გავარდა. დრაჟენმა პოლონეთში გამგზავრება გადაწყვიტა, სადაც ხორვატიის ნაკრები ევრობასკეტის საკვალიფიკაციო შეხვედრას ატარებდა. თამაშის შემდეგ პეტროვიჩმა გუნდთან ერთად ფრენაზე უარი თქვა და ხორვატიაში მანქანით წასვლა არჩია.

7 ივნისს, 17:20-ზე, გერმანიაში, მიუნხენთან ახლოს, მეცხრე გზატკეცილზე, სწრაფად მიმავალი სატვირთო მანქანა მოძრაობის სანინალმდეგო მხარეს გადავიდა. შედეგად რამდენიმე მძიმე ავარია მოხდა. ერთ-ერთ მანქანაში იჯდა დრაჟენ პეტროვიჩი, რომელსაც შეჯახების დროს ეძინა. ავარიის შედეგად პეტროვიჩი ადგილზე გარდაიცვალა. მანქანას

დრაჟენის მეგობარი გოგონა, მოდელი და კალათბურთელი კლარა შალანტი მართავდა, რომელიც თურქ კალათბურთელ ჰილალ ედებალთან ერთად საავადმყოფოში უმძიმესი ტრავმებით გადაიყვანეს. ტრაგედიის დროს დრაჟენ პეტროვიჩი მხოლოდ 28 წლის იყო.

პეტროვიჩის გარდაცვალება მთელი სპორტული სამყაროსთვის უდიდესი ტრაგედია იყო. ხორვატიაში დრაჟენის სახელობის ქუჩები და სკვერები გაიხსნა. „ციბონას“ სტადიონს სახელი გადაერქვა და დრაჟენ პეტროვიჩის სახელობის არენად იქცა. იმავე წლის 11 ნოემბერს „ნიუ ჯერსი ნეტსმა“ 3-ნომრიანი მაისური, რომლითაც პეტროვიჩი თამაშობდა, დარბაზში სამუდამოდ ჩამოკიდა. 2001 წელს ხორვატმა ჩოგბურთელმა გორან ივანიშევიჩმა უიმბლდონზე გამარჯვება დრაჟენ პეტროვიჩის მიუძღვნა. 2002 წელს პეტროვიჩი კალათბურთის „დიდების დარბაზის“ წევრი გახდა.

საკლუბო კარიერის გარდა, დრაჟენ პეტროვიჩი ჯერ იუგოსლავიის და შემდეგ ხორვატიის მაისურით გახდა ორგზის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, ოლიმპიადის მესამე ადგილოსანი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი. ბევრი სპორტსმენის, ექსპერტისა და გულშემატკივრის აზრით, დრაჟენ პეტროვიჩი ყველა დროის საუკეთესო ევროპელი კალათბურთელია. ==

პრინცი კავაი

ზურა თალაკვაძე

კავაი ლეონარდმა კალათბურთის თამაში მამამისის ავტოსამრეცხაოში დაიწყო. ერთ დილას მეზობელი ინგლისურ ბულდოგს ასეირნებდა და სამრეცხაოში პატარა კავაი კედელზე მიჭედებულ ფარში ბურთის ჩაგდებას ცდილობდა. ბულდოგი პატრონს გაექცა, სამრეცხაოში შევარდა და კავაიზე დაიძრა – ნელ-ნელა უახლოვდება, ბურთს უყურებს და ცქმუტავს, თამაშისთვის ემზადება, მაგრამ მაინც საკმაოდ ბრუტალურად გამოიყურება. 4 წლის კავაიმ ბურთი დაიცვა – საკუთარ ტერიტორიას გაუფრთხილდა.

რალაცეები არ იცვლება.

ლეონარდი შეიცვალა. იმ შემთხვევის შემდეგ. და მამამისის სიკვდილის შემდეგ. კავაი ერთ-ერთი ვარჯიშის მერე საშხაპეში შედიოდა, როდესაც მწვრთნელმა უთხრა: „შვილო, დამირეკეს, მამაშენი აღარ არის და შეგიძლია, რამდენიმე დღე ვარჯიშზე არ მოხვიდე, მიდი, ოჯახს მიხედე და ზემეტი დრო არ დაკარგო, მალე დაგვიბრუნდი“.

კავაის ვარჯიშის შემდეგ დედამ მანქანით გაუარა. ღია მწვანე „ბიუიკით“. ლეონარდების ოჯახში ყველას „ბიუიკი“ ჰყავდა – კავაის მამას, კავაის ბაბუას, იმ ბაბუის მამას... როდესაც მამიკო სამრეცხაოში იყო დაკავებული, „ბიუიკით“ დედა მოძრაობდა. კავაი მანქანაში ჩაჯდა და დედას უთხრა: „ის ფული, ახალი სარეცხი მანქანისთვის რომ გვექონდა გადადებული და ისიც, ჩემი ახალი მანქანისთვის რომ შევაგროვე, ამ დღეებში დაგვჭირდება, მაგრამ არ ინერვიულო, ფულს შევაგროვებ და ყველაფერი კარგად იქნება, – და შემდეგ დაამატა: – მამიკო აღარ არის და დროზე მივიდეთ სახლში, ბევრი რამე გვაქვს გასაკეთებელი“.

კავაის მამა მის ახალ ავტოსამრეცხაოში დაცხრილეს და სალაროდან იმ დღეს გამომუშავებული 385 დოლარი წაიღეს. ეს ამბავი შვიდი წლის წინ მოხდა.

დედიკო კიმი და მამა მარკ ლეონარდი ერთმანეთს მაშინ გაშორდნენ, როდესაც კავაი მხოლოდ ხუთი წლის იყო. ბავშვი დედასთან დარჩა. მარკ ლეონარდმა მოგვიანებით ბინა გაყიდა და საცხოვრებლად ოჯახთან ახლოს, „მორენო ველიში“ გადავიდა. კავაი მამასთან სამრეცხაოში ხშირად მიდიოდა, სადაც მარკს კალათბურთზე და დედიკოზე ელაპარაკებოდა. მარკს ბოლომდე უყვარდა კიმი. და უფრო მაგრად უყვარდა კავაი, რომელსაც ერთი ოთახი კოხტად მოუწყო და ყველაზე ბედნიერად გრძნობდა თავს, როდესაც შვილი ღამეს მასთან ატარებდა.

კავაის ის ორი ისტორია ახსოვს. როგორ მიდიოდა მასზე ბულდოგი და როგორ გაუჭირდა დედიკოსთვის ცუდი ამბის თქმა. როგორ იგრძნო სიცარიელე მეორე დილას, როდესაც ავტოსამრეცხაოში შევიდა და მამიკო აღარ დახვდა. როგორ ისესხა ფული მეზობლისგან და დედას შეპირებული სარეცხი მანქანა უყიდა. როგორ დაამთავრა კოლეჯი და პირველი ხელფასით დედას ახალი „ბიუიკი“ აჩუქა. ლეონარდების ოჯახში ხომ ყველას „ბიუიკი“ უნდა ჰყავდეს. კავაი ტრადიციებს, ოჯახს უფრთხილდება.

და კავაი გაიზარდა.

კავაი ლეონარდი ლებრონ ჯეიმსს დისკომფორტს უქმნის და ლებრონში ლეონარდი ხედავს იმ ბულდოგს, რომელსაც, სინამდვილეში, თამაში უნდოდა, მაგრამ კავაიმ ეს ვერ გაიგო და ბურთს გადაელობა. ლებრონსაც თამაში უნდა, მაგრამ კავაი ამას ვერ ხედავს. ლებრონსაც ბურთი უნდა – ის კი ერთია და კავაი მას ძალიან უფრთხილდება.

შარშან სუპერფინალის პირველ ორ თამაშში ლეონარდმა 18 ქულა დააგროვა. საშუალოდ, 9.0. „სან ანტონიოში“ სტატისტიკას არ ითვლიან და „სპურსის“ მთავარმა მწვრთნელმა, გრეგ პოპოვიჩმა კავაის სტატისტიკა დაუთვალა. „ლებრონი, პრობლემებს გვექმნის და ჩვენ არ გვჭირდება პრობლემები. დაგვეხმარები?“ – პოპოვიჩის კითხვას კავაიმ პასუხი შემდეგ თამაშში გასცა. სერიის დარჩენილ სამ გასაუბრებაში ლეონარდმა მწვრთნელის თხოვნა გაითვალისწინა. გუნდი ლეონარდს ელოდებოდა და კავაიმ პირველივე თამაშში 23 ქულა აკრიფა. ლეონარდმა იცოდა, რომ მას ენდობიან. მან იცოდა, რომ პოპოვიჩის თხოვნა უნდა გაეთვალისწინებინა.

„სან ანტონიომ“ „მაიამის“ პიროტექნიკის ეფექტებით მოუგო. ის გუნდი ბევრი ფერით ხატავდა და „მაიამის“ სთრით-არტი ერთჯერადი, გახუნებული იყო. „სან ანტონიომ“ სერია 4:1 დახურა და კავაი ლეონარდი MVP გახდა.

„სან ანტონიოს“ შეუცვლელი მოთამაშეები ყოველთვის ჰყავდა.

პირველი საჩემპიონო ვოიაჟის (1999) დროს ეს როლი მაროი ელიმ მიიღო. მარიომ შეასრულა.

მეორე გამოფენაზე (2003) ტილო ბრიუს ბოუენს ერგო. დაუნდობელმა მოთამაშემ ტილოზე მშვიდი ესკიზები გადაიტანა.

ამ მნიშვნელოვან, მეორეხარისხოვან როლებს ასევე თამა-





შობდენ რობერტ ორი (2005), ემანუელ ჯინობილი (2007). ეს როლი ერგო კავაი ლეონარდსაც და ბიჭს ეგრევე მთავარ როლზე დაუძახეს.

მაიკლ ჯორდანს ყველაზე ხოშიანად დაცვაში ჯო დუმარსი ეთამაშებოდა. კობი ბრაიანტს – ბრიუს ბოუენი. ლებრონს – კავაი ლეონარდი – ჯულიუს ირვინგის და სკოტი პიპენის ელეგანტური მიქსი.

პირველი, ვისაც ჯეიმსმა ჩემპიონობა მიულოცა, იყო ლეონარდი.

პირველი, ვისაც ტიმიმ ჩემპიონობა მიულოცა, იყო ლეონარდი.

პირველი, ვისაც გასახდელში გრეგ პოპოვიჩმა ჩემპიონობა

მიულოცა, იყო ლეონარდი.

და სუპერფინალის ბოლო, მეხუთე თამაშის დღეს ამერიკაში „მამის დღე“ იყო. მოედანზე გავიდა კავაის დედიკო, კიმ რობერტსონი. ლეონარდმა ზემოთ აიხედა: „მამიკო, ყველაფერი კარგად არის, მშვიდად იყავი...“

კავაი – ეს არის აფრიკელი პრინციის სახელი, რომელიც ლომს ერთი ერთზე შეებრძოლა, შვილი დაიცვა და აფრიკაში კავაიზე ლეგენდა დღემდე ახსოვთ.

ლეონარდიც პრინცია. სახელი მამიკოსგან მიიღო და დღემდე ახსოვს მამამისის სიტყვები: „არ დაგეზაროს მუშაობა, აჩუქე საკუთარ თავს ოცნება და დედას გაუფრთხილდი“.

„სან ანტონიო“ იცვლება. ტიმ დანკანი მალე დაისვენებს და

„სპერსი“ ახალ ლიდერს მიიღებს. დრედები, აგრესია, ლოიალობა, დახვეწილი სადიზმი და ქარიზმა, რომელიც საკოლეჯო დონეზე გრეგის ასისტენტმა, მაიკ ბუდენჰოლცერმა დაინახა და ახალგაზრდა კავაიში „ინდიანას“ შემდგარი მოთამაშე, კარგი მსროლელი, ჯორჯ ჰილი მისცა. ბუდენჰოლცერი ილუზიონისტია. პოპოვიჩის მესაიდუმლე, რომელმაც „ატლანტაც“ „სან ანტონიოს“ რელსებზე გადაიყვანა.

სუპერფინალის მეხუთე თამაშში კავაი ლეონარდმა 14 წუთით მიხედა ლებრონს. ჯეიმსმა იმ პერიოდში 5 ქულა აკრიფა, თამაშიდან 6/1 სროლა გამოიყენა. დანარჩენებთან ჯეიმსი ზაგსი სიგელი იყო. აკეთებდა ყველაფერს, რაც უნდოდა (19 ქულა, 11/6) და ლეონარდი თემას ცვლიდა. ლეონარდმა ლებრონს აგრესია და ჩემპიონობა წაართვა.

ლიგა იცვლება. ლებრონი სხვა დონეზეა. შემდეგ მოდის კევინი. ცოტა მერე ჩამოსხდნენ პარკერი, გრიფინი, პოლი, ჯორჯი, კარი, ჰარდენი, როუზი, გასოლი. დანკანი არ ითვლება. და არ ითვლება ლეონარდიც.

პრინცი, რომელმაც ბურთი დაიცვა. ადამიანი, რომელიც ყველა მონინალმდეგეში იმ ბულდოგს ხედავს და მზად არის, საკუთარი თავი დააგლეჯინოს, მაგრამ არ დათმოს ის, რაც განსაკუთრებულია.

როგორც იმ პრინცმა.

და როდესაც „მამის დღე“ მოდის, ლეონარდი ზემოთ იყურება.

კავაიმ მამიკო არ დააღალატა.

და მამა ბენდიერია. კავაიც. ==





პინდორიან პოტანილი უბრანო უბბები

დანიელ ღუგილა

დღეს ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე სიცარიელეა. ეს ის ადგილია, სადაც ერთ დროს დიდი იმართებოდა, რომელსაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი მაყურებელი ესწრებოდა. ამას დიდი ვნებათაღელვა, ემოცია და ფულის ტრიალი მოჰყვებოდა ხოლმე. ახლა სხვა დროა, სხვა პრიორიტეტები. დღეს აქ მხოლოდ ავტობანით გარშემორტყმული ტრიალი მინდორია. მინდვრის დიდი სივრცე ინდოელ სტუდენტებს აუთვისებიათ – ნამდვილი კრიკეტის თამაში გაჩაღებულა. ინდოელები თბილისში ბევრნი არიან, ისინი ბოლო პერიოდში სამედიცინო უნივერსიტეტში სასწავლებლად მომრავლდნენ. თავიანთი საყვარელი სპორტის სათამაშოდ ადგილი დასჭირვებიათ და ამისთვის ყოფილი იპოდრომის ტერიტორია მოუხნახავთ. კარგი სანახაობაა.

ინდოეთში, სადაც მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, კრიკეტი სპორტის ნომერ პირველი სახეობაა, საქართველოში კი ჯოხებით ბურთაობა უცხო ხილია – ჩვენთან მისი წესების ძალიან ცოტა ადამიანს გაეგება. ერთი პრიონენება, რომელსაც ფსონების დადება უყვარს, ერთხელ საბუქმეიკეროში კრიკეტის შედეგს გადააწყდა – პირველი ტაიმის მერე ანგარიში 212-0 იყო. ამ დროს თურმე იმ გუნდის მოგებას, რომელიც 212 ქულით წინ იმყოფებოდა, კოე-

ფიციენტი 1.6 ჰქონდა. ამ კაცმა იფიქრა, პირველ ტაიმში ასეთი შედეგია, მეორეში რა უნდა მოხდეს, ალბათ ტოტალიზატორის შეცდომა იქნებაო, და მთელი ფული ამ გუნდის მოგებაზე დადო. კრიკეტის მატჩი ორი ინინგისგან, ანუ ორი ტაიმისგან შედგება. პირველ ინინგში ერთი გუნდი ბურთს ტყორცნის, მეორე კი ქულებს აგროვებს. მეორე ინინგში გუნდები იცვლებიან და ყველაფერი პირიქით ხდება. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ მეორე გუნდმა ბოლო ინინგში 234 ქულა მოაგროვა და თამაშიც 212-234 დამთავრდა. ასეა – რაც არ იცო, არ უნდა ითამაშო. ვინ რას მოგაგებინებს.

კრიკეტის წესები არ არის რთული. მიუხედავად იმისა, რომ მატჩი შეიძლება ხუთი დღე გაგრძელდეს, გათამაშებები სწრაფად და დინამიურად მიდის. ყოველი ეპიზოდის წინ ჩნდება განცდა, რომ შესაძლოა მატჩის ბედი სწორედ ახლა გადაწყდეს.

ზოგადი წესები ასეთია: მოედანზე ორი გუნდია. თითოში 11 მოთამაშეა. როგორც უკვე აღვნიშნე, პირველ ინინგში ერთი გუნდი ბურთს აწვდის, მონინალმდეგე კი ქულებს აგროვებს. მეორე ინინგში საპირისპირო ხდება. ქულების მომგროვებელ გუნდს მოედანზე 2 მოთამაშე ჰყავს (2 დამრტყმელი), მომწოდებელ გუნდს კი 11 (2 მსროლელი და 9 დამჭერი).

კრიკეტის მოედანი ოვალური ფორმის არის. სტადიონის ცენტრში მართკუთხა მონაკვეთია, სადაც ბურთის ძირითადი გათამაშება მიმდინარეობს. მართკუთხა მონაკვეთის ორივე ბოლოს დგანან დამრტყმელები, რომლებიც მეტოქის მიერ მოწოდებულ ბურთებს რიგრიგობით იგერიებენ. მსროლელის მთავარი მიზანია, ბურთი დამრტყმელის უკან განთავსებულ სამჯოხიან კონსტრუქციას გაატყვას, რომელზეც ორი ქვა არის მოთავსებული. თუ ერთი ქვა მაინც ჩამოვარდა, ინინგი მთავრდება. დამრტყმელი გუნდის მიზანი განსაზღვრულ დროში (ან სანამ მოწინააღმდეგე გუნდი ქვის ჩამოგდებას შეძლებს) მაქსიმალური რაოდენების ქულების დაგროვებაა. ქულები წარმატებული გატყვევებისთვის იწერება. დამრტყმელმა კარგად უნდა გათვალოს ბურთისა და დამჭერის პოზიცია და ზედმეტი ქულების მოგროვება ტყუილად არ გარისკოს, რადგან თუ იგი შუა გზაზე მოჰყვა, საპირისპირო მხარეს გადარბენა ვერ მოასწრო და და დამჭერი ბურთს დაეუფლა, მას ქვის ჩამოგდების უფლება ეძლევა, რაც ქულების დამგროვებელი გუნდისთვის კატასტროფის ტოლფასია. ინინგის დამთავრების სხვა ვარიანტებიც არსებობს. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაა, როდესაც დამჭერი დამრტყმელის მიერ მოგერიებულ ბურთს ისე ეუფლება, რომ ბურთი მიწას საერთოდ არ ეხება. ამიტომაც დამრტყმელები ძირითადად

არ რისკავენ და ტყორცნას მიწისკენ იგერიებენ. თუმცა, თუ მოთამაშე თავდაჯერებულია, იგი ხანდახან ცდილობს, ბურთი ბეიზბოლის სტილში ჰაერში დაარტყას და მოედნის ფარგლებს გადააცილოს, რაც ყველაზე მეტი ქულით ფასდება. კრიკეტის წესებში კიდევ ბევრი საინტერესო დეტალია, თუმცა ვფიქრობ, დასაწყისისთვის ეს საკმარისია.

როგორც გითხარით, კრიკეტი ინდოეთში სპორტის ნომერ პირველი სახეობაა, თუმცა ის ინდოელებს არ მოუგონიათ. დანამდვილებით კრიკეტის ისტორია სათავეს ადრეული მე-16 საუკუნის ინგლისიდან იღებს. ეს ის პერიოდაა, დიდ ბრიტანეთს ტიუდორების დინასტია რომ მართავდა. პროფესიულ სპორტად კრიკეტი მე-17 საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა. ინგლისში მონარქიის აღდგენის შემდეგ ბურთაობა საკმაოდ პოპულარული გახდა, ფსონებიც გაიზარდა და მალე პროფესიონალი მოთამაშეებიც გაჩნდნენ. იმ პერიოდში ბურთაობა სხვანაირად ხდებოდა და კრიკეტის ჯოხებიც ჰოკეის ჯოხებს უფრო წააგავდა. სპორტის ამ სახეობის გარდაქმნა მე-18 საუკუნეში დაიწყო და მალე ის ინგლისის ნაციონალური სპორტი გახდა. ამაში დიდი წვლილი უელსის პრინცმა, ფრედერიკმა შეიტანა. კრიკეტს თამაშობდნენ ნებისმიერი სოციალური ფენის ადამიანები, მდიდრები კი მატჩებზე დიდ ფსონებს ჩამოდიოდნენ. ეს იყო აზარტული თამაში და იქ იმ დროისთვის ძალზე დიდი ფული ტრიალებდა.

მე-19 საუკუნეში დიდი ბრიტანეთი უზარმაზარი იპერია გახდა და კრიკეტიც ნელ-ნელა მთელ მსოფლიოს მოედო: ინდოეთი, პაკისტანი, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია – ინგლისის კოლონიებში ბურთაობა დიდი ენთუზიაზმით დაიწყო. პირველი საერთაშორისო მატჩებიც აქედან იღებს სათავეს. ეს ის პერიოდაა, ინდოეთს რადიარდ კიპლინგი ასე მისტიკურად რომ აღწერს, იმის უცნაურობებით, ვაჭრებით, ბრაჰმანებით, ოპიუმის მქაჩველი ბიჭებით, სპილოების მომთვინიერებლებით... ეს იყო დიდი იმპერიის და დიდი წინააღმდეგობის ეპოქა. კრიკეტისთვის კი ეს პერიოდი ოქროს ხანად მოიაზრება, რომელშიც თამაშობდა სპორტის ამ სახეობის ერთ-ერთი რეკოლუციონერი, ინგლისელი უილიამ გილბერტ გრეისი. ლეგენდარული სპორტსმენის კარიერა 44 წელი გაგრძელდა და გრეისი ისტორიაში ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ შევიდა. მერე დაიწყო მეოცე საუკუნე თავისი ომებით. თუმცა, პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის კრიკეტი საგრძნობლად განვითარდა. ამ დროს ასპარეზობდა ყველა დროის საუკეთესო მექულე და დამრტყმელი, ავსტრალიელი დონ ბრედმენი. 60-იან წლებში კრიკეტისთვის ახალი ეპოქა დაიწყო, რადგან ფედერაციამ თამაშებისთვის შეზღუდული დრო დააწესა. ამას დაერქვა „ერთდღიანი კრიკეტი“. მატჩების რაოდენობამ საგრძნობლად იმატა და ასეა დღემდე.

დღეს კრიკეტს უკვე საქართველოშიც თამაშობენ. იქნებ, როგორც თავის დროზე ბურთაობის სიყვარულით ბრიტანელებმა ინდოელები მონამლეს, ახლა ინდოელმა ახალგაზრდებმა სამედიცინოს სტუდენტებს შეაყვარონ სპორტის ეს სახეობა და შემდეგ ის საქართველოში ექიმების საყვარელ გასართობადაც კი იქცეს. ან იქნებ აქაც ფულის ტრიალი და ყომარი წავიდეს, როგორც თბილისის დოღების დროს ხდებოდა. ვინ იცის. თუმცა, ქალაქის განვითარება ასეთი მიმართულებით და ტემპებით თუ გაგრძელდა, მალე თბილისში კრიკეტის კი არა, დომინოს სათამაშო ადგილი აღარ დარჩება. **==**



ყაბარის ათას ჩრთი ღაბა

საო ინაბაბილი



ყატარს ახლო აღმოსავლეთში პატარა თავის ექსპანსიონი. თუმცა გაქანება თავისა, მით უმეტეს, პატარისა, არა აქვს. ეს უდაბნო, საცა ადრე ოდენ ყავის მარცვლებს თუ მოსწყვეტდი და საცა ოსმალ ბაჟის ამკრეფნი აქ მოხვედრით თავს ინყველიდნენ, უმდიდრესი ალაგი შეიქნა. ყატარი გაზის მარაგით მესამე ქვეყანაა მსოფლიოში და ემირის ოჯახის ამბიცია დიდი ხანია გასცდა სპარსეთის ყურესა და არაბეთს. მათ უკვე მთელ მსოფლიოში დაიგდეს სახელი და მხოლოდ დოლითა და აქლემთა გაჯიბრებებით აღარ კმაყოფილდებიან. მათ შეიძინეს საფეხბურთო კლუბები საფრანგეთსა

და ესპანეთში. სად აღარ. ჯამაგირები გააორმაგეს. რომ არა უეფას ჩარევა და ხელოვნური ბერკეტები, საუკეთესო მობურთალებს სულ სათავისოდ მოიკრებდნენ. იმათი ფული ყოველგვარ დარაზულობას ხსნის. ტრადიციებსაც ცვლის. „ბარსელონამ“, მთელი თავისი არსებობა მაისურზე ყოველგვარი კომპანიის ლოგოს გარეშე რომ თამაშობს, ზედ ყატარის ავიახაზები დაინერა. ასკოტში, ამ ბრიტანული არისტოკრატის თავშეყრის ადგილას, საცა 303 წელია ჯირითი იმართება და სადაც ყოველგვარი ხსენება რაიმე კომერციული საქმიანობისა გამოირიცხება, ბოლო გაჯიბრე-

ბისას ყატარული ჰოლდინგის სახელი გამოჩნდა. ამბობენ, დედოფლის თანხმობის გარეშე ეს არაფრით გამოვიდოდა.

ყატარი ფულზე უკან არ იხევს. მან 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლებაც მოიპოვა. ამას დღემდე აბამენ კუდებს, თუმცა ეს გადანყვეტილი ამბავია. ამ ბურთაობის მოსაწყობად ყატარის სამეფო ოჯახმა 200 მილიარდი დოლარი გამოყო. ეს არნახული თანხაა. გაუგონარი. თუ ბრაზილიამ ასეთივე ტურნირისათვის 14 მილიარდი დახარჯა, ხოლო რუსები მომდევნო მსოფლიო თასისთვის 20 მილიარდის დაანგარიშებას ფიქრობენ, ყატარული ქის-

იდან ამოყრილი ოქრო თვალს ჭრის და აოცებს. 140 მილიარდი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამართვამი დაიხარჯება. გზების გაყვანა, პორტების გაუმჯობესება, მარტო ახალი აეროპორტის ასაშენებლად 17 მილიარდია დათვლილი. ზღაპრულ რამეებს შესჭიდებიან: გაკეთდება ხელოვნური კუნძული, ვილებით, მალაზია-დუქნებით, აკვაპარკით, პირსზე ჩამომდგარი გემებით. იერი კუნძულს არაბული ანტილოპის თავისა ექნება. არც იმის აგება აჩენს რამე სათუობას, ერთი ასეთი – „ყატარის მარგალიტი“, ადრევე გაუჩენიათ და არაერთ ცნობად ადამიანს აგარაკი და სიმყუდროვე იმის ჩრდილში მოუნახავს. ჩრდილში, რაკი ყატარში ძალიან ცხელია.

ყატარი ფულზე უკან არ იხევს. მან 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლებაც მოიპოვა.

ეს ზაფხულის სიცხე კინალამ გახდა მიზეზი ჩემპიონატის ჩატარების თარიღის გადაწვევისა, 50 გრადუსი არაა იოლი გადასატანი. ამიტომ ბევრს ჰყვებიან მზისა და სიცხის წინააღმდეგ კონდიციონერების სხვადასხვა მოწყობილობებზე. პირველი ხუთი სტადიონის პროექტი ალბერტ შპეერის ფირმის შედგენილია. მამამისი ერთ დროს მესამე რაიხის მთავარი არქიტექტორი იყო, შვილმა კი უკვე მოასწრო ჩინეთისა და მთლიანად არაბეთის გაოცება. ეს კონდიციონერაც ჩახაზულია მის სტადიონებში. ტემპერატურა 27 გრადუსზე ზემოთ არ ავა და, ამას გარდა, სტადიონისკენ მიმავალ მთელ გზაზე, საცა ტრანსპორტი გაჩერდება, ეს სიგრილე შენარჩუნდება. ყატარის უნივერსიტეტის სწავლულებმა ხელოვნური ღრუბლებიც კი გამოიგონეს, თამაშებისას ასე საჭირო ჩრდილს რომ გააჩენს. თითო ღრუბლის ფასი 500 მილიონია. ჰელიუმით სავსე „ღრუბელი“ ოთხი მოტორით იქნება ჰაერში დაკიდებული. ეს აქედან დღეს ძნელი დასანახი და დასაჯერებელია. ამ ყოველივეს კი შესევია ნაირგვარი მუშახელი მთელი აღმოსავლეთიდან, მილიონ ნახევარი მუშაა დასაქმებული ინდოეთიდან, ბანგლადეშიდან, ნეპალიდან, საიდან აღარ. თან ჩამოუტანიათ თავიანთი ავგაროზები, ჯადოები. გაისმის სხვადასხვა ხმა და ენა ერთმანეთში არეული, თითქოსდა ბაბილონის მშენებლობიდან გამორეკილი ხელოსნებისა. ასაშენებელი თორმეტი სტადიონისთვის ოთხი მილიარდი გამოიყო. აქედან 9 ჯერ მხოლოდ პროექტია, თუმცა ისინი ერთმანეთს თვალის მონყვეტაში უკვე გასჯიბრებიან. ზოგი უდაბნოში გაშლილი ბედუინის კარვის იერისაა, ზოგი მონყვეტილი ვარსკვლავისა, ზოგიც უბიდან ამოვარდნილი ბრილიანტისა, თუ ზღვის ნიჟარისა. თითქოს ყატარის ემირს ალაღინის ლამპარი ეგდოს ხელთ და ჩაუთქვამს მას სხვადასხვას, თითქოს მის ნება-სურვილზე ტრიბუნებს ყოველივე და ამოიზრდება კუნძულები, სასახლეები, ღრუბლები, შადრევნები, გამომშრალ მიწაზე კი ბალები იზრდება ერთ ღამეში.

ბურთაობის მოსრულების შემდეგ კი ყოველივე გაქრება. სტადიონების უმეტესობა ნაწილობრივ მოირღვევა, რათა ესე ნაკუნ-ნაკუნ სხვა ქვეყნებში იქნას გადატანილი. ასეა ახლავე ჩაფიქრებული. თითქოს ემირის ქალს ის ლამპარი მოეპაროს და ჯინისთვის ამ ყოველივეს ალება და სულ სხვაგან გადატანა ებრძანებინოს.

1 **ლუსაილი**, "Lusail Iconic Stadium", სადაც გაიმართება ჩემპიონატის გახსნა და ფინალი. ტევადობა 86 000 ადგილი.



2 **დოჰა**, "Khalifa International Stadium". ტევადობა 50 ათასი. რეკონსტრუქციის შემდეგ 68 ათასი გახდება.



3 **დოჰა**, "Sports City Stadium". 48 ათასი.



4 **დოჰა**, "Doha Port Stadium" 45 ათასი, აშენდება ხელოვნურ კუნძულზე. ჩემპიონატის შემდეგ მთლიანად დაიშლება.

5 **დოჰა**, "Education City Stadium". საუნივერსიტეტო დასახლებაში აიგება და ბრილიანტის ფორმა ექნება. 45 ათას ადამიანს დაიტევს. ჩემპიონატის შემდეგ 25 ათასამდე შემცირდება.



6 **დოჰა**, "Al-Gharafa Stadium". დღეს არენა გათვლილია 21 ათას მაყურებელზე, ჩემპიონატისას 45-ათასამდე გაიზრდება და მონანილეთა დროშების ფერებით გამშვენდება.



7 **დოჰა**, "Qatar University Stadium" გაჩნდება დღევანდელი უნივერსიტეტის სტადიონის ადგილას და დაიტევს 44 ათას მაყურებელს. მას შვიდი გეომეტრიული ფიგურა დაამშვენებს, წარსულისა და მომავლის სიმბოლოებად. ჩემპიონატის მერე ოდენობა 23 ათასამდე შემცირდება.



8 **ალ-ჰორი**, "Al-Khor Stadium". დღეს გათვლილია 25 ათასზე, რეკონსტრუქციის შემდეგ დაემატება მეორე იარუსი და ზღვის ნიჟარის იერს მიიღებს, ტევადობა კი 45-მდე გაიზრდება.



9 **ალ-შამალი**, "Al-Shamal Stadium". 45 ათასი იქნება ტევადობა.



10 **ალ-ვაჰრა** იქნება უდაბნოში გაშლილი ბედუინის კარვის იერის. ტევადობა 45 ათასი ექნება. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ 25 ათასამდე შემცირდება.



11 **უმ-სალალი**, "Umm Salal Stadium". ტრადიციული არაბული სიმაგრის იერისა იქნება. 45 ათასზე გათვლილი. შემცირდება 25 ათასამდე.

12 **ალ-რაიანი**, "Al-Rayyan Stadium" დღეს 21 ათას იტევს, გაიზრდება 45 ათასამდე. ფასადი ვეებერთელა მონიტორებით დაიფარება, საიდანაც თამაშების ტრანსლირება მოხდება. ჩემპიონატის შემდეგ ისევ დაპატარავდება.

სისხლიანი რბოლა

ტატო ბასიკაძე

1961 წლის 10 სექტემბერი „ფორმულა 1-ის“ ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ დღედ იქცა. მაშინ 33 წლის ვოლფგანგ ალექსანდერ ალბერტ ედუარდ მაქსი-მილიან რაიხსგრაფ ბერგე ფონ ტრიპსი ან, უბრალოდ, ვოლფგანგ ფონ ტრიპსი, კარიერის ყველაზე მნიშვნელოვანი რბოლისთვის ემზადებოდა. „ფორმულა 1-ის“ გერმანელი პილოტი, რომელიც „ფერარის“ ღირსებას იცავდა, ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში ლიდერობდა და კარიერაში პირველი საჩემპიონო ტიტულის მოსაპოვებლად მას „მონცას“ ავტოდრომზე მესამე ადგილის დაკავებაც ჰყოფნიდა.

„ფორმულა 1-ის“ 1961 წლის სეზონი სულ 8 რბოლისგან შედგებოდა, მაგრამ საჩემპიონო ჩათვლაში პილოტების მიერ მოპოვებული მხოლოდ ხუთი საუკეთესო შედეგის ქულებს ითვალისწინებდნენ. წინა რბოლიდან ფონ ტრიპსი ერთს გამოეთიშა, ორი მოიგო, ორი მეორე ადგილით დაასრულა და ერთში მეოთხე პოზიცია დაიკავა. იტალიაში თუნდაც მესამე ადგილის მოპოვების შემთხვევაში ის თანაგუნდელ ფილ ჰილისთვის, რომელიც ფონ ტრიპსის ერთადერთი კონკურენტი იყო, მიუწვდომელი გახდებოდა.

ზოგადად, „მონცა“ ფონ ტრიპსისთვის იდეალური ავტოდრომი არასდროს ყოფილა. 1956 წლის გრან პრის ეტაპზე გერ-


მანელი პრაქტიკის დროს ავარიაში მოჰყვა, ორი წლის შემდეგ კი ის რბოლას პირველივე წრეზე, კიდევ ერთი ავარიის გამო გამოეთიშა. ორივე შემთხვევაში „ფერარის“ პილოტმა ტრავმები მიიღო, მაგრამ 1961 წლის გრან პრი მისთვის ილბლიანი უნდა ყოფილიყო – ფონ ტრიპსმა საკვალიფიკაციო ტურნირზე შესანიშნავად იასპარეზა და კარიერაში პირველი (და უკანასკნელი) „პოულ-პოზიცია“ მოიპოვა; მისი თანაგუნდელი და კონკურენტი ფილ ჰილი კი მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა.

რბოლის სტარტზე ყველას ფილ ჰილმა აჯობა, რომელმაც წინ მყოფი სამივე მეტოქე ჩამოიტოვა და პირველივე წრეზე ლიდერი გახდა. მეორე წრის ბოლოსკენ ფონ ტრიპსი მეხუთე ადგილზე იყო, მის უკან კი 25 წლის ჯიმი კლარკი მიდიოდა, რომელიც „ფორმულა 1-ში“ მხოლოდ მეორე სეზონს ატარებდა. სწორ გზაზე მოსახვევთან მოახლოებისას ფონ ტრიპსმა უკეთესი პოზიციის მოპოვება სცადა, რა დროსაც მის მარცხენა უკანა საბურავს კლარკის „ლოტუსის“ მარჯვენა წინა საბურავი შეეხო – ეს ყველაფერი კი „ფორმულა 1-ის“ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრაგედიის მიზეზი გახდა.

აი, როგორ იხსენებდა ამ ინციდენტს თავად ჯიმი კლარკი:

„ფონ ტრიპსი და მე მოსახვევს ვუახლოვდებოდით. იქამდე დაახლოებით 100 მეტრი რჩებოდა. ის ტრასის შიდა მხარეს მოძრაობდა, მე მასთან ახლოს ვიყავი და ტრასის გარე მხარეს მივყვებოდი. უცბად ფონ ტრიპსმა საჭე მარცხნივ აიღო, რის გამოც ჩემი წინა საბურავი მის უკანა საბურავს შეეხო. ეს გადამწყვეტი მომენტი აღმოჩნდა. ფონ ტრიპსმა მანქანაზე კონტროლი დაკარგა. ის ჯერ მარჯვენა მხარეს წავიდა, შემდეგ ისევ მარცხნივ გამოემართა, ჩემს მანქანას დაეჯახა და მაყურებელთა რიგებში გადავარდა“.

ფონ ტრიპსის „ფერარი“ ტრასიდან გადავიდა, მცირე ზომის გორაკზე ახტა, დაბზრიალდა და მაყურებლებს შორის შექანდა, რის შემდეგაც ისევ ტრასაზე დაეცა. თავად გერმანელი პილოტი ავტომობილიდან გადმოვარდა და სასიკვდილო ტრავმების მიღების გამო ადგილზე გარდაიცვალა, მისმა „ფერარიმ“ კიდევ 15 ადამიანი იმსხვერპლა. ტრაგედიის მასშტაბის შესახებ მხოლოდ მათ იცოდნენ, ვინც ავარიის სიახლოვეს იმყოფებოდა. ფილ ჰილმა, რომელიც პირველ პოზიციაზე იყო, ბოქსებიდან მიღებული ინფორმაციის შედეგად გაიგო, რომ ფონ ტრიპსი რბოლას გამოეთიშა, მაგრამ არც მისი და არც მაყურებლების სიკვდილის შესახებ მან არაფერი იცოდა.



მიუხედავად ამ საშინელი ტრაგედიისა, რბოლა არ შეჩერებულა. 2 საათისა და 3 წუთის შემდეგ გრან პრი სწორედ ფილ ჰილმა მოიგო, რომელიც სეზონის დასრულებამდე ერთი რბოლით ადრე ჩემპიონი გახდა, ფონ ტრიპსი კი ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა. ჰილმა, რომელიც „ფორმულა 1-ის“ ისტორიაში პირველი ამერიკელი ჩემპიონი იყო (სულ ორნი არიან: ჰილი და მარო ანდრეტი), მომხდარი ტრაგედიის შესახებ რბოლის დასრულების შემდეგ შეიტყო და, რა თქმა უნდა, მას ტიტულის მოპოვება არ უზემია.

საინტერესოა, რომ „ფორმულა 1-ის“ ისტორიაში მეორე ამერიკელ ჩემპიონს, მარო ანდრეტის, 1978 წლის ტრიუმფი ასევე ჩაამწარა მისი მეგობრისა და კონკურენტის, რონი პეტერსონის სიკვდილმა. ეს ინციდენტიც „მონცაზე“ სწორედ 10 სექტემბერს მოხდა, ფონ ტრიპსის დაღუპვიდან ზუსტად 17 წლის თავზე. განსხვავება ის იყო, რომ რბოლის წინ ჩემპიონატში ანდრეტი ლიდერობდა, პეტერსონი კი მეორე ადგილზე იყო. საბოლოოდ, ამერიკელი ჩემპიონი გახდა, მისი შვედი თანაგუნდელი კი (ფონ ტრიპსის მსგავსად) მეორე ადგილზე გავიდა.

ვოლფგანგ ფონ ტრიპსის ამბავი კი მისი სიკვდილით არ დას-

რულებულა – ის თვითმფრინავი, რომლითაც ფონ ტრიპსი აშშ-ში სეზონის ბოლო გრან პრისთვის გადაფრენას აპირებდა, შოტლანდიის ტერიტორიაზე ჩამოვარდა და მასზე მყოფი ყველა მგზავრი დაიღუპა...

მსოფლიოს ჩემპიონმა ფილ ჰილმა „ფორმულა 1-ში“ კიდევ ოთხი სეზონი გაატარა, მაგრამ 1961 წლის „მონცას“ შემდეგ მას ერთი რბოლაც კი არ მოუგია. ჰილი 2008 წლის 28 აგვისტოს, 81 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ჯიმი კლარკი მომდევნო წლებში სპორტის ამ სახეობის ლეგენდად იქცა. იგი ბრიტანული „ლოტუსის“ რიგებში 1963 და 1965 წლებში ჩემპიონი გახდა, 1968 წლის 7 აპრილს კი „ჰოკენჰაიმინგზე“ სარეკლამო გამოსვლის დროს მომხდარი ავარიის შედეგად 32 წლის ასაკში დაიღუპა. იმ დროს ახალი სეზონის მხოლოდ ერთი რბოლა იყო ჩატარებული, რომელიც სწორედ კლარკის გამარჯვებით დასრულდა.

1961 წლის 10 სექტემბერს „მონცას“ ავტოდრომზე მომხდარი ავარია, რომელსაც სულ 16 ადამიანის სიცოცხლე შეენირა, დღემდე ყველაზე მასშტაბურია „ფორმულა 1-ის“ ისტორიაში. ==



საბჭოთა თემატიკის სტრუქტურული თავისუფლება

დიდი თემა, მაგრამ პატარა ნიუანსებშიც საინტერესო. როგორც წყლის წვეთში ოკეანე, ისე ჩანს რამდენიმე კურიოზულ შემთხვევაში მთელი ეპოქა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, იგივე საბჭოთა კავშირი, იგივე სსრკ ოფიციალურად სულ რაღაც 69 წელი არსებობდა, 1922 წლის 30 დეკემბრიდან 1991 წლის 26 დეკემბრამდე, ისტორიული მასშტაბით ძალიან ცოტა ხანს, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსული ცარიზმის ამ სოციალისტურად მოდერნიზებულმა იმპერიამ მისი მოქალაქეების ცნობიერებას ძალიან ღრმა კვალი დააჩნია და დღეს, თხუთმეტ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გაშლილ პოსტსაბჭოთა სივრცეში მისი აჩრდილი კვლავ დაძრწის. ძალიან ბევრი კლიშე, სტერეოტიპი, მყარად ფეხმოკიდებული წარმოდგენები, დამოკიდებულებები და შეფასებები სწორედ იმ პერიოდიდან მოდის.

ერთ-ერთი მთავარი სტერეოტიპი, რომელიც პრაქტიკულად განმსაზღვრელ როლს თამაშობდა ე. წ. ჰომო სოვიეტიკუსის ცნობიერებაში, იყო სამყაროს დაყოფა ჩვენთან დადებით და იმართებად. „ჩვენთან“ იყვნენ ისინი, ვინც იზიარებდა კომუნისტურ იდეოლოგიას და საბჭოეთის დიად ისტორიულ მისიას, ანუ თავად საბჭოთა კავშირი და ე. წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნები (აღმოსავლეთ ევროპა, ვიეტნამი, კუბა და სხვები). იმართებად კი მოიაზრებოდა განვითარებული დემოკრატიული ქვეყნები, ანუ ე. წ. კაპიტალისტური სამყარო, ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერობით.

ამ ორ ბანაკს შორის დაპირისპირება და ბრძოლა, რომელიც ისტორიაში შესულია „ცივი ომის“ სახელწოდებით, ცალკე

თემაა. აქ, უბრალოდ, შემოვიფარგლები იმის აღნიშვნით, რომ ეს სასამისი არც სპორტს ასცდა. ტოტალიტარიზმს იმ-იტომაც ჰქვია ტოტალიტარიზმი (ლათ. Totalis – სრული, მთლიანი), რომ იგი მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. სპორტის იდეოლოგიზაციაც საბჭოური რეალობის ისეთივე განუყოფელი ნაწილი გახლდათ, როგორც, ვთქვათ, მეცნიერების და ხელოვნების იდეოლოგიზაცია.

იყო ასეთი მწერალი, ალექსანდრ კულეშოვი, დიდი რუსი პოეტის, ალექსანდრ ბლოკის შვილი. სპორტული თემატიკის გარდა, დეტექტივის და ფანტასტიკის ჟანრშიც წერდა. მაინცადამაინც დიდი სახელი არა აქვს და შემთხვევით რომ არ ჩამვარდნოდა ხელში ოდესღაც მისი პატარა რომანი სპორტულ დიპლომატზე, ამ მწერლის არსებობა ან მეცოდინებოდა, ან არა. არადა, ძალიან საინტერესო რომანია იმ თვალსაზრისით, რომ საბჭოთა პროპაგანდის დამოკიდებულება სპორტის მიმართ მასში ძალიან კარგადაა გადმოცემული.

კერძოდ, დიდი საბჭოეთისადმი მტრულად განწყობილი ფრანგი ჟურნალისტის კითხვაზე, არის თუ არა რუსებისთვის ოლიმპიადაზე მთავარი ბევრი მედლის აღება, რომანის მთავარი გმირი, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ერთ-ერთ საერთაშორისო სპორტულ ფედერაციაში, ასე პასუხობს: „დაიხ, ჩვენთვის მთავარი მედლებია, რადგან ბევრი მედლი ადასტურებს ჩვენს ქვეყანაში სპორტის განვითარების მაღალ დონეს, შესაბამისად, ადასტურებს მთავრობის ზრუნვას ხალხის ჯანმრთელობაზე, რაც, საბოლოო ჯამში, ადასტურებს ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის უპირატესობას“.

თუმცა, ეს 70-იანი წლებია, როდესაც საბჭოთა კავშირი უკვე მონაწილეობს ოლიმპიადებში, მსოფლიო ჩემპიონატებსა და სხვა საერთაშორისო ტურნირებში. უფრო ადრე, სტალინის მმართველობის დროს კი საბჭოთა სპორტსმენი ათასში ერთხელ თუ გადაგამდა ფეხს საზღვარგარეთ და ისიც კომპეტენტური ორგანოების ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ. და საერთოდ, სპორტული ასპარეზობა ლამის ფრონტის ხაზზე გასვლასთან იყო გაიგივებული.

1936 წელს გამოსულ პოპულარულ საბჭოთა ფილმში „მეკარე“ იყო ასევე პოპულარული სიმღერა საკმაოდ ნიშანდობლივი ტექსტით:

**Эй, вратарь, готовься к бою:
Часовым ты поставлен у ворот.
Ты представь, что за тобой
Полоса пограничная идёт!
Чтобы тело и душа были молоды,
Были молоды, были молоды,
Ты не бойся ни жары и ни холода,
Закаляйся, как сталь!
Физкульт-ура!
Физкульт-ура!
Ура! Ура!
Будь готов,
Когда настанет час бить врагов,
Со всех границ ты их отбивай,
Левый край, правый край, не зевай!**

არა, როგორია, ჰა? მეკარე, როგორც მესაზღვრე გუშაგი, რომელიც სამშობლოს იცავს და რწმენა იმისა, რომ აუცილებლად მოვა მტრებთან ბრძოლის დრო და ამისთვის მუდამ მზად უნდა იყო.

შეიძლება ითქვას, რომ ფიზკულტურა და სპორტი საბჭოთა კავშირში ერთი მხრივ იყო სამხედრო მომზადების შემადგენელი ნაწილი, მეორე მხრივ კი, პოლიტიკური ბრძოლის ფორმა. ამ ბრძოლაში მარცხი საკმაოდ მძიმედ აღიქმებოდა.



მაგალითად, 1952 წელს, ჰელსინკის ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრები დამარცხდა იუგოსლავიასთან. ამ ქვეყნის ხელმძღვანელობასთან კი – სტალინის ხელისუფლებას მაშინ ძალიან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, ამიტომ ეს მარცხი ლამის სამშობლოს ლალატად ჩაითვადა. გუნდის მწვრთნელიც და ფეხბურთელებიც რეპრესიების სერიოზული საფრთხის ქვეშ იდგნენ და



რომ არა დიდი ბელადის შვილის, ვასილი სტალინის პროტექცია, კაცმა არ იცის, ეს ამბავი როგორ დამთავრდებოდა. თუმცა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ნაკრების საბაზო კლუბი, მოსკოვის „ცდკა“ მაინც დაშალეს, ხოლო გუნდის მწვრთნელს, ბორის არკადიევს მოხსნა არ აკმარეს, ყველა საპატიო წოდება ჩამოართვეს და, ფაქტობრივად, მგლის ბილეთით გააგდეს სპორტიდან. მისი რეაბილიტაცია მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ მოხდა.

საინტერესოა, რომ საბჭოთა სისტემა არ ცნობდა პროფესიულ სპორტს. სპორტულ საქმიანობაში ფულის აღება ოფიციალურად ითვლებოდა უღირს და საბჭოთა მოქალაქისთვის შეუფერებელ საქციელად. პოპულარულ სპორტულ გაზეთში „Советский спорт“ 1947 წელს შედგა ცნობილი რუსი პოეტის, ევგენი ევტუშენკოს დებიუტი. კერძოდ, გამოქვეყნდა მისი ლექსი „ორი სპორტი“ (Два спорта), რომელშიც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ კაპიტალისტები ფულის გულისთვის ეჯიბრებიან ერთმანეთს, საბჭოთა ადამიანები კი სულიერი ჯანმრთელობისთვის. მართალია, 60-იანი წლებიდან არაოფიციალურად სპორტსმენებს ფულსაც აძლევდნენ და სხვადასხვა შეთავაზებითაც უზრუნველყოფდნენ, მაგრამ მათ მაინც კატეგორიულად ეკრძალებოდათ რომელიმე საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებისთვის მიღებული ჰონორარის სახლში წაღება. საბჭოთა სპორტსმენს ასევე აკრძალული ჰქონდა კაპიტალისტურ ქვეყანაში სპორტული კარიერა.



ВСЕ МИРОВЫЕ РЕКОРДЫ ДОЛЖНЫ БЫТЬ НАШИ!

თუკი ვინმე მაინც ბედავდა ამ განაწესის დარღვევას, ის ავტომატურად ხდებოდა პოლიტიკური ემიგრანტი. და არა მარტო ემიგრანტი, ეს ადამიანი საბჭოთა რეალობიდან საერთოდ ქრებოდა. მასზე აღარ წერდნენ, აღარ ლაპარაკობდნენ რადიოში, არ უჩვენებდნენ ტელევიზიით და ლამის მისი სახელის ხსენებაც კი იკრძალებოდა. ასე დაემართათ, მაგალითად, ფიგურულ სრიალში ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონებს, ლეგენდარულ ლიუდმილა ბელოუსოვას და ოლეგ პროტოპოპოვს, რომელთა სახსენებელიც ოლიმპიურ ჩემპიონთა შესახებ ყველა საბჭოთა ცნობარიდან ამოიღეს.

1961 წელს ფეხბურთის ასწლიანი იუბილის აღსანიშნავად გაიმართა მატჩი ფეხბურთის სამშობლო ინგლისსა და მსოფლიო ნაკრებს შორის. მსოფლიო ნაკრებში სხვა იმდროინდელ ვარსკვლავებთან ერთად თამაშობდა მადრიდის „რეალის“ უნგრელი ფორვარდი ფერენც პუშკაში, რომელიც 1956 წელს საბჭოთა ჯარების მიერ უნგრეთში შესვლის შემდეგ ესპანეთში გაიქცა. მატჩის მსვლელობა საბჭოთა კავშირში რადიორეპორტაჟით გადაიცემოდა და კომენტატორმა იმ-

დენი მოახერხა, რომ მთელი მატჩის მსვლელობისას არც ერთხელ არ ახსენა პუშკაშის გვარი და მას მოიხსენიებდა, მხოლოდ როგორც მე-16 ნომერს. „აი, ბურთი აქვს მეთექვსმეტე ნომერს, გადაანოდა პულეს“ და ა. შ. ცოტა მოგვიანებით პატარა ტელე და კინო სიუჟეტიც გაკეთდა ამ მატჩზე, მაგრამ ამ სიუჟეტებში სოციალისტური უნგრეთის მოლაღატე პუშკაშის აჩრდილიც კი არსად ჩანდა.

მსოფლიო სპორტული სამყაროს კარი საბჭოთა სპორტსმენებისა და მწვრთნელებისთვის მხოლოდ 80-იანი წლების მეორე ნახევარში, გორბაჩოვისეული „პერესტროიკის“ დროს გაიღო და მას მერე ბევრი რამ კარდინალურად შეიცვალა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სპორტი და პოლიტიკა ამ კარის გაღების მერეც არ დასცილებიან ერთმანეთს მაინცდამაინც შორი მანძილით, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ტიპის ურთიერთდამოკიდებულებაა. ის დრო კი, ფეხბურთელის გვარის ხსენება რომ არ შეიძლებოდა, წარსულს ჩაბარდა და ალბათ ზღაპრად თუ მიუვათ ჩვენს შვილიშვილებს.

და ეს კარგია. ==



ECK GEORGIA ეკგ საქართველო


FULL MEDICAL SERVICES IN TURKEY
 ნაბისმიერი სამედიცინო მომსახურება თურქეთში

51/2 K. Tsamebuli Ave.
 Tbilisi, Georgia
 Tel.: 0 790 506 706
 Mob.: 579 997 055

ქ.ნამეაბულის გამზ. 51/2
 თბილისი, საქართველო
 ტელ.: 0 790 506 706
 მობ.: 579 997 055

“ბარბი” და “ოქროს ბიჭუნა”

ლევან სალუქვაძე



სილვია ფრანსუა მეისი

დაბადების თარიღი: 13 აპრილი, 1978 (36 წლის)

დაბადების ადგილი: ბრედა, ჰოლანდია

სიმაღლე: 158 სმ

პროფესია: მოდელი, ტელენამყვანი



რაფაელ ფერდინანდ ვან დერ ვაარტი

დაბადების თარიღი: 11 თებერვალი, 1983 (32 წლის)

დაბადების ადგილი: ჰემსკერკი, ჰოლანდია

სიმაღლე: 176 სმ

პროფესია: ფეხბურთელი (შემტევი ნახევარმცველი)


გუნდები: „აიაქსი“, „ჰამბურგი“, „რეალი“, „ტოტენჰემი“

წარმატებული სპორტსმენები თავიანთი ცემელთა გულელებს არა მხოლოდ მათი პროფესიული მიღწევებით იპყრობენ; საზოგადოების ყურადღების ცენტრში ისინი ხშირად თავიანთი სასიყვარულო თავგადასავლებითა და საინტერესო მეორე ნახევრების გამოც ექცევიან. რუბრიკაში „ტანდემი“ სწორედ ასეთ წყვილებზე მოგიტყობთ. ჩვენი პირველი ისტორია ჰოლანდიელი ფეხბურთელის, რაფაელ ვან დერ ვაარტის შესახებ იქნება. ეს ამბავი, ისევე როგორც ბევრი სხვა სასიყვარულო თავგადასავალი, ახალგაზრდულ რომანტიკულობას, ლამაზ ურთიერთობებს, გმირობის ტოლფას მხარდაჭერასა და სკანდალის ელემენტებით გაჯერებულ სევდიან დასასრულს შეიცავს.

სპეციალისტების უმრავლესობამ რაფაელ ვან დერ ვაარტი ადრეულ ასაკში შენიშნა. „აიაქსის“ სკოლის აღზრდილმა ჰოლანდიურ გრანდში 16 წლის ასაკში ითამაშა და სულ მალე გუნდის ლიდერად იქცა. 18 წლის რაფა უკვე ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს და ორ წელიწადში ევროპის საუკეთესო ტალანტად აღიარეს. თავბრუდამხვევმა სტარტმა ბიჭი სუსტი სქესის წარმომადგენლებშიც მეტად პოპულარული გახადა. შეუმჩნეველი ის არც 25 წლის მოდელსა და ტელენამყვანს, ჰოლანდიის ყველაზე სექსუალურ ქალად

აღიარებულ სილვია მეისს დარჩენია, რომელიც ასევე პოპულარ მუსიკალურ და სარეკლამო რგოლებში მონაწილეობით იწინებდა თავს. ცნობილია, რომ ლამაზ ქალეებს „ოქროს ბიჭუნები“ იზიდავენ, ფეხბურთელები და მოდელეები რომ ერთმანეთს შესანიშნავად უგებენ, ამის დამადასტურებელი არაერთი ამბავიც გვსმენია, და რა გასაკვირია, რომ რაფაელისა და სილვიას ურთიერთობა, მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, სწრაფადვე სიყვარულში გადაიზარდა. წყვილმა უმაღ მიიქცია საზოგადოების ყურადღება და 2005 წელს მათი საქორწინო ცერემონია ტიტების ქვეყნის ტელევიზიამ პირდაპირ ეთერშიც კი გადასცა. სილვიასა და რაფაელს ევროპულმა გამოცემებმა „ჰოლანდიელი ბექჰემები“ უწოდეს.

მალე ახალგაზრდა ფეხბურთელმა, ისევე როგორც მისმა ბევრმა თანამემამულემ, „აიაქსის“ პერიოდი ტრამპლინად გამოიყენა. რაფაელ ვან დერ ვაარტი „ჰამბურგში“ გადაბარგდა, რომელშიც ის აღიარებულ ლიდერად ჩამოყალიბდა. ამასობაში სილვიას ბიჭი შეეძინა, რომელსაც წყვილმა დამიან-რაფაელი დაარქვა. ევროპული დიდი გუნდების მესვეურებს გერმანიის სტადიონებზე ჩატარებული ბრწყინვალე მატჩები შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და ორ წელიწადში ვან დერ ვაარტი მადრიდის „რეალმა“ შეიძინა. მასაც



მეტი რაღა უნდა ენატრა – 25 წლის ასაკში „გალაქტიკოდ“ წოდებულ სამეფო კლუბში თამაშობდა, მატერიალურად საკმაოზე მეტად შეძლებული გახლდათ, ულამაზესი ცოლი და შესანიშნავი შვილი ჰყავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ვან დერ ვაარტმა „რეალის“ სადებიუტო მატჩში გოლი გაიტანა, მისი კარიერა მადრიდულ გუნდში არ აენყო. ამაში მხოლოდ რაფას დადანიშნულება არასწორია, ვინაიდან მის ესპანურ კარიერას არასპორტულმა ფაქტორებმა შეუშალა ხელი. „გალაქტიკოში“ გადასვლიდან მალევე სილვიას მკერდის სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს და გადარჩენის მცირე შანსები დაუდგინეს. საბედნიეროდ, იმხანად უკვე „ბარბის“ პროტოტიპად აღიარებულმა ქალბატონმა უდიდესი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და ექიმების დახმარებით საშინელი დაავადება დაამარცხა. მკურნალობა დიდხანს გაგრძელდა და ამ ხნის მანძილზე მას მეუღლე გვერდიდან არ მოსცილებია. უამრავი უძილო ღამითა და სტრესებით დატანჯულ ფეხბურთელს, რა გასაკვირია, რომ მოედანზე





იმდენის გაკეთება აღარ შეეძლო, რამდენსაც მისგან გულ-შემატკივრები ელოდნენ. შედეგად რეალში ახლად მისულმა მანუელ პელეგრინიმ ჰოლანდიური ლეგიონის დაშლის პერიოდში ვან დერ ვაარტიც არასასურველ მოთამაშეთა სიაში შეიყვანა.

რაფაელს „რეალის“ წარუმატებელი პერიოდის შემდეგაც არ აკლდა სარფიანი წინადადებები და ჰოლანდიელი მალე „ტოტენჰემში“ გადავიდა. მადრიდიდან ლონდონში გადასვლა, სპორტული თვალსაზრისით, წინ გადადგმული ნაბიჯი ნამდვილად არ იყო, მაგრამ ფეხბურთელს ეს არ ადარდებდა; მისი ბედნიერების განმსაზღვრელი სილვია ჯანმრთელი იყო და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლით გულდამშვენებული რაფაც ნელ-ნელა ფორმას აღიდგენდა, თუმცა ნისლიან ალბიონზე გადასვლის შემდეგ წყვილის ურთიერთობაში თანდათანობით ბზარი გაჩნდა. ვან დერ ვაარტი მეუღლეს ბავშვის აღზრდაში ნაკლებად მონაწილეობის გამო ხშირად საყვედურობდა, სილვია კი ინტენსიურად განაგრძობდა თავის სატელევიზიო თუ სამოდელო კარიერას. მიუხედავად იმისა, რომ მათი სასიყვარულო ისტორია ლალატის ფაქტით არასდროს დამძიმებულა, ცოლქმარს შორის კონფლიქტებმა იმატა. შედეგად ვერც რაფას ინგლისურმა პერიოდმა გაამართლა და ვან დერ ვაარტმა ისევ იქ დაბრუნება არჩია, საიდანაც დაიწყო. „ოქროს ბიჭუნა“ „ჰამბურგში“ ბრწყინვალედ მიიღეს და უკვე კრიზისში მყოფი კლუბის მთავარ იმედად შერაცხეს.

სამწუხაროდ, ვან დერ ვაარტის საუკეთესო წლები უკვე ჩავლილი იყო და მისი „ჰამბურგში“ დაბრუნება ისეთი შთამბეჭდავი ვეღარ გამოდგა, როგორც იქ მისი პირველად გამოჩენა. რაფამ ვერც კრიზისიდან გამოიყვანა კლუბი და ვერც ოჯახური იდილია აღადგინა. უფრო მეტიც – საშინელ სკანდალში გაეხვია. მოწმენდილ ცაზე მების გავარდნას ჰგავდა ევროპული წამყვანი მოყვითალო გამოცემების ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ახალი წლის აღსანიშნავ საღამოზე რაფაელმა უამრავი სტუმრის თვალწინ სილვიას ხელი გაარტყა. ისედაც შერყეული ურთიერთობა ამ

დარტყმას ვერ გაუძლებდა. ეს ნათელი იყო და მიუხედავად სილვიას კომენტარისა, რომელიც მან ერთ კვირაში გააკეთა (თითქოს მათ ერთმანეთს ბოდიში მოუხადეს და ინციდენტი დაივიწყეს), წყვილი ერთმანეთს მალე დაშორდა.

„ნამდვილი იდიოტი ვარ, ყველაფერი ჩემი ბრალია. ეს სისულელე არ უნდა ჩამედინა, ახლა ყველაფრის ღირსი ვარ და ვიმსახურებ, რომ დავისაჯო“, – ეს რაფაელ ვან დერ ვაარტის სიტყვებია. მართალი გითხრათ, არ ვიცი, ვან დერ ვაარტი „ყველაფრის ღირსში“ სილვიას საუკეთესო დაქალს გულისხმობდა თუ არა, მაგრამ რაფამ თავი მეტისმეტად „მკაცრად დაისაჯა“ და რამდენიმე თვეში სასიყვარულო ურთიერთობა ექსმეულლის უახლოეს მეგობარ საბინ ბულარუზთან გააბა, რომელიც ამავე დროს ვან დერ ვაარტის ყოფილი თანაგუნდელის, ჰალიდ ბულარუზის მეუღლე იყო და მისგან ორი ქალიშვილიც ჰყავდა. ჰამბურგის ლამის კლუბის ყოფილი მოცეკვავე საბინი მეუღლესთან უკვე აღარ ცხოვრობდა, მაგრამ ოფიციალურად განქორწინებული ჯერ არ ბრძანდებოდა.

თავდაპირველად სილვიამ ეს ინფორმაცია ძალიან მტკივნეულად მიიღო. მან პრესაში ისიც კი განაცხადა, რომ წყვილი მასზე ფსიქოლოგიურ ტერორს ახორციელებს და მაინცდამაინც მისი ფანჯრების წინ კოცნაობს. დროთა განმავლობაში მოდელი დამშვიდდა. ან დროა ყველაფრის მკურნალი, ან 5-მილიონიანი კომპენსაცია, რომელიც მან განქორწინების სანაცვლოდ მიიღო, ანაც გიომ ზარკისთან ახალი რომანი. ცნობილ ფრანგ მილიონერთან ერთად სილვია მეისი სენტ ტროპეს მიდამოებში რამდენჯერმე დააფიქსირეს. ფაქტია, რომ „ბარბიმ“ კარგი ურთიერთობა როგორც თავის ექსმეულლესთან, ასევე თავის საუკეთესო მეგობართანაც შეინარჩუნა. ის კი არა, გულის ამაჩუყებელი გაცხადებაც გააკეთა: „ქიმიოთერაპიის შემდეგ მე ის სილვია აღარ ვიყავი, რაფას რომ უყვარდა, მას მეორე შეილი უნდოდა, რომელსაც მე, სამწუხაროდ, ვეღარ გაეუჩენდი, ამიტომ მას არაფერში ვადანაშაულებ და საბინთან ერთად ბედნიერებას ვუსურვებ“. ==



საქართველოში პირველი

სნუქარის რეპრონატი რაფაელ



გოზა ქავთარაძე

19-20 მარტს ქ. თბილისში ჭადრაკის სასახლეში (საბილიარდო კლუბი „ვერა“) გაიმართა საქართველოს პირველი ჩემპიონატი სნუკერში.

ტურნირი ორგანიზებული და დაფინანსებული იყო საქართველოს სნუკერის ასოციაციის მიერ.

ფინალური მატჩი გაიმართა კვირას, 8 საათზე, რომელზეც ერთმანეთს დაუპისპირდნენ გოზა ქავთარაძე და ტაპირ ფაიაზ აჰმედი. სადაც ამ უკანსკენლმა დაძაბულ ორთაბრძოლაში 4-3 სძლია მოწინააღმდეგეს.

ასოციაციის მიზანია პოპულარიზაცია გაუწიოს სპორტის ამ სახეობას საქართველოში.




ტაპირ ფაიაზ აჰმედი

რენი ქარი ღიაა ყველასთვის, ვინც თვალყურს აღევნებს და უყვარს სპორტის ეს სახეობა.

RAGING BULL

ბიორბი ზურაბიშვილი



რეჟისორი: **მარტინ სკორსეზა**

სცენარის ავტორები: **კოლ ურალარი, მარტინ მარტინი**

პროდიუსერები: **რობერტ ჩარტოფი, ირვინ ვინკლერი**

ოპერატორი: **მაიკლ ჩაპენი**

როლებში: **რობერტ დე ნირო, კეიტი მორიარტი, ჯო კეში, ფრანკ ვინსენტი, ნიკოლას კოლასანტო, ტარაზა სალდანი**

ბიუჯეტი: **18 მილიონი აშშ დოლარი**

შემოსავალი: **23 მილიონი აშშ დოლარი**

როდესაც „ციფიანი ხარი“ პირველად ვნახე, ფილმმა ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ქართულ რეალობასთან პარალელები იმდენად მკაფიო იყო, რომ უამრავი არშემდგარი ჩემპიონის ცხოვრება თვალწინ დამიდგა; ჩვენც ხომ ხშირად გვინახავს გაფლანგული ნიჭი და ყველაფრის დამანგრეველი ეგოს ცეკვა. უფრო კი გამახსენდა ნიკო ლორთქიფანიძის შესანიშნავი მინიატურა ქართველ მოკრივეზე, რომელიც რინგზე გადის, სადაც მაგრად გაილახება და ბრძოლის მერე ამბობს: „აბა, მეტოქეს გუშინ იმდენი დაელია, რამდენიც მე დაველიე და ვინ ვის მოერეოდა, ვნახავდით!“ ასეთი მაგალითები ცხოვრებაში ბევრია და მარტინ სკორსეზეც უდიდესი ოსტატობით გვიჩვენებს გენიოსის ტრაგედიას, რომელიც თავისი გარემოცვის, გარემოებებისა და ეპოქის მსხვერპლი შეიქნა.

ფილმს საფუძვლად უდევს ჯეკ ლამოტას, ყოფილი მოკრივის მემუარები, რომელიც რობერტ დე ნიროს ჩაუვარდა

ხელში და ისიც ისტორიით იმდენად დაინტერესდა, რომ ამ პერსონაჟის შესახებ ფილმის გადაღების იდეა გაუჩნდა. მოკრივეს, რა თქმა უნდა, თავად დე ნირო განასახიერებდა, რეჟისორის სავარძელზე კი მარტინ სკორსეზე დაჯდა, რომელსაც დე ნიროსთან მუშაობის კარგი გამოცდილება ჰქონდა (1976 წლის საკულტო ფილმი „ტაქსის მძღოლი“). რეჟისორისა და მსახიობის დუეტი პოლ შრადერს დაუკავშირდა, რომელმაც ჯეკ ლამოტას მემუარების მიხედვით ფილმის სცენარი დაწერა და ასე შეიქმნა ისტორია.

გადაღების პროცესი ძალიან რთულად მიმდინარეობდა. იმ პერიოდში სკორსეზეს ნარკოტიკებთან სერიოზული პრობლემები ჰქონდა. რეჟისორი კოკაინზე იყო დამოკიდებული, რაც „პროდაქშენის“ პროცესს ძალიან აფერხებდა. რაღაც მომენტში ფილმის გადაღების გაგრძელება შეუძლებელიც კი გახდა. მიუხედავად ამისა, რობერტ დე ნიროს სურათის დასრულება იმდენად უნდოდა, რომ მან საბოლოოდ რე-



ფისორიც თავის ნოტაზე გადაიყვანა. გადაღების პროცესში დე ნირომ არნახული მოთმინება და პროფესიონალიზმი გამოავლინა. ჯეიკ ლამოტას როლის სათამაშოდ მსახიობმა 27 კილოგრამი მოიმატა, რაც მამინ რეკორდი იყო – დროის მოკლე მონაკვეთში ასეთი გარდაქმნა იქამდე არავის მოუხერხებია. საბოლოოდ, რობერტ დე ნირომ თავის კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო პერსონაჟი შექმნა, რომლის განსახიერებაშიც მას აბსოლუტურად დამსახურებული ოსკარი არგუნეს. გარდა ამისა, დე ნირომ აღმოაჩინა ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული მსახიობი – ჯო პეში, რომელიც რობერტმა მეორეხარისხოვანი ფილმების კასტინგზე ნახა. სკორსეზე თავიდან პეშის უნდობლობით უყურებდა, თუმცა დე ნირო ფიურტად მოითხოვდა, რომ ჯეიკ ლამოტას ძმის და მენეჯერის როლი სწორედ პეშის უნდა ეთამაშა და საბოლოოდ რეჟისორიც დათანხმდა. ჯო პეშიმ ჯოუი ლამოტა ბრწყინვალედ განასახიერა, მოკრივის მზრუნველი ძმა, რომელიც ჩემპიონს თავისი შინაგანი დემონების დამარცხებაში ეხმარება. დე ნიროს და პეშის დიალოგები ფილმის მშვენიერებაა და მათი ტანდემი, უბრალოდ, შეუდარებელია. ამ სურათის შემდეგ ჯო პეში სკორსეზეს ერთ-ერთი საყვარელი მსახიობი გახდა და ლეგენდარული რეჟისორის ფილმებში არაერთი კოლორიტულ როლი ითამაშა.

„ცოფიანი ხარი“ მარტინ სკორსეზემ შავ-თეთრად გადაიღო, რითაც რეჟისორმა ეპოქის სული კარგად დაიჭირა და ფილმს ოდნავ დეპრესიული მუხტი მისცა. მოქმედება 1940-იანი წლების ნიუ-იორკში ვითარდება. ეს ის პერიოდი, როდესაც დემოკრატია ამერიკაში ჯერ კიდევ ფეხს იკიდებს და რეალურად სიტუაციას განგსტერები მართავენ. მშრალი კანონი ახალი გაუქმებულია და კრიმინალური ბანდები თავიანთი ძალაუფლების პიკში იმყოფებიან. ეს ლაკი ლუჩინოს, მეიორ ლანსკის, ალ კაპონეს, „ჰოლანდიელი“ შულცისა და სხვა კრიმინალების ზეობის ხანაა – თავზეხელაღებული ცხოვრების და თავზეხელაღებული ჯაზის ეპოქა. მშრალი კანონის დროს განგსტერებისთვის მთავარი შემოსავლის წყარო ბუტლეგერობა და სასმლით ვაჭრობა იყო, თუმცა, როდესაც ალკოჰოლი ისევ ლეგალური გახდა, კრიმინალური ბანდები იძულებულნი გახდნენ გაფართოებულიყვნენ.


შედეგად ისინი ძირითადად ნარკოტიკებით ვაჭრობით, სა-როსკიპოებითა და აზარტული თამაშების ბიზნესით დაკავდნენ; აზარტული თამაშები და კრივი კი ერთმანეთთან ძალიან ახლოს არიან – სპორტის ეს სახეობა ოდითგანვე იყო ფულის ტრიალის დიდი არენა, ფსონებიც ბევრი იდებოდა და, შესაბამისად, განგსტერების ჩარევაც გარდაუვალი იყო. ეს პერიოდი კრივის ისტორიაში ოქროს ხანად მოიაზრება. მამინ იყო როკი მარჩიანოს და სხვა ლეგენდარული მოკრივეების ასპარეზი, თუმცა იმ ეპოქაში მოკრივისთვის გავლენიანი კავშირების გარეშე მაღალ დონეზე გასვლა პრაქტიკულად წარმოუდგენელი იყო. ხშირი იყო მუქარები, მოსყიდვები, დაშინებები და „გაკეთებული“ თამაშები. სწორედ ასეთ პერიოდში უწევს ასპარეზობა ჯეიკ ლამოტ-

ჯეიკ ლამოტას როლის სათამაშოდ მსახიობმა 27 კილოგრამი მოიმატა, რას მაშინ რეკორდი იყო – დროის მოკლე მონაკვეთში ასეთი გარდაქმნა იქამდე არავის მოუხერხებია.

ას, უძლიერეს მოკრივეს, რომელიც საშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონიც ხდება, მაგრამ მისი კარიერა ნელ-ნელა დაღმასვლას იწყებს. ამის მიზეზი მოკრივის მძიმე ხასიათი და უზარმაზარი ეგოა, რომელიც ლამოტას ეტაპობრივად ანგრევს. ჯეიკი თავის ამპარტავნებას ვერ ერევა, ზენოლას ველარ უძლებს და საბოლოოდ ძალიან ეჭვიანი ხდება. იგი თავის ცოლს ეჭვიანობის ნიადაგზე საშინლად ეპყრობა და დაგროვილ აგრესიას რინგის მაგივრად პირად ცხოვრებაში გამოხატავს. თავისი ძმის და მენეჯერის, ჯოუი ლამოტას, ძალისხმევის მოუხედავად, ნელ-ნელა მოკრივეს ყველა ეს ფაქტორი ანგრევს და საბოლოოდ მისგან აღარაფერი რჩება.

„ცოფიანი ხარი“ არ არის მსუბუქი ფილმი. ის ისეთივე მძიმე და შოკისმომგვრელია, როგორც ჯეიკ ლამოტას მოქნეული ჰუკი. მარტინ სკორსეზე ძალიან პირდაპირ და რეალისტურად აღწერს პიროვნების ტრაგედიას, რომელსაც რობერტ დე ნირო ლამის იდეალურად გვიჩვენებს. ფილმის უკანასკნელი მომენტი, როდესაც უკვე შედარებით ასაკში შესული და შოუმენად გადაქცეული ჯეიკ ლამოტა მორიგი წარმოდგენის წინ თავისი კლუბის გასახდელში სარკესთან დგას და საკუთარ თავს ელაპარაკება, ჩემი აზრით, კინომატოგრაფის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი სცენაა. ეს არის ადამიანი, რომელიც წარუმატებლობას მინც ძმას აბრალებს, მაგრამ რეალურად თავისი ცხოვრების ტრაგედიას კარგად ხვდება: „მე შემეძლო ვყოფილიყავი ნამდვილი ჩემპიონი!“

რამდენ ჩვენგანს ჩაუხედავს სარკეში და წარუმატებლობა სხვისთვის დაუბრალებია? რამდენი გახდა გარემოცვის და გარემოებების მსხვერპლი? რამდენი ჩვენგანი არის არშემდგარი ჩემპიონი? რამდენ ჩვენგანშია პატარა ჯეიკ ლამოტა, ცოფიანი ხარი, რომელიც ქარიშხალივით დაქრის, ყველაფერს ანადგურებს, მაგრამ როდესაც გრივადი წყნარდება, მხოლოდ გალატაკებული სული და არშემდგარი ცხოვრება რჩება? რამდენ ჩვენგანშია ამოების ის განცდა, როდესაც კოსტიუმი უნდა გაისწორო და არარაობა სამსახურში წახვიდე, როდესაც შენი ადგილი სხვაგან არის, როდესაც შენ ნამდვილი ჩემპიონი უნდა ყოფილიყავი? ბევრში, ალბათ ძალიან ბევრში.





იოჰან კრუიფის

“ფეხბურთის ფილოსოფია”

თარგმანი: ლავით კოვზირიძე

თავი III

თანამედროვე ქალაქების არქიტექტურა ისეა მოწყობილი, რომ ბავშვებს სულ უფრო უჭირთ ქუჩაში გასვლა და ფეხბურთის თამაში. ეს განსაკუთრებით მეგაპოლისებშია შესამჩნევი, სადაც მანქანების დინება წამითაც არ ჩერდება და ცარიელი ქუჩის პოვნა გამორიცხულია. თუმცა, შედეგის მისაღწევად სხვა ხერხებიც არსებობს.

მაგალითად, შესაძლებელია მუნიციპალიტეტის დახმარებით სასკოლო ტურნირების, უბნებს შორის შეჯიბრებების ჩატარება. თუ მოინდომებ, ამის გაკეთებაზე ადვილი არაფერია. რაც შემეხება მე, ვცდილობ, გავმართო ტურნირები ეზოებში, ექვსი-ექვსზე. ეს არის ფეხბურთის ოდინდელი სულის, ხიბლის ალორძინების მცდელობა. თუ ეზოს ფეხბურთზე ისე ვილაპარაკებთ, როგორც მას მე ვხედავ, მაშინ თითოეული გუნდი აუცილებლად ექვსი მოთამაშისგან უნდა შედგებოდეს. ეს ციფრი თავში შემთხვევით არ მომსვლია. ჩემი დაკვირვებების თანახმად, როცა მოედანზე ამდენი ფეხბურთელია, ბურთი წამითაც არ ჩერდება და მეტოქის დაცვის გარღვევაც მარტივდება.

ექვსი იდეალური რაოდენობაა – ამ დროს ყოველი მოთამაშე მაქსიმალურად კონცენტრირებული გახლავთ, თითოეული ადეკვატურად რეაგირებს მატჩის მსვლელობისას მომხდარ ცვლილებებზე, უფრო ადვილად, სწრაფად იღებს თანაგუნდელთა დახმარებას. ტემპი დიდია და ყველაფერი უსწრაფესად უნდა გააკეთო – გაიხსნა, პასი მიანოდო, იმოძრაო და რაც მთავარია, იაზროვნო!

მოედნის ზომა სტანდარტულის ნახევარს უნდა შეესაბამებოდეს. წესები მარტივია – მეკარემ ბურთი ცენტრის იქით არ უნდა მოიგერიოს, თუმცა შეუძლია თავად წავიდეს წინ, თამაშში ჩაერთოს და გოლიც კი გაიტანოს. ეს თამაშს აუ-

თავი IV

ყველაზე მეტად მწვრთნელის სამუშაოში მომწონს ის, რომ შენ მაქსიმუმს უნდა მიიღო გუნდისგან, რომელიც ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანებისგან შედგება. ერთი ტექნიკით გამოირჩევა, მეორე ბრწყინვალედ თამაშობს თავით, მესამეს ძლიერი, დაყენებული დარტყმა აქვს, მეოთხე ფრთაზეა შეუცვლელი... მაგრამ ეს ხალხი როგორ უნდა გააერთიანო და ერთ მთლიანობად როგორ უნდა აქციო?

დღესდღეობით ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ მთელი მსოფლიო ფეხბურთელების დაზარალებას ცდილობს, თანაც ავტომატურად. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი ცალკეული მოთამაშე არის ინდივიდუმი, ვისაც ფეხბურთი თავისებურად ესმის. ვიღაც მოედანზე აკეთებს იმას, რაც სხვას გულზე არ ეხატება. თუ თითოეულისგან უნივერსალის ჩამოყალიბებას შევეცდებით, ეს აუცილებლად დაეტყობა გუნდის დონეს, კლასს, შეამცირებს სტილების მრავალფეროვნებას და როგორც წესი, სანახაობას გააფუჭებს.

დღეს ძალიან ცოტა ექსტრაკლასის ფეხბურთელია. ჩემი აზრით, პრობლემა ტექნიკური მომზადების დაბალ ხარისხში

ბრალეებს და მეკარეს ფეხით თამაშის დახვეწას, ტვინის განძრევას, შეტევის ორგანიზებაში რალაც დოზით ჩართვას აიძულებს.

ამრიგად, ჩვენ ვარღვევთ ტენდენციას, რომლის თანახმადაც გოლკიპერი ორ ძელს შუა უნდა იყოს დარტყობილი და ბურთებს იგერიებდეს. კიდევ კარგი, თანდათან მაყურებლები და თავად ფეხბურთელებიც ხვდებიან, რომ ასე უმჯობესია.

წესი მეორე: სასჯელად მხოლოდ თავისუფალი დარტყმა უნდა გამოვიყენოთ. მე ძალიან ვარ დაინტერესებული, რომ ჯარიმა თამაშის შემადგენელ ნაწილად იქცეს და არა გოლის გატანის მარტივ საშუალებად, რომელსაც მხოლოდ ისინი იყენებენ, ვინც ყუმბარისებურ დარტყმას ფლობენ.

ჯარიმის შესრულებისას ფეხბურთელმა უნდა იფიქროს, მიიღოს მაქსიმალურად ორიგინალური გადაწყვეტილება და საინტერესოდ განაგრძოს შეტევა (სულ მახსენდება “ბარსელონაში” მუშაობის პერიოდი, როცა რონალდ კუმანი და ხრისტო სტოიჩკოვი ვარჯიშის შემდეგ რჩებოდნენ და ჯარიმებს მარტო კარში კი არ ურტყამდნენ – ეს მათთვის ზედმეტად მარტივი იყო – ცდილობდნენ, ძელისთვის, ხარისხისთვის მოერტყათ. მაშინ ფსონებსაც ვდებდით: ხუთი ათასი პესეტა ყოველი ზუსტი დარტყმისთვის. ანუ ისინი მარტო ძლიერად დარტყმაზე არ ფიქრობდნენ, ცდილობდნენ ზუსტნი, მოხერხებულნი ყოფილიყვნენ).

და ბოლოს, წესი მესამე: სამი კუთხური, ერთი პენალტი. ეს იმიტომ, რომ ერთბაშად ორი სტანდარტული მდგომარეობის გამოყენება დაიხვეწოს და მატჩმაც მეტი ემოციები, მრავალფეროვნება შეიძინოს.

მდგომარეობს. პრობლემა ისიც, რომ ძალიან ცოტა ფეხბურთელი დარჩა, რომელიც სპორტის ამ სახეობისგან სიამოვნებას იღებს და მას, როგორც ხელოვნებას, ისე უყურებს.

ალბათ ბევრს ჰგონია, რომ ეს წიგნი ზოგადი რჩევების, ცხოვრებისეული გამოცდილების განხრით იწერება. როგორ უნდა სირბილი, ხტომა, თავდაცვა, ბურთის კონტროლი, ჯარიმებისა და კუთხურების შესრულება... მაგრამ მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ იმის, რომ მკითხველმა ეს წიგნი სახელმძღვანელოდ აღიქვას, რადგან საფეხბურთო ინსტრუქციები არავის ესაჭიროება. ჩვენ ხომ შევეთანხმდით – მთავარია ინდივიდუალიზმი, ფეხბურთის საიდუმლოებანი ყველამ თავისებურად უნდა შეიცნოს.

პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ფეხბურთის მოთამაშე ბავშვებს ეს საქმე უნდა სიამოვნებდეთ და არ ეზიზღებოდეთ. ხოლო ის, რომ რომელიმე შეიძლება სუპერვარსკვლავი გახდეს, ხანგრძლივ კაპიტალდაბანდებად უნდა განვიხილოთ.

ცოტა ხნის წინ ჰოლანდიაში გადაწყვიტეს, რომ ყველა სამოყ-

ვარულო გუნდში მწვრთნელებად მხოლოდ დიპლომირებულ-
მა სპეციალისტებმა იმუშაონ. როდესაც მკითხეს, „იოჰან,
როგორ მოგონს ეს სიახლე?“, თავი ვერ შევიკავე და ამ იდე-
ას ფატალური ვუნოდე. რატომ? იმიტომ, რომ ასეთ შემთხ-
ვევაში მწვრთნელს სხვა გზა აღარ აქვს, გარდა იმისა, რომ
პრაქტიკაში სწავლების დროს მიღებული ცოდნა გამოიყენოს.


რატომ არ უნდა მივცეთ საბავშვო გუნდებში მუშაობის
საშუალება ადამიანებს, რომლებსაც ჯერ საფეხბურთო კა-
რიერა არ დაუსრულებიათ და თავიანთი პროფესია უზომოდ
უყვართ? ამ შემთხვევაში ბავშვი არა მარტო „ცოცხალ“ ტე-
ქნიკას ღებულობს, არამედ ფეხბურთის სიყვარულის მაგ-
ალთივც თვალწინ აქვს.

და რას აკეთებს ამ დროს დიპლომირებული მწვრთნელი?
სავსებით ლოგიკურია, რომ ის შედეგის მიღწევაზე ფიქრობს
და გამარჯვებას ყველა ხერხით ცდილობს. მას კარიერაში
წინსვლა აღეღებს და მისთვის მთავარია, მოიგოს. ხოლო
ის, თუ როგორ გააკეთებს ამას, სრულებით არ აინტერ-
ესებს.

იმის წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ, რომ გარკვეული
ასაკიდან გუნდებს პროფესიონალმა მწვრთნელებმა უხ-
ელმძღვანელონ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში თოთხმეტ
წლამდე! მანამდე მივცეთ ბავშვებს უბრალოდ თამაშის
საშუალება! ვაცადოთ სიამოვნების მიღება!

რა თქმა უნდა, ამ საკითხზე მსჯელობისთვის ზედგამოჭ-
რილი კანდიდატურა არ ვარ, რადგან თავის დროზე მოხ-
ერხებულად ავუქციე გვერდი დაკანონებულ წესებს, საყ-
ოველთაოდ მიღებულ ნორმებს და უდიპლომოდ შევუდექი
სამწვრთნელო საქმიანობას. ამისთვის ახალი თანამდებო-
ბის, ტექნიკური დირექტორის პოსტის გამოგონება მომიწია.

მეორე მხრივ, მაინც ვფიქრობ, რომ გამონაკლისებსაც აქვს
არსებობის უფლება. ასე მაგალითად, ჰოლანდიელი მოთ-
ამაშეები, რომლებმაც საფეხბურთო კარიერა ჩინებულად
განვლეს, სამშობლოს სახელი გაუთქვეს, მწვრთნელად გახ-
დომის შემთხვევაში უმარტივეს პროცედურას გადაიან, რის
შემდეგაც ოფიციალურად მუშაობის ნებართვას იღებენ. ეს
წესი ძალიან მომწონს. ==



Black Power

1968 წელს, მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე, აფროამერიკე-
ლი მძლეოსნები ტომი სმიტი და ჯონ კარლოსი 200 მეტრზე
სირბილში ოქროს და ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ. ამ
დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო უფლე-
ბებისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა. დაჯილდოებისას, აშშ-
ის ჰიმნის ფონზე, პედესტალზე მდგომმა სპორტსმენებმა

შავხელთათმანიანი მუშტები ჰაერში ასწიეს. ეს იყო შავკანი-
ანთა ძალაუფლების მხარდამჭერი ჟესტი. ამ ქმედებისთვის
ათლეტებმა ოლიმპიური თამაშებზე სამუდამო დისკვალი-
ფიკაცია მიიღეს, თუმცა ტომი სმიტისა და ჯონ კარლოსის
ქმედება დღემდე სპორტის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე
მძლავრ პოლიტიკურ პროტესტად რჩება. ==

მოსივასია, რობორტ სტრაუბია

ბიძინა ბარათაშვილი

ყველა მწვრთნელს ფახეურთელაზის მოტივირებას თავისი მეთოდები აქვს. ბოლო პერიოდში ამ მხრივ ყველაზე გამორჩეული „ატლანტიკოს“ თავკაცი დიეგო პაზლო სიმიონაა.



დიეგო სიმიონე

მთელი მსოფლიო აღნიშნავს, რომ სიმიონემ ყველა თავისი გუნდი („რასინგი“, „რივერი“ „სან ლორენსო“, „კატანია“, „ატლანტიკო“) საკუთარ ყაიდაზე გადააწყობა და საოცრად დაამსგავსა ფეხბურთელ დიეგო სიმიონეს: დაუოკებელ მებრძოლს, რომელიც მინდორზე ყოველთვის ბოლომდე იხარჯებოდა და რომლისთვისაც ყოველი მატჩი განსაკუთრებული იყო.

2013 წელს, ახალგაზრდა მწვრთნელის წარმატებათა პირველ ტალღაზე, ესპანელმა გამომცემლებმა გადანყვიტეს, სიმიონესთვის წიგნი შეეკვეთათ. თავისი კოლეგებისაგან განსხვავებით, დიეგოს არ დაუწყია ბიოგრაფიული წიგნები და ბავშვობის თავგადასავლების გახსენება. მან ნაშრომი საკუთარი საფეხბურთო ფილოსოფიის (ე. წ. „წოლიზმის“) ახსნას მიუძღვნა. წიგნის სათაურიც, რომლის წინასიტყვაობაც ლეგენდარულ ლუის არაგონეს ეკუთვნის, ასეთია: „მოტივაცია, როგორც სტრატეგია“.

თავისი შეგირდების მოტივაციის ასამაღლებლად სიმიონე ხშირად არაორდინარულ მეთოდებს მიმართავს. მაგალითად, ბილბაოს „ატლანტიკთან“ სავერობალიგო ფინალის წინ მან ვარჯიშზე მიიპატიჟა პარაოლიმპიელი მოთხილამურე ირენ ველია, რომელმაც ორივე ფეხი ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია ETA-ს მიერ 1991 წელს მოწყობილი აფეთქების შედეგად დაკარგა. „ბასკური კვალი“ „წოლოს“, რა თქმა უნდა, არ უხსენებია, უბრალოდ, მან ახალგაზრდა ქალის მებრძოლ სულს ხაზი გაუსვა და სწორედ მას სთხოვა წინასამატჩო გარჩევის გაძღოლა. შედეგი ცნობილია: ფინა-

ლი „ატლანტიკომ“ 3-0 მოიგო და თასს დაეუფლა!

მას შემდეგ მადრიდელები ესპანეთის თასის მფლობელები და ქვეყნის ჩემპიონებიც გახდნენ, ჩემპიონთა ლიგის მოგებამდე კი ერთი წუთი დააკლდათ. ფეხბურთელები მწვრთნელს აღმერთებენ და ყველა წარმატებას პირადად მას უძღვნიან. ისიც მოთამაშეებს მამაშვილური ერთგულებით პასუხობს, მუდმივად აქებს და მათ დედებს „ყვერებიანი ვაჟკაცების“ აღზრდისთვის მადლობას უხდის.

როდესაც მოტივაციაზე ვსაუბრობთ, ყოველთვის მახსენდება ლეგენდარული არგენტინელი სპეციალისტი ელენიო ერერა და მისი ისტორია, რომელიც ჟურნალისტმა მაქს იურბინმა შემოგვინახა. გასული საუკუნის 40-იან წლებში ახალგაზრდა ელენიო პარიზის „სტადის“ პრეზიდენტმა ჟან მალომ თავისი გუნდის თავკაცად დანიშნა. კლუბში მან სამი უმაღლესი კლასის მოთამაშე მიიყვანა: მეკარე მარსელ დომინგო, მაროკოელი გამთამაშებელი ლარბი ბენ ბარეკი და უნგრელი ზომბარდირი იშტვან ნიერში. ამათგან, ბენ ბარეკი და ნიერში ერთმანეთს დასანახად ვერ იტანდნენ, თუმცა საჯაროდ კეთილმეგობრულ წყვილს ასახიერებდნენ. „ნიცა-სთან“ უმნიშვნელოვანესი თამაშის წინა დღეს სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა. აფრიკელმა უნგრელს ბოიკოტი გამოუცხადა და ხმას აღარ სცემდა. დანარჩენ ფეხბურთელებს ნერვიულობა დაეტყოთ. ამას დაემატა მარსელ დომინგოს ავადმყოფობა, რომელიც თავს შეუძლოთ გრძნობდა და თამაშზე უარს აცხადებდა.

აუცილებელი იყო ქმედითი ზომების მიღება. საუზმის შემ-

დეგ ერერამ ბენ ბარეკს სენ კლუს ტყეში გასეირნება შესთავაზა:

– მე შენ კასაბლანკაში მოგძებნე და დაგპირდი, რომ საფრანგეთის პირველ ფეხბურთელად გაგცეკვი. სიტყვა შევასრულე, მეთანხმები? ცნობილი ფეხბურთელი ხარ, ბურთის გენია, დირიჟორი, რომელიც ორკესტრს მართავს! უშენოდ არც „სტადი“ იარსებებდა, არც მალო და არც ერერა! ახლა კი ანგარიში უნდა გამინიო და ნიერშს ყურადღება არ მიაქციო. ისედაც ხომ ყველა ხედავს, რომ საგოლე პასებით მხოლოდ შენ ამარაგებ? ისეთ სიტუაციებს უქმნი, რომლიდანაც აცდენა შეუძლებელია! მაყურებელი ყველა დეტალს ამჩნევს, ჟურნალისტებს კი შენ საქებრად ახალი ეპითეტების გამოგონება უხდებათ!

– შეგიძლია, ჩემი იმედი გქონდეს. კვირას ისე ვითამაშებ, როგორც შენ გსურს და ამ ნიერშსაც კარგ გაკვეთილს ჩავეუტარებ, – მოლბა მაროკოელი.

„სტადის“ ბაზაზე დაბრუნებულმა ერერამ ახლა უნგრელი მოძებნა:

– ფერი, ახლახანს რამდენიმე უცხოური კლუბის მესვეურს ვესაუბრე. ისინი თვლიან, რომ შენ „სტადის“ საუკეთესო ფეხბურთელი ხარ. იქაურ პრესაში კი თურმე იმას კი აღარ წერენ, რომ „სტადმა“ მოუგო „რასინგს“, არამედ – „ნიერშმა“ დაბობბა „რასინგიო“! ვფიქრობ, აქ ეს ამბავი ზოგ-ზოგებს არ ესიამოვნებათ!

– ბენ ბარეკს?!

– განსაკუთრებით, მას. ეს რომ იცოდეს, ავად გახდებოდა! მომისმინე, რა გაუჭირე საქმე ამ ბენ ბარეკს?! ვერ ხედავ, რომ შენი ტოლ-სწორი არაა? ერთი მოთამაშე ფოკუსებს იგონებს – ესაა ბენ ბარეკი. მეორე კი განაპირობებს გუნდის წარმატებას – ეს შენ ხარ! ყოველ ორშაბათს გაზეთები წერენ: „ნიერშის შესანიშნავი გოლი“, „გაუმარჯოს ნიერშს!“ „ნიერშის მორიგი წარმატება“. ბენ ბარეკის სახელი კი სტატიებში სანთლით უნდა ექებო! გამაგებინე, რისი გეშინია?! შენს ადგილას რომ ვიყო, ბენ ბარეკს მინდორზე შევარცხვენდი და ისე გამოვიყენებდი მის პასებს, რომ რა ხდება, ვერც კი მიხვდებოდა. მარტო მოვიგებდი ხვალინდელ მატჩს! ისე, მხოლოდ შენ რომ შეგიძლია...

– ფიქრობთ, ჩემი წარმატება ბენ ბარეკს ავად გახდის?



ელენიო ერერა

– ღამე არ დაეძინება!

– კარგი, ელენიო. გეფიცებით, ხვალ სამ თავურს დავაჭედებ!

ორი დამუშავებულია. რჩებოდა მარსელ დომინგო, საოცრად მშვიდი, თავმდაბალი ახალგაზრდა. აუცილებელი იყო გუნდის მესამე ლიდერის გამოფიზილება, რომელსაც საუზმისთვის პირი არ დაუკარებია და სიციხიანი იქვე სავარძელში ძაგძაგებდა.

– ცუდადაა საქმე, ელენიო! – გამოუტყდა მეკარე მწვრთნელს, – ალბათ 40 გრადუსი სიცხე მაქვს და ყელი ისე მტკივა, გარედან ხელსაც კი ვერ ვიღებ! შემომხედეთ – ჩაშავებული თვალები, მკვდრის ფერი... ჯობია, სახლში წავიდე და რამდენიმე დღე ლოგინში გავატარო.

– ლოგინში ნამდვილად უნდა ჩაწვე, მაგრამ ხვალ მინდორზე გახვალ და ითამაშებ!

– რას ამბობთ, ფეხზე ძლივს ვდგავარ!

– მარსელ, შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ, მომისმინე. იცი, რას ნიშნავს „ზე ფორმა“? ესაა ხანმოკლე ავადმყოფური მდგომარეობა, რომლის დროსაც უდიდეს ფეხბურთელებს საოცრად უმძაფრდებათ აღქმის უნარი! სახის კანი ფერმკრთალდება, ადამიანს ციებ-ციხლება ემართება. ეს შეიძლება ერთი კვირაც კი გაგრძელდეს, თუმცა ზოგჯერ გაცილებით მალე მთავრდება. ასეთი მდგომარეობით მაქსიმალურად უნდა ისარგებლო, რადგან ამ დროს მოთამაშეს ყველაფერი ძალუძს!!! ასე რომ, მარსელ, შენ ანგინა კი არა, „ზე ფორმა“ განუხებს, რომლის მიღწევასაც სხვები ამაოდ ცდილობენ.

– მატყუებთ, ელენიო?!

– ტყუილი არასდროს მითქვამს! ეჰ, მე რომ შენს ასაკში ასეთი შანსი მქონოდა! ხვალ სენსაციურ მატჩს ჩავატარებდი და პირდაპირ საფრანგეთის ნაკრებში აღმოვჩნდებოდი!

– ნაკრებში?! ამისთვის ღირს შეუძლებლის გაკეთება. წავალ დავწვები, დილიდან კი სტადიონზე ვივარჯიშებ...

მეორე დღეს „სტადმა“ „ნიცა“ მიწასთან გაასწორა – 4:0. ნიერშმა 3 გოლი გაიტანა, ბენ ბარეკმა უდიდესი საფეხბურთო სტრატეგის სახელი მოიხვეჭა, ხოლო საფრანგეთის ეროვნული გუნდის თავკაცმა გასტონ ბარომ დომინგოს გვარი სანაკრებო სიაში ჩაინიშნა!

ეს მოხდა 1946 წელს. ელენიო

ერერა ჯერ კიდევ მავნი

უმტკიცებდა მსოფლიოს,

რომ სამყაროში ყველაფერი

ფარდობითია! ვინ ისინი, იმ

დროს მათოს ბარემოსვაში

ნორმალური ხალხი რომ

აღმოჩენილიყო, იქნებ „სტადი“

დღეს „ინტერი“ ან „რეალი“

ყოფილიყო... ==

ადამიანური "უსამართლობა", VS ტექნოლოგიური სამართლიანობა

ლონდონში 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, რომელშიც ინგლისი და გფრ ერთმანეთს ხვდებოდნენ, საბჭოთა განაპირა მსაჯმა, თოფიკ ბახრამოვიმა, საეჭვო ვითარებაში ინგლისის ნაკრებს კარის აღება ჩაუთვალა, რის შედეგადაც მორალურად გატეხილმა (პრინციპულ მატჩებში – ალბათ ერთადერთი შემთხვევა ამ ნაკრების ისტორიაში) გერმანელებმა ფრთაშესხმულ ინგლისელებს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს და პირნიმინდად დათმეს ფინალი. დღევანდელი ტექნოლოგიური მიღწევები თურმე საშუალებას იძლევა დავადგინოთ: ბურთს კარის ხაზი მთლიანად არ გადაუკვეთია, ე. ი. გოლი არ იყო, ბახრამოვი შეცდა. გერმანული საფეხბურთო სამყარო დღემდე მტკივნეულად და ემოციურად განიცდის ამ ამბავს. ასეთი რამ მხოლოდ ფეხბურთში არ ხდება და ეს ყველაფერი სპორტის ნებისმიერ სახეობაზე შეიძლება განგეზოგადებინა, მაგრამ ფაქტია, რომ სპორტის არც ერთ სახეობაში რეფერის შეცდომას არ მოაქვს ისეთი სავალალო შედეგი, როგორც ფეხბურთში. მსაჯის თუნდაც ერთი შეცდომის გამო არსად ვიღებთ ისეთ ალოგიკურ შედეგს, როგორსაც ფეხბურთში, რადგან ფეხბურთი ყველაზე ნაკლებშედეგიანი სპორტია და ერთ „ქულას“ (ანუ გოლს) ძალიან ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უფრო მეტიც, ალბათობა იმისა, რომ მსაჯი შეცდებამ, ფეხბურთში ყველაზე დიდია, რადგან ფეხბურთი ტექნიკურად, თეორიულად ყველაზე რთული სპორტია, დიდ სივრცეზეა გაშლილი და ძალიან ძნელია ყურადღება მიაღწეო ყველა ნიუანსს, რომელიც მოედანზე ხდება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მაინც ის არის, რომ მსაჯი ერთპიროვნულად იღებს გადამწყვეტილებას და, შესაბამისად, ერთპიროვნულად წყვეტს თამაშის ბედს. აქედან გამომდინარე, რეფერი ისეთი წნეხის ქვეშ არსად არის, როგორც ფეხბურთში. საკამათო სიტუაციებში მსაჯის სუბიექტურ გადაწყვეტილებაზე შეიძლება იყოს დამოკიდებული არა მარტო ერთი მატჩის ბედი, არა მარტო რომელიმე კლუბის ფინანსური მდგომარეობა, არამედ სახელმწიფოს პრესტიჟი და სახელმწიფოში მოსახლე ლამის ათიათასობით ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაც კი (მსაჯის შეცდომების გამო ინფარქტების რაოდენობას მსოფლიო ფეხბურთის ისტორიის მანძილზე ნამდვილად ვერავინ მოთვლის).

სპორტის სხვა სახეობებში ადამიანური შეცდომის თუ სუბიექტივიზმის ფაქტორი რომ გამორიცხონ, ტექნოლოგიებს ინტენსიურად ნერგავენ. ამის შედეგად ალბათობა იმისა,



თოფიკ ბახრამოვი

რომ რომელიმე გუნდი, ანდა სპორტსმენი (მაგ. ჩოგბურთელი) დაუმსახურებლად დაზარალდება (ანდა პირიქით), მინიმუმამდე დადის. ფეხბურთში ეს პროცესები ძალიან მძიმედ მიდის. არგუმენტებად მოაქვთ ის, რომ ეს მუდმივ გაჩერებებსა და მონიტორზე გარჩევებს გამოიწვევს, აირევა დრო და ფეხბურთი დინამიკას დაკარგავს. დინამიკა კი ფეხბურთისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მუსიკისთვის რიტმი. ტექნოლოგიების მომხრეებს კი აქვთ ერთი, მათი აზრით, შეუვალარი არგუმენტი: იზეიმებს სამართლიანობა.

ღრმად ვარ ღარწმუნებული, რომ გაითვინს, ვინთვინსაც ფეხბურთი გასილახით მეტია, ვიდრე შედეგი, სტატისტიკა და სპორტის კი, ადამიანური შეცდომა უფრო ფასეულია, ვიდრე ტექნოლოგიური სამართლიანობა.

რატომ? იმიტომ, რომ შეცდომაც და უსამართლობაც, ისევე როგორც წარმატება თუ წარუმატებლობა, ადამიანური ყოფის განუყოფელი ნაწილია. სწორედ ასეთი კონტრასტები უზრუნველყოფს ბალანსსა და ჰარმონიას ადამიანების ყოფაში და „ჩვენთვის“ ფეხბურთი სწორედ ასეთი ყოფის მიკრომაკეტია, თავისი ციკლორობითა და ალოგიკური განვითარებით. თუნდაც ის ემოცია, ის ვნებათაღელვა, ის სიხარული, სასონარკვეთილება თუ იმედგაცრუება, რომელსაც ფეხბურთი აღძრავს ადამიანთა გარკვეულ ნაწილში, თითქმის ანალოგიურია იმ შეგრძნებებისა, ცხოვრებისეული პერიპეტეტიები რომ იწვევს, რა თქმა უნდა, ადამიანთა გაცილებით უფრო დიდ სეგმენტში, და ამ პერიპეტეტიებში, როგორც ცხოვრებისეულში, ასევე საფეხბურთოშიც, უზარმაზარი ადგილი უჭირავს როგორც ადამიანურ შეცდომებს, ასევე უსამართლობებს. ბოლო-ბოლო მთელი კულტურა და ხელოვნება სწორედ ამაზეა ნაშენები და არა აბსოლუტურად ობიექტურ-ლოგიკურ პროცესებზე, რომლებსაც რეალობაში არც აქვთ ადგილი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მხედველობაში მყავს ფეხბურთის ისეთი მოყვარული, რომლისთვისაც მთავარი ტაბლო არასოდეს ყოფილა; ასეთი კი ძალიან ბევრია.

რამდენიმე ხნის წინ გამახსენდა ის უთვალავი საფეხურთო-ისტორიული წიგნები, რომლებიც ბავშვობაში წამიკითხავს, ის საოცარი ინტრიგა, დრამატული, ლამის ტრაგიკული განმსჭვალული მოვლენები, რომლებიც თუნდაც მხოლოდ საფეხბურთო ჩემპიონატების ისტორიას ახლავს თან და რამაც შეუძლებელია, არ მოგხიბლოს. ყველაფერი რომ უშეცდომოდ, „სამართლიანად“, ლოგიკურად, ობიექტურად და ყოველგვარი ფატალური შემთხვევების გარეშე წარმართულიყო, არანაირი ემოციური სიმძაფრე და დრამატულობა არც ფეხბურთს ექნებოდა და არც მის ისტორიას, რადგანაც მასში „ადამიანური“ აღარ იარსებებდა. მე ზეითი ფატალურობა ვახსენე და მიმაჩნია, რომ მსაჯის შეცდომებიც უნდა განვიხილოთ, როგორც შემთხვევითობის, უიღბლობის (ანდა პირიქით) მომენტი, მეტი არაფერი. სწორედ ასე გახდა გფრ უნგრეთის დიდ გუნდთან ჭიდილში 1954 წელს მსოფლიო ჩემპიონი, ბრაზილიის ნაკრები კი შეიძლება 1962 წელს სულაც ჯგუფიდან ვერ გასულიყო. 1966 წელი უკვე ვთქვით, და ეს დაუსრულებელი ჯაჭვია, რომელშიც მაინც არის ლოგიკა, რადგანაც დევს ამაში რაღაც გლობალური სამართლიანობა, და, აი, რა მაქვს მხედველობაში: როდესაც გერმანიამ 1954 წელს ფინალში „დაუმსახურებლად“ და, როგორც ეჭვობენ, მსაჯის ხელშეწყობით (ბოლო წუთებზე უნგრელებს ბურთი არ ჩაუთვალეს) დაამარცხა უნგრეთის დიდი გუნდი (რომელიც ბევრს ყველა დროის უდიდეს



გრემ პოლი

ნაკრებად მიაჩნია), ჟურნალისტების თქმით, გასახდელში შესული გერმანელები პანტაპუნტით ეცემოდნენ, ისე იყვნენ ფიზიკურად და ემოციურად დაცლილები; ბევრ მათგანს კი ექიმის დახმარებაც დასჭირდა. 1971 წელს ერთ-ერთი შესანიშნავი ქართველი სპორტული ჟურნალისტი, რომლის გვარიც, სამწუხაროდ, არ მახსოვს, წერდა: „ამაზე მაშინ ბევრს ქილიკობდნენ, მაგრამ ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ გერმანელები ღირსეულად გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები, რადგანაც მათ ყველაფერი გაიღეს და ბოლომდე დაიხარჯნენ, იცოდნენ რა, რომ სხვანაირად უნგრეთის დიდ გუნს ვერ დაამარცხებდნენ“. გერმანიამ მანამდე გაუგონარი ფეხბურთის კონცეფცია შემოიტანა: გამუდმებული მოძრაობის, გააზრებული სირბილისა და ძლიერი ნებისყოფის ხარჯზე შესაძლებელია შენზე მაღალი კლასის გუნდის დამარცხება. ორი ათწლეული დასჭირდა იმის გააზრებას, რომ მსოფლიო ფეხბურთის განვითარება სწორედ ამ კონცეფციით უნდა წასულიყო. ე. ი. ყოფილა რაღაც მინიშნებები „ზევიდან“ (არ დავკონკრეტდები) ჯერ კიდევ 1954 წელს და დღეს ენა ვის მოუბრუნდება, რომ გერმანია დაუმსახურებელ ჩემპიონად მოიხსენიოს? ასეთი შემთხვევებით გატენილია საფეხბურთო ისტორია. აი, ეს არის „უსამართლობის“ კანონზომიერება და სწორედ ეს არის ფეხბურთის სიდიადის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი. ==





პრივი, ფული და ორი ბრძოლი

აბო იაშადაშვილი

2 მაისს ლას ვეგასში დანიშნულია ბრძოლა ფლოიდ მეივეზერსა და მენი პაკიოს შორის. როგორც იქნა. ამას დიდი ხანია ელოდნენ. ექვსი წელი. ინტერესი ბევრგვარია, ამ საუკუნის მთავარ ჩხუბსაც კი არქმევენ, ფულსაც დიდს გამოდიან, მეივეზერს ერგება 150 მილიონი, პაკიოს – 100. ამხელა თანხას კრივში აქამდე არ ჩამოსულან. არც კრივში და არც სხვა რომელიმე შეჯიბრში.

მას მერე, რაც ბრძოლა გადაწყდა, დაიწყო ჩვეული კბენა და ოინი. მეივეზერი პაკიოს პრომოუტერს ბობ არუმს მისდგა, იმის პაკია პაკიო, რომც ნდომებოდა, უარს ამ ჩხუბზე ვერ იტყოდაო, და ასეთი გაქანების საუბარი გააჩაღა. არუმი კი დიდი ხანია მეივეზერზე ამბობს, მშიშარაა, იმალემა, რა მიზეზი არ მოსძებნა, ოლონდ და, ბრძოლას არიდებოდა, ექვსი წელი ასე დამალობანას გვეთამაშებო. ამას სხვებიც მიაძახებენ. ხშირად, ძალიან ხშირად. ის გაურბის მთავარ დამრტყმელებს, ოსკარ დე ლა შოიასაც როდის ეჩხუბა, როცა ის ვეღარ იყო ძველი ოქროს ბიჭი. სხვებსაც მაშინ გაუსწორდა, რომ ვეღარ ბრწყინავდნენ. პაკიოც ხელთ ახლა იგდო, ამ რამდენიმე წლის უკან კი ვერ გაბედაო. საუბარი ასეთია.

ამასობაში მეივეზერმა 47 ბრძოლა გამართა და ყველა მოიგო, ნოკაუტების ოდენობა ნახევარზე მეტია. მას ჰქონდა დროება, როცა რამდენიმე წლით იკარგებოდა და აღარ ჩხუბობდა, მერე ისევ მობრუნდებოდა. ფილიპინელ პაკიოს კი 56 გამარჯვება მოუგროვდა, ფრედ დათვლილი ბრძოლებიც და ორი მარცხიც. ამას მეივეზერი მიაძახებს მაღიმავ

მწარედ, მგონი, უკვე ხუთჯერ ნააგოო. ამ ტრადიციული კბენის მოღვეის შემდეგ ის თავის საქმეებს მიუბრუნდა, 14 წლის შვილს 400-ათასიანი „როლს-როისი“ უყიდა, სხვა ნივთებიც შეიძინა. მას მილიონი დოლარი ყოველთვის ჯიბეზე აქვს, რა იცი, გზად რა შეგხვდება. მეტსახელიც ასეთი აქვს: „მანი“ მეივეზერ – „ფული“ მეივეზერ.

ის უკიდურეს გაჭირვებაში გაიზარდა, ოთახში ერთად შვიდ ადამიანს ეძინა. მამამისი ძველი მოკრივე და ნაციზარი, დედამისი ნარკოტიკების შემყნოსავი, მომხარშავი. არც სხვა ნათესავები იყვნენ საკვირაო სკოლის მასწავლებლები. თუმცა, ის ამბობს, რომ მლოცველია, ვლოცულობ, ბევრს ვლოცულობ, ეს ბრძოლაც ჩემი ლოცვის შედეგიაო. ზუსტად ასე ამბობს. ჩემი რწმენისა და ლოცვისაო. მღვდელი თან არ დაჰყვება, როგორც „შუგარ“ რეი რობინსონს, მაგრამ ასე იძახის.

ისე რობინსონის სახელი ხშირად გაისმის მეივეზერის ხსენებისას, აბა, რომელი ჯობდა, რომელი უფრო დიდი იყო. გემოვნებასა და მოკამათეს რა გამოლევს. ოლონდ „შუგარ“ რეის 173 ბრძოლა ჰქონდა მოგებული. კი, ვილაც ლამის მედროეებსა და მეზღვაურებთანაც კრივობდა და წაგებულებაც დღევანდელი დათვლით ბლომად მოუგროვებდა, თუმცა ეს სხვა დროება იყო, პირველ სამ წელიწადში მას 43-ჯერაც კი უჩხუბია. დროც სხვა იყო და ფულიც. თან კიდევ ეს მღვდელი. მღვდელი იქნებ პირობითი ნათქვამიცაა. ჰერბერტ ესბერი თავის „ნიუ-იორკის ბანდების ისტორიაში“ ერთ მღვდელს აღწერს, ოლრაშობას რომ მისდევდა და თან ქადაგებდა

დღენიდაგ. ერთი სხვა მღვდელიც ჰყავს, მოჩხუბარი, ირლანდიელი. რას გაუგებ იმ ხმელეთსა და დროებას. მღვდელს რობინსონმა სიზმარიც გაანდო, ეს სიზმარი დიდი გარდამტეხი რამ გამოდგა მის ცხოვრებაში. რობინსონს ესიზმრა, რომ რინგზე ჯიმი დოილს მოკლავდა. მას არ უნდოდა გასვლა, ძალიან არ უნდოდა, მაგრამ იმან – გადიო. გავიდა და, მართლაც მოკლა. მეცხრე რაუნდში დოილმა შეწყვიტა ბრძოლა და მერე საავადმყოფოში სული განუტევა. ეს დიდი დარტყმა იყო, ამის მერე ძველებურად ვეღარც უკრივია, მთელი ძალით ვეღარ იქნევა მუშტებსო, ასე ჰყვებიან.

მეივეზერის მოძღვარი კი არის ელ ჰეიმონი; სემინარიაში იმას არ უსწავლია, მაგიერად ფულის თვლა იცის კარგად, მეივეზერსაც ასწავლია, ისიც სულ ამბობს, დიდი კაცია ეს ჩემი ელ ჰეიმონი, მან მასწავლა ბიზნესის კეთებაო. ყველა მისი ბრძოლა მართლაც კარგად გათვლილია. მეივეზერი კალკულაციის კაცია. ინტუიცია არ ღალატობს, იცის ზუსტად, როდის რა ბრძოლა აირჩიოს, რომელს უნდა აერიდოს.

ის 18 წელია დაუმარცხებელია. 5 სხვადასხვა წონაში კრივობს და ქამრებს იგებს. მსოფლიოს ყოფილ ან მოქმედ 22 ჩემპიონთან უჩხუბია და მოუგია. ეს საოცარი სტატისტიკაა. არც ერთ მოკრივეს, რომელსაც მარცხის გრაფაში ნული აქვს, არ დაუცია ამდენი მსოფლიოს ჩემპიონი. აქედანაა ეს შედარებებიც – „შუგარ“ რეი რობინსონთან, სამოცდაათიანების დიად დიუპონთან, ოთხმოციანების „შუგარ“ რეი ლეონარდთან. მაგრამ მაინც მიაძახებენ: აბა, როდის დასცა ის ჩემპიონები? როცა ჯვანი აღარ მოსდევდათ, როცა სხვა ჯახებში გამოიფიტნენ, სისწრაფე გამოეღიათ.

ისეთებიც ჩნდებიან, საპირისპიროს რომ ამტკიცებენ, არა, არ არიდებია, ასე შეხვდა, სხვანაირად არ გამოდიოდაო. თვითონაც ამბობს: პატარა ბიჭი არ ვარ, რომ სხვის დაკრულზე ვიჩხუბო, ჩემი პირობები მაქვს, ჩემი მიდგომა მაქვს. მე საქმის კაცი ვარ. ამას ხშირად იმეორებს, ამ საქმოსნობას. თუმცა, პაკიოზე არავის უთქვამს, ვინმეს აერიდა, ვინმეს გაერიდაო. ის ყველა ბრძოლაში გაერია, ყველგან ომი გამართა. მისი განთქმული ომები მექსიკელ მოკრივეებთან კაი ხანს ემასსოვრებოდათ. ის ერთადერთია, ვინც ქამარი რვა წონით კატეგორიაში მოიგო. რვაში! მეივეზერიც და პაკიოც ორთავე „ფაუნდ ფორ ფაუნდ“ მოკრივეები არიან, ასე ჰქვია წონეებში მოხეტიალე მოკრივეს, სხვადასხვა ჩემპიონებს რომ ინევს საჩხუბრად.



დღეს ორივე ასაკშია. მეივეზერი 38 წლისაა, პაკიო – 36-ის, მაგრამ მეივეზერმა იცის, რომ წლები მის ჩხუბის ყაიდას ნაკლებად ერჩის, ნაკლებად, ვიდრე პაკიოს ტყვიამფრქვევს, როცა ის მიაყრის სამ-ოთხ გადაბმულ დარტყმას, თუმცა რალა ოთხს, ექვსს, რვას. ეს არაა იოლი. მეივეზერს კი გამაოცებელი დაცვა აქვს. იქნებ საუკეთესოც მათში, ვისაც კი უკრივია. ის უფრო ხაფანგების დამგები და მონინააღმდეგის შეცდომების გამომჭერი.

თუმცა, ის ერთხელ მაინც დამარცხდა. კი, ეს უდაოა. 2002 წელს, ის ხოსე ლუის კასტილიოს შეხვდა და მეხუთე რაუნდის შემდეგ მექსიკელმა ის მიაწვია, ყოველი რაუნდი მას დარჩა, სილაქი გააძრო მეივეზერს. „მანის“ მაშინ 27 მოგება ჰქონდა. კასტილიო კი იყო ქამრის მფლობელი, მაგრამ სხვა მექსიკელებს დიდად ვერ სჯობდა, ის არ იყო დიდი მომავლის მოკრივე. მეივეზერი კი იყო. ის იყო ათეულობით მილიონის ფასისა. ის იყო, ვინც თვალს მიაპყრობინებდა მილეთის ხალხს ეკრანსა და რინგს, ვის საცქერადაც ბილეთში ათი ათასს არ დაიშურებდნენ, ოცსაც, ოცდაათსაც, ყველაფერი წინ იყო. ეს დღევანდელი ბრძოლა უკვე მაშინ მოსჩანდა.

მსაჯებმა ერთსულოვნად გამარჯვება მას მიაკუთვნეს. ეს დღემდე სალაპარაკოა. სალაპარაკოა, რაკი კასტილიომ იმ საღამოს მიაწვია მეივეზერი. მერე რევანშიც იყო, მეივეზერმა იქ ის დასცა უპირობოდ, უსიტყვოდ, ყოველგვარ ეჭვს გარეშე, მაგრამ ის პირველი საღამო მექსიკელისა იყო. კასტილიომ მაშინ ბრძოლის მერე ამოიხრა კიდევაც,

მსაჯების გასაგონადაც თქვა: „გაუშვი, აკეთონ თავიანთი ბიზნესი, რას უზამ, კრივი ასეთია“. მან იცის შიდა სამზარეულო, იცის ბუქმეიკერებისა და კრივის ოლრაშების სამყაროები. 2 მაისის ბრძოლის ფსონებით კი მეივეზერის მოგება 1,4-ად ფასდება, პაკიოს გამარჯვება 3,5-ად. ამაში ბევრი რამ სჩანს. ბევრი რამ იკითხება. სხვაობა თვალში საცემია, ისევე როგორც მეივეზერის სიმაღლე და ხელების სიგრძე. ის 48-ე გამარჯვების მოლოდინშია. და შემდეგ როკი მარჩიანოს მიღწევა ერთი ხელის განწვდნაზეა. მარჩიანომ 49 ბრძოლა გამართა და ყველა მოიგო. ასეთი შედეგი არავის ჰქონია. მეივეზერისა და მისი პრომოუტერების ფიქრიც ესაა. ამის ჯობნა, ამის გადასწრება. მთელი მისი კრივი დიდი ხანია აქეთკენაა. ის ამორჩევის ტაქტიკაც ამისთვისაა. კასტილიოს მარცხიც აქ მისათვლელია. რაც უფრო უახლოვდება მეივეზერი მიზანს, მახანდაც ინევს. ადვილი წარმოსადგენია, 50-ე ბრძოლაში ის რამდენს მოითხოვს. ==

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ათეული სპორტსმენები



10

მეტ რაიანი (ამერიკული ფეხბურთი) 43.8 მილიონი დოლარი

2013 წლის ზაფხულში „ატლანტა ფალკონსის“ კვორტერბექმა კლუბთან ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულების ღირებულება 103.75 მილიონი დოლარია. რაიანის გარანტირებული ხელფასი 59 მილიონ დოლარს შეადგენს. გარდა ამისა, კონტრაქტი ბონუსებსაც ითვალისწინებს.

როჯერ ფედერერი (როგბურთი) 56.2 მილიონი დოლარი

კარიერის განმავლობაში ფედერერმა 86.2 მილიონი დოლარი დააგროვა. მსოფლიო როგბურთის ისტორიაში ასეთი დიდი რაოდენობის საპრიზო თანხა ჯერ არავის დაუსაკუთრებია. გასულ სეზონში ფედერერი უიმბლდონის ფინალში გავიდა, რომელშიც სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩთან დამარცხდა. ამ ტურნირმა შეეცარიელს 880 ათასი ფუნტი სტერლინგი შემატა. გარდა ამისა, ფედერერის სპონსორები არიან Jura, Lindt, National Suisse, Mercedes-Benz, Nike, Rolex და Wilson.

7



9

რაფაელ ნადალი (როგბურთი) 44.5 მილიონი დოლარი

2013 წელი ესპანეთის საუკეთესო როგბურთელისთვის ძალიან წარმატებული გამოდგა. რაფამ საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ლია ჩემპიონატებში გაიმარჯვა, რის შედეგადაც თითქმის 15 მილიონი დოლარი საპრიზო თანხა გამოიმუშავა. გარდა ამისა, ნადალი სხვადასხვა ცნობილ კომპანიებთან თანამშრომლობს. მათ შორის, ყველაზე მომგებიანი სპონსორული კონტრაქტი მან სპორტული საქონლის მწარმოებელ ფირმა Nike-თან გააფორმა. ამ ხელშეკრულების თანახმად, როგბურთელი წელიწადში 10 მილიონ დოლარზე მეტს იღებს.

თაიგერ ვუდსი (გოლფი) 61.2 მილიონი დოლარი

ბოლო წლებში ლეგენდარული გოლფისტის შემოსავალმა საგრძნობლად იკლო. მისი საპრიზო თანხები თითქმის ორჯერ შემცირდა და, გარდა ამისა, ვუდსმა კომპანია Electronic Arts-თან კონტრაქტი განწყვიტა. მეორე მხრივ, 2013 წელს, კომპანია Nike-მა მასთან ხელშეკრულების პირობები გააუმჯობესა და ახლა თაიგერ ვუდსი ამ ცნობილი კომპანიისგან წელიწადში თითქმის 20 მილიონ დოლარს იღებს.

6



8

ფილ მიკელსონი (გოლფი) 53.2 მილიონი დოლარი

ამერიკელმა გოლფისტმა კარიერის განმავლობაში PGA ტურის 42 პირველობა მოიგო, რაც ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია. გარდა ამისა, საპრიზო თანხების რაოდენობის მიხედვით, მიკელსონი ისტორიაში მეორე გოლფისტად ითვლება. მისი მონაგარი 74 მილიონი დოლარია. მან გასულ წელს დიდი ბრიტანეთის ლია ტურნირში გაიმარჯვა. ამის შედეგად ძველი სპონსორებიც შეინარჩუნა და ახლებიც მოიზიდა. მიკელსონთან თანამშრომლობენ ისეთი ფირმები, როგორებიცაა Callaway, Barclays, KPMG, Exxon Mobile, Rolex და Amgen/Pfizer.

კობი ბრაიანტი (კალათბურთი) 61.5 მილიონი დოლარი

„ლეიკერსის“ ლიდერმა გასულ წელს, სეზონის განმავლობაში 30.5 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. კლუბთან ახალი კონტრაქტის თანახმად კი, მისი ანაზღაურება ისევ რეკორდულად მაღალია: 23.5 მილიონი დოლარი. მიუხედავად იმისა, რომ ბრაიანტი უკვე 36 წლისაა, მასთან კონტრაქტის გაფორმებისთვის მაინც ძალიან ბევრი კომპანია იბრძვის. ამჟამად კალათბურთელი ისეთი ფირმების სახეა, როგორებიცაა Turkish Airlines, Lenovo, Hublot, Nike და Panini.

5



4



**4. ლიონელ მესი (ფეხბურთი)
64.7 მილიონი დოლარი**

ბარსელონასთან ახალი კონტრაქტის თანახმად, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის გასამრჯელო წელიწადში 20 მილიონ ევროს შეადგენს. ამას კომერციული ხელშეკრულებებისგან შემოსული 15 მილიონი ევრო ემატება და, ჯამში, ეს ყველაფერი 40 მილიონ დოლარს აჭარბებს. გარდა ამისა, არგენტინელი ფეხბურთელის ტალანტს სათავისოდ ისეთი კომპანიები იყენებენ, როგორებიცაა Adidas და Turkish Airlines. ამ ხელშეკრულებების თანახმად, მესის შემოსავალს კიდევ 23 მილიონი დოლარი ემატება.

3



**ლებრონ ჯეიმსი (კალათბურთი)
72.3 მილიონი დოლარი**

„კლივლენდთან“ გაფორმებული კონტრაქტის გარდა (წელიწადში 20.6 მილიონი დოლარი), ცნობილი ამერიკელი კალათბურთელის შემოსავლის გაზრდაში საკუთარი წვლილი ლეგენდარულ კომპანიებსაც შეაქვთ. ჯეიმსის უმსხვილესი პარტნიორები არიან Nike, McDonalds, Samsung, Coca-Cola და Upper Deck. Nike-ის მიერ გამოშვებული სპორტული ფეხსაცმელი, რომელიც ლებრონის სახელს ატარებს, ამერიკაში ასტრონომიული სიჩქარით იყიდება. მხოლოდ ამ ერთმა ნაწარმმა Nike-ს უკვე 300 მილიონი დოლარი მოუტანა.



Radio Commersant FM 95.5

ბიზნესის პერსონალური რადიო

**ქრიშტიანუ რონალდუ (ფეხბურთი)
80 მილიონი დოლარი**

მადრიდის რეალთან ახალი კონტრაქტის თანახმად, როგორც ვარაუდობენ, რონალდუ 206 მილიონ დოლარს მიიღებს. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფეხბურთელის ასეთი კომერციული წარმატება იმით აიხსნება, რომ მან ხელშეკრულებები მსოფლიოში ცნობილ ბრენდებთან გააფორმა; მათ შორისაა Tag Heuer, Nike, Erbalife და სხვები.




**ფლოიდ მენივეზარი (ქრივი)
105 მილიონი დოლარი**

მეივეზერსა და საულ ალვარესს შორის გამართულმა ორთაბრძოლამ გასულ წელს შემოსავლების ახალი რეკორდი მოხსნა (150 მილიონ დოლარზე მეტი) და ეს ტელეტრანსლირების უფლების გაყიდვის შედეგად მოხდა. ამ თანხიდან ლომის წილი მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეს (წონითი კატეგორიის გაუთვალისწინებლად) ერგო. მაიდანასთან აღებულმა რევანშმა ფლოიდს კიდევ 32 მილიონი მოუტანა, რომელიც კონტრაქტის თანახმად, მისი გარანტირებული გასამრჯელო უნდა ყოფილიყო. ტაიგერ ვუდსს თუ არ ჩავთვლით, ფლოიდ მეივეზერი სპორტის ისტორიაში ერთადერთი სპორტსმენია, რომელმაც ერთ წელიწადში 100 მილიონ დოლარზე მეტი გამოიმუშავა.





OFFSIDE



 **WPT**
WORLD POKER TOUR
GEORGIA

 europe-bet.com

განხორციელდეთ WPT
ჩემპიონობა
30 აპრილი - 7 ოქტომბერი 2015